"ნაციონალები" საიმპიჩმენტო დოკუმენტს თავად ქმნიან A3

კვირის TV პროგრამა B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 1 ნოემბერი, 2002 წელი. №152

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ზურაბ ჟვანია: "ჩვენ გველოდება წელი, რომელიც ქვეყნის მომავალს საბოლოოდ გადაწყვეტს"

"ჩვენ ვართ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ოპოზიციური, ერთ-ერთი ძლიერი ძალა, პრეზიდენტ შევარდნაძის რეალური ალტერნატივა..."

A3

## ეკონომიკა

### „ეი-ი-ეს თელასი„ თბილ ზამთარზე ოცნებობს

დღეიდან თბილისში ამოქმედდება "ეი-ი-ეს თელასისთვის" უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება: 1 კილოვატი ელექტროენერგია 13.7 თეთრი ეღირება. ამის თაობაზე გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა (სემეკი) და ამერიკული კომპანიის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა.

A4

## უცხოეთი

### მოსკოვი კონტრშეტევაზე გადავიდა – რას ემსახურება ანტიჩეჩნური ისტერია?

ერთი შეხედვით, "ნორდ-ოსტის" კრიზისის შემდეგ მოსკოვი საბოლოოდ დაადგა ჩეჩნების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გზას. მაგრამ მოსკოვის ანტიჩეჩნური რიტორიკა, შესაძლოა, სინამდვილეში მიზნად ისახავდეს კრემლის შეცდომების მიჩქმალვას და არა ჩეჩნების წინააღმდეგობის მოძრაობის საბოლოო განადგურებას.

A5

## საზოგადოება

### 18 პატარას ოჯახი ელოდება

მავნე ჩვევა - ინვალიდი (როგორც მათ ადრე უწოდებდნენ) ბავშვების თვალიდან მოშორება, საზოგადოებისგან იზოლირება საბჭოთა წყობილებიდან ინერციით მოგვყვება. ასე გრძელდება ახლაც. მათი დიდი ნაწილი სწორედ სპეციალიზებულ სახლებში ცხოვრობს.

A6

## სამართალი

### ჩეჩენ პატიმართა ექსტრადიცია ჯერ არ მოხდება

გუშინ, გვიან ღამით, მეხუთე საპყრობილეში დარჩენილი რვა ჩეჩნის შესაძლო ექსტრადიციასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, გუშინვე ჩაცხრა. თუმცა, მთელი ღამის განმავლობაში მეხუთე საპყრობილესთან ხალხმრავლობა და პანიკა იყო.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 17 | |
| ბათუმი | 15 | |
| სოხუმი | 14 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 14 | |
| ზუგდიდი | 16 | |
| გორი | 10 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1670 |
| ევრო | 2.1380 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3781 |
| რუბლი | 0.0683 |

# საქართველო ნატო-ში ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ მაინც - "საქართველო ნატო-ში"



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ნატო=ს სტანდარტებთან ყველაზე მიახლოებული შენაერთი - კოჯრის ბრიგადა.

გიორგი ასანიშვილი

*ნატო აღიქმება არა მარტო სამხედრო ძალად, რომელსაც შეუძლია, "დიდი მეზობლის" მხრიდან მოსალოდნელი აგრესია აგვაცილოს, არამედ - როგორც მსოფლმხედველობა, ფასეულობათა სისტემა, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ქვეყანა, თუ მას სურს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან გარიყული არ აღმოჩნდეს. ამდენად, ერთგვარად სიმბოლურიც კი არის, რომ ნატო-ს "ფანკლუბში" წევრიანდებიან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობაში ერთმანეთს ოპონირებას უწევენ. ნატო-ში შესვლამ ერთ ორგანიზაციაში გააერთიანა "მემარჯვენეთა" ლიდერი დავით გამყრელიძე და ბლოკ "საქართველოს აღორძინების" წარმომადგენელი გიორგი თარგამაძე, "მოქალაქე" არმაზ ახვლედიანი და "დემოკრატი" გიორგი ბარამიძე, "ნაციონალი" პეტრე ცისკარიშვილი და გადამხდელთა კავშირის თანათავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი...*

ზემოთ ჩამოთვლილი პერსონები, რიგ სხვა პოლიტიკოსებთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველო ნატო-ში" - ("Georgia for NATO") გამგეობაში შედიან. 16-კაციანი გამგეობის თავმჯდომარეა დავით გამყრელიძე, ხოლო მდივანი - ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის "ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის" მეცნიერი ირაკლი არეშიძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს, შეიძლება, ნატო-ში გაწევრიანებაზე უარი უთხრან"

## დავით თევზაძე მოითხოვს, რომ თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების საკითხი უშიშროების საბჭომ განიხილოს

ვერიკო თევზაძე

*"კოდორში სამხედროები ფეხშიშველები არიან... მფრინავები საერთოდ ვერ დაფრინავენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზეთი და საწვავი არ გაგვაჩნია..." "გაწვევა დაიწყო, არც ერთი სამხედრო ნაწილი მზად არ არის, თავდაცვის სამინისტროს კი, დიდი ხანია, ნისიად არაფერს აძლევენ"..."უსახსრობის გამო პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისთვის" 24 აუცილებელ ღონისძიებაში არ მიგვიღია მონაწილეობა, როცა ხარჯების 80 პროცენტს ამერიკული მხარე აფინანსებდა,"* - ეს ფრაზები გუშინ თავდაცვის სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის სხდომაზე გაისმა. მინისტრმა დავით თევზაძემ უკრაინის მაგალითი მოგვაგონა ( ამ ქვეყანას, რეფორმების გაუტარებლობის გამო, ნატო-ში გაწევრიანებაზე უარი უთხრეს) და დასძინა, რომ თუ თავდაცვის სფეროს დაუფინანსებლობა ასე გაგრძელდა, ადვილი შესაძლებელია, უკრაინის ბედი საქართველომაც გაიზიაროს.

კოლეგიის სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს წლევანდელი ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების საკითხი განიხილეს. ცხრა თვის განმავლობაში ბიუჯეტში გარღვეულია 11 მილიონ 27 ათასი ლარი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ჯონი ფირცხალაიშვილის განცხადებით, დაუფინანსებლობის გამო ვერ ჩატარდა საბრძოლო წვრთნების უმრავლესობა. **"მარტო პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისთვის" 24 აუცილებელ ღონისძიებაში ვერ მივიღეთ მონაწილეობა. ხარჯების 80 პროცენტს ამერიკული მხარე აფინანსებდა, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო მაინც ვერ გამოვაფხიზლეთ. ადგილობრივ წვრთნებსა და შეკრებებზე არაფერს ვამბობ..."**

ყაზარმებში ნორმალური პირობები რომ შეიქმნას, ორი მილიონ 500 ათასი ლარია საჭირო. **"დღეს პირადი შემადგენლობა ამორტიზებულ ყაზარმებში ცხოვრობს... განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ვარციხის სამხედრო ბაზა".**

უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა კრწანისის პოლიგონის მომზადება ზამთრის სეზონისთვის. ვერ ჩატარდა ვაზიანის მეორე და მესამე ყაზარმების რემონტი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავრობა პარლამენტს შეუძლებელს - ბიუჯეტის შესრულებას ჰპირდება

სოფო კვინტრაძე

გუშინ ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ბიუჯეტის შესრულების ცხრა თვის შედეგებით პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტების წინაშე წარდგა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსავლებმა და გრანტებმა, სექტემბრის თვის ჩათვლით, 615 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 88 პროცენტს შეადგენს. ცხრა თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს 82 მილიონი ლარი დააკლდა.

მიუხედავად ამისა, გუშინდელ შეხვედრაზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში აშკარა პროგრესი იგრძნობა. მირიან გოგიაშვილის განცხადებით, განსაკუთრებული წინსვლა შეიმჩნევა საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების მობილიზების მხრივ. გოგიაშვილი ასევე დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ბიუჯეტის სეკვესტრის წინაპირობები არ არსებობს და წლის ბოლოს ეს საკითხი არ დადგება. უახლოეს დღეებში ფინანსთა მინისტრი პარლამენტში საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს წარადგენს, რომელსაც იგი რევოლუციურს უწოდებს. გოგიაშვილს მიაჩნია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების უმსხვილესი წყარო სწორედ საგადასახადო შემოსავლებია, ხოლო მომავალი ცვლილებები კიდევ უფრო გაზრდის გადასახადების ამოღების მაჩვენებელს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ავტორები - სცენაზე

## მოსკოვში მძევალთა აყვანამ ბევრი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა





მოვსარ მარაევი (მარცხნიდან მეორე) თანამებრძოლებთან ერთად.

# პრეზიდენტს არ ესმის, რომ სტრასბურგი პოლიტიკურ თამაშებს ანგარიშს არ უწევს

## ევროსაბჭო საქართველოს და რუსეთს დამარცხებულად გამოაცხადებს

ინგა ალავიძე

**"გუშინ, ღამე, ძალიან მშვიდად ვიყავი, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დაპატიმრებული ჩეჩნების ექსტრადიციას გენერალური პროკურატურა მალულად ველარ განახორციელებს,"** – აცხადებს ორთაჭალის ციხეში დარჩენილი ჩეჩენი ტუსაღების ადვოკატი ლია მუხაშავრია. ასეთი განცხადების საფუძველს ადვოკატს რამდენიმე დღის წინ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება აძლევს.

რადგანაც საქართველოში ექსტრადიციის შესახებ კანონი არ არსებობს, უზენაესი სასამართლოს მიერ 28 ოქტომბერს გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, ამიერიდან ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო დაარეგულირებს. უცხო ქვეყანას მოთხოვნილი პირი გადაეცემა სასამართლოს ნებართვის შემდეგ.

უზენაესმა სასამართლომ ექსტრადიციის პირველი საქმე რამდენიმე დღის წინ უკვე განიხილა კიდეც და გააუქმა საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ რუსი კოლეგებისთვის მიცემული თანხმობა პატიმარ ალიევის გადაცემის შესახებ. ალიევის საქმე კი განსახილველად მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადასცა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 TV პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**ზუგდიდი**. გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელმა გალის რაიონის აფხაზურ ადმინისტრაციას მოუწოდა, რომ უზრუნველყოს ამ რაიონის სოფლების მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა გალის სექტორის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა მუჰამედ ასიფმა ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე წარმოადგინა ინფორმაცია სოფელ თაგილონის მცხოვრებლების აქციის შესახებ, რომელთაც 29 ოქტომბერს სამხედრო დამკვირვებლებს საავტომობილო გზა გადაუკეტეს.

პოლკოვნიკის თქმით, მოსახლეობა ელექტროენერგიის გათიშვის გამო პროტესტს გამოთქვამს. ისინი მოითხოვენ თანადგომას ელექტროენერგიის მოწოდების აღდგენაში. "მათ განვუმარტეთ, რომ ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის და ამიტომ არავითარი პირობის მიცემა არ შეგვიძლია", - განაცხადა მან. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

**გალი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გუშინ გამართული ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების საკითხთა შემსწავლელი სამმხრივი კომისიის შექმნის საკითხს მიეძღვნა. გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების საკითხთა შემსწავლელ სამმხრივ კომისიაში უნდა შევიდეს გაერო-ს, ქართული და აფხაზური მხარეების თითო წარმომადგენელი. ქართულ მხარეს წარმოადგენს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი კლიმენტი თევზაძე, გაერო-ს — გაერო-ს მისიის ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელი რომან სიშჩუკი. აფხაზები, ჯერჯერობით, აჭიანურებენ თავიანთი წარმომადგენელის დანიშვნას.

კომისია მომავალში გალის რაიონში შექმნილ ვითარებას და დევნილთა დაბრუნებისთვის აუცილებელ პირობებს შეისწავლის. კომისია იმუშავებს იმ საკითხზეც, თუ რა პირობით უნდა დაბრუნდნენ დევნილები. გარდა ამისა, იმსჯელებენ გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარების გასაუმჯობესებლად ქართველი და აფხაზი სამართალდამცავების თანამშრომლობაზე.

რაც შეეხება გალში ერთობლივი ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციის შექმნას, ამ საკითხს კომისია არ განიხილავს, რადგან ეს აფხაზური მხარისთვის კატეგორიულად მიუღებელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის სათათბიროში მომზადდა მიმართვის პროექტი „რუსეთის პრეზიდენტ პუტინისადმი ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) გაფართოების საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ".

პროექტის ავტორთა შორის არის თბილისში ცნობილი 9 აპრილის მოვლენების „გმირი", დღეს სათათბიროს წევრი იგორ როდიონოვი.

როგორც ცნობილია, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის უახლოეს სესიაზე, რომელიც 2 ნოემბერს პრაღაში უნდა გაიმართოს, აღმოსავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფო ნატოს წევრობაზე მიწვევას მიიღებს, — ნათქვამია დოკუმენტში.

ამასთან დაკავშირებით, რუსი პარლამენტარები შიშობენ, რომ ეს „სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მარტო რუსეთს, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას"

ამ „უბედურების" თავიდან აცილების მიზნით რუსმა პარლამენტარებმა მიმართვა გაუგზავნეს პრეზიდენტ პუტინს და მოუწოდეს, მიიღოს შესაბამისი ზომები ნატოს გაფართოების საწინააღმდეგოდ; კერძოდ, გაძლიერდეს რუსეთის ურთიერთმოქმედება ნატო-ს წევრობის კანდიდატი სახელმწიფოების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებთან; აგრეთვე, ნატო-ს წევრი სახელმწიფოების იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებთან, რომლებიც ამ ალიანსის გაფართოების წინააღმდეგნი არიან; რუსეთსა და ნატო-ს წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობანი ააწყონ მათი ალიანსში შესვლის შედეგების გათვალისწინებით, განხილულ იქნეს საკითხი „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამიდან რუსეთის გამოსვლის შესახებ, რაც მიანიშნებდა რუსეთის მტკიცე გადაწყვეტილებას, წინ აღუდგეს ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას.

რუსი პარლამენტარები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ზომების მიღება რუსეთს საშუალებას მისცემს თავი დაიცვას ამ „უაღრესად საშიში" საფრთხისაგან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი კვირიდან პარლამენტში საქართველოში გაეროს მისიის პოლიტიკური მრჩეველი მარკიან ჩუჩუკი და მისი მოადგილე დაიწყებენ მუშაობას.

ისინი პარლამენტში კოორდინაციას გაუწევენ აფხაზეთის პრობლემებზე მომუშავე დროებით კომისიასა და აფხაზეთის დეპუტაციის ფრაქციებს, ასევე პარლამენტისა და გაეროს ურთიერთობებს. მოხდება ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა და გადაწყვეტილებების შეჯერება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოსა და რუსეთის მესაზღვრეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე "ზემო ლარსი" და "ქვემო ზარამაგი" ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

ამის შესახებ განაცხადა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორმა ვალერი ჩხეიძემ. მისი თქმით, ასეთი ინიციატივით ქართლი მხარე გამოვიდა საზღვარზე დამნაშავე ელემენტების გადასვლის აღკვეთის მიზნით.

2000 წლის დეკემბერში საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებისას, რუსეთმა შეღავათები შეინარჩუნა საზღვრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე.

ვალერი ჩხეიძის თქმით, ეს მონაკვეთები ნამდვილ "შავ ხვრელებად" გადაიქცა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ჟან-მარე გიენო 8-11 ნოემბერს საქართველოში ვიზიტისას გაეროს ეგიდით მომზადებული თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის დოკუმენტის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას განიხილავს. თავის მხრივ, სოხუმში აცხადებენ, რომ არ აპირებენ ამ დოკუმენტის განხილვას, რომელიც ეწინააღმდეგება აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ჯონი ფირცხალაიშვილმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფებების ნაწილებისა და ქვედანაყოფების ანტიტერორისტულ ოპერაციებში გამოყენება დაუშვებელია.

**"საქართველოსთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია"**, - განაცხადა მან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ხუთშაბათს დაგეგმილი საკომიტეტო მოსმენის კომენტირებისას, რომელზეც "საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის საჯარისო დაჯგუფების მიერ მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მდგომარეობისა და შესაძლებლობების" საკითხი განიხილება.

რუსეთის საჯარისო დაჯგუფების ანტიტერორისტულ ოპერაციებში გამოყენების საკითხის განხილვა უკავშირდება რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ცვლილებები შეიტანოს შეიარაღებული ძალების გამოყენების კონცეფციაში.

ჯონი ფირცხალაიშვილის თქმით, რუსული მხარის ასეთ განზრახვას კიდევ ერთხელ შეუძლია დაარწმუნოს საქართველო თავისი ტერიტორიიდან რუსული ბაზების უსწრაფესად გაყვანის აუცილებლობაში.

**"მით უმეტეს მიუღებელია ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების ქვედანაყოფების გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე - ამის არც პირობები და არც აუცილებლობა არ არსებობს, ხოლო თუ ვისაუბრებთ პანკისის პრობლემაზე, იგი მოხსნილია"**, - განაცხადა გენშტაბის უფროსმა. **პრაიმ-ნიუსი**

# საქართველო ნატო-ში ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ მაინც - "საქართველო ნატო-ში"

პირველი გვერდიდან

ორგანიზაციის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გაიმართა და მას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტა დაესწრო: პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო პარტიების ლიდერები, მესამე სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსის თანამშრომლები და უცხოელი სტუმრები.

მეტად საზეიმო ატმოსფეროს შემხედვარეს, წუთით შეიძლება ისიც კი დაგვიწყებოდა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ საქართველო 11 მილიონი ლარით გარღვეული სამხედრო ბიუჯეტით "მიიწევს" და "დანიშნულების პუნქტამდე" მისასვლელად კიდევ მრავალი სირთულეა გადასალახი. პირიქით, პრეზენტატორთა ამაღლებული განწყობიდან გამომდინარე, იფიქრებდით, რომ ნატო-ში უკვე მიგვიღეს და საზეიმო მიღებაც სწორედ ამასთან დაკავშირებით ტარდება.

ახლადდაფუძნებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ასეთი ილუზიისგან, მართალია, შორს დგას, მაგრამ მაინც აუცილებლად მიაჩნია იმის ხაზგასმა, რომ პირველი ნაბიჯები ნატოში გაწევრიანებისკენ სავალ გზაზე საქართველომ უკვე გადადგა.

**"ეს პროცესი პარლამენტში შესაბამისი დადგენილების მიღებით დაიწყო, რასაც მოჰყვა მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის მეტად მნიშვნელოვანი ერთობლივი დეკლარაცია. ახლა კი დაფუძნდა ორგანიზაცია "საქართველო ნატოში", რომლის ძირითადი ფუნქცია სახელწოდებაში გამოტანილი იდეის საზოგადოებაში პოპულიზირება და ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით რეფორმების გატარების ლობირებაა"**, - აცხადებს დავით გამყრელიძე.

ორგანიზაციის - "საქართველო ნატოში" - ჩამოყალიბებას და მასში საკმაოდ ფართო პოლიტიკური სპექტრის გაერთიანებას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც მიესალმება. მისი აზრით, ნატო-ში შესვლის იდეა უკვე საზოგადოების ყველა ფენაში მომწიფდა.

**"ნატო-ს წევრობის სურვილი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის კაპრიზი კი არ არის, არამედ საზოგადოების უმრავლესობის აზრის გამოხატულებაა"**, - მიიჩნევს პარლამენტის სპიკერი, რომელიც იმასაც შენიშნავს, რომ მარტო სურვილი საქმეს ვერ უშველის და მისი "გამაგრება" კონკრეტული ქმედებებით უნდა მოხდეს - ნინო ბურჯანაძეს, კერძოდ, სამხედრო სფეროს პრიორიტეტული დაფინანსება აქვს მხედველობაში.

**"სამხედრო სტრუქტურების დაფინანსების საკითხი სერიოზულად უნდა გადაიხედოს. მართალია, მათი ბიუჯეტის რამდენჯერმე გაზრდა არარეალურია და ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად ბიუჯეტში რაღაც მინიმუმი მაინც უნდა ჩაიდოს"**, - აცხადებს საქართველოს პარლამენტის ლიდერი.

გუშინ დაფუძნებული ორგანიზაციის სერიოზულობასა და სოლიდურობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მას თავისი წარმომადგენლობა ეყოლება ბრიუსელში, ვაშინგტონსა და ვილნიუსში; აგრეთვე, იფუნქციონირებს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, რომელშიც ნატო-ს ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლები შევლენ. საინტერესოა, რომ სასტუმრო "მარიოტში" გამართულ ღონისძიებას ესწრებოდა ერთ-ერთი მომავალი ექსპერტი, ლიტვის თავდაცვის უწყების ყოფილი ხელმძღვანელი ბუტკიავიჩუსი, რომლის მინისტრობის დროსაც, სხვათა შორის, მოხერხდა ლიტვიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა და, ამდენად, საფიქრებელია, რომ ასეთი პერსონების გამოცდილების გამოყენება საქართველოში ნამდვილად შეიძლება.

პრეზენტაციაზე მიწვეულ სტუმართა შორის იყო, აგრეთვე, ერთ-ერთი ვეტერანი "ნატოფილი", ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში საქართველოს შესვლის მხურვალე მხარდამჭერი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი. იგი მიესალმება ახალი ორგანიზაციის დაფუძნებას, მაგრამ ამავე დროს, უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ მისი წამოწყების ავტორობას დღეს სხვები იჩემებენ.

**"გამიხარდა, ასეთი ორგანიზაცია რომ დაარსდა, დამიძახეს და მოვედი, მაგრამ როდესაც ქრისტიანი ხდები, თავად ქრისტე და მისი მოციქულები არ უნდა დაგავიწყდეს"**, - "საქართველო ნატო-ში"-ს დამფუძნებლებს მეხსიერებას უწუნებს ირაკლი წერეთელი, რომელიც გუშინ ნაწყენი ჩანდა იმის გამო, რომ მისი პიონერობა არავის გახსენებია და შეკრებილი საზოგადოების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელის თქმით, მისი ინიციატივით ჯერ კიდევ 1999 წელს დაარსდა და დღემდე არსებობს "ატლანტიკური თანამშრომლობის" საქართველოს ასოციაცია", რომელმაც ნატო-ს შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტში მასშტაბური ღონისძიებაც კი გამართა და რომელიც ამჟამად მხოლოდ ფინანსური ხელმოკლეობის გამო ვერ ფუნქციონირებს.

წერეთელი იმითაც არის უკმაყოფილო, რომ ამ ბოლო დროს ნატო-ს კარი ფართოდ გაიღო და ალიანსში თითქმის ყველა ქვეყანას ეპატიჟებიან: **"ახალი იდეა გამოცხვა, ნატო-ში რუსეთთან ერთად უნდა შევიდეთო - რა, მუდმივად რუსეთის გვერდით ყოფნა დაგინებულია, თუ რა უბედურებაა? ამ ქვეყანასთან ისე ვიმეგობროთ, თორემ თუ ის ატლანტიკურ ალიანსშიც შემოგვყვება, ეს უკვე ნატო კი არა, ახალი გაერო იქნება"**.

და მაინც, "ძველი ნატოელის" "ახლებთან" ყოფნის თავად ფაქტიც და მათთან თანამშრომლობის მზადყოფნაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ: ნატო - ეს არის მსოფლმხედველობა, რომლისთვისაც ვიწროპარტიული ბარიერები და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცეული პოლიტიკა უცხო და მიუღებელია.

ბრიუსელისკენ დაძრულ ქართულ პოლიტიკურ ეშელონს, რომლის მემანქანეობაც "ახალმა მემარჯვენეებმა" იკისრეს, იმედია, თანდათან ახალი ვაგონები ჩაებმება და ეს არც თუ უზრუნველი მგზავრობა, რამდენიმე წელიწადში (დავით გამყრელიძის ვარაუდით, 5-7 წლის შემდეგ) ნატო-ს დიდ ოჯახში საქართველოს "ახალმოსახლეობით" დასრულდება. ყოველ შემთხვევაში, "საქართველო ნატო-ში"-ს ხელმძღვანელები ამაში დარწმუნებულები არიან.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

"საქართველო ნატო-ში" - პრეზენტაცია "მარიოტში".

# „თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს, შეიძლება, ნატო-ში გაწევრიანებაზე უარი უთხრან"

პირველი გვერდიდან

**"საჰაერო თავდაცვა მაშინ გვახსენდება, როცა მეზობელი ქვეყანა დაბომბვით გვემუქრება"**, - გენერალ-მაიორმა ჯოლბორდ ბეროზაშვილმა ისაუბრა სამხედრო-საჰაერო თავდაცვის სფეროში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე: **"საწვავი ჩვენ არ გვაქვს და ზეთი. ახალგაზრდა მფრინავები, რესურსების უქონლობის გამო, საერთოდ ვერ დაფრინავენ"...** მომავლისთვის შემუშავებულია სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაც საშუალებას მოგვცემს, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე მთლიანად გავაკონტროლოთ. პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები 12 მილიონ დოლარს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად რეალურია პროგრამის განხორციელება უახლოეს პერიოდში?

კოლეგიის სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზეც იმსჯელეს. ბიუჯეტის პროექტი თავდაცვაზე 129 მილიონ 314 ათას ლარს ითვალისწინებს. 2003 წლის ბიუჯეტით შესაძლებელი გახდება პირადი შემადგენლობის სოციალური მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესება, ქმედითუნარიანობის არსებული დონის შენარჩუნება. თუმცა, სამხედროებს არც ეს თანხა და არც მისი განაწილების წესი აკმაყოფილებთ. **"უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში თანხების განაწილების დღეს არსებულმა წესმა: სახელმწიფო ბიუჯეტის 85-90 პროცენტს შეადგენს სოციალური ხარჯები, ე. წ. "დაცული მუხლები ." არ შეიძლება საერთო მიდგომის მექანიკურად გადატანა ჯარზე. მსგავსი რამ შეიძლება გამართლებული იყოს ნებისმიერ სფეროში, შეიარაღებულ ძალებში კი ამგვარ მიდგომას ნულოვანი ეფეტი აქვს."**

კოლეგიის სხდომაზე სპეციალურად მიწვეულნი ბრძანდებოდნენ და არ გამოცხადებულან უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე.

დავით თევზაძე მოითხოვს, რომ თავდაცვის სფეროს დაფინანსების საკითხს პოლიტიკური დატვირთვა მიეცეს და იგი უშიშროების საბჭომ განიხილოს. **"ბოლოს და ბოლოს, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა"...** ყველაფერი ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც, არც მეტი - არც ნაკლები, ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია სწადია.

# აქვს თუ არა პერსპექტივა სამხედრო თანამშრომლობას სუუამ-ის ფარგლებში?

*29-30 ოქტომბერს, ბაქოში, დახურულ კარს მიღმა, რეგიონული ორგანიზაცია სუუამ-ის წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მეორე სხდომა გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ხუთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის - საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას - სურვილს, დაეფუძნებინათ ახალი რეგიონული გაერთიანება, ხორცი სამი წლის წინ, ნატო-ს საიუბილეო სამიტზე შეესხა. მაგრამ სხვადასხვა წინააღმდეგობის გამო, გაერთიანების ინსტიტუციონალიზება არც ისე მარტივი საქმე აღმოჩნდა. მით უფრო გართულდა სუუამ-ის წევრი ცალკეული ქვეყნების მისწრაფების რეალიზება სამხედრო თანამშრომლობის სფეროში, რაც თავის დროზე ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნის იდეასაც კი ითვალისწინებდა.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

1999 წელს, ნატო-ს საიუბილეო სამიტის წინა დღეებში, თბილისთან ახლოს, იაღლუჯას პოლიგონზე უჩვეულო სამხედრო წვრთნა ჩატარდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით გამართული სწავლების ლეგენდის თანახმად, საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის სამხედრო ოცეულები, საგანგებო სიტუაციებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ტრასაზე უსაფრთხოების დაცვის ერთობლივ ამოცანებს ასრულებდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გამართული მანევრები უმალ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ სწავლებაზე საქართველოში მხოლოდ სამი ქვეყანა იყო წარმოდგენილი, პრესის მიერ ეს ღონისძიება, თითქმის ერთხმად, სუუამ-ის ქვეყნების პირველ ერთობლივ წვრთნად მოინათლა. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ სუუამი შესაძლოა, გარდაიქმნას რეგიონულ ორგანიზაციად, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით, სუუამ-თან ნატო-ს შეხვედრები მოეწყოს სქემით 16+5.

*"სუუამ-ს ჩვენ განვიხილავთ, როგორც რეგიონული სტაბილურობის მნიშვნელოვან გარანტს. და როცა ვამბობ "ჩვენ", ვგულისხმობ შეერთებული შტატების მთავრობის უმაღლეს დონეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ სუუამ-ის, როგორც რეგიონული ორგანიზაციის განვითარებას. აგრეთვე, მივესალმებით სუუამ-ისა და ევროატლანტიკური სტრუქტურების კავშირურთიერთობების გაღრმავებას",* - აცხადებდა აშშ ეროვნული უშიშროების საბჭოს განყოფილების უფროსი ფრენკ მალერი უკრაინულ გაზეთ "ზერკალო ნედელიში" 2001 წლის 23 ივნისს გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

თუმცა, სულ მალე გაირკვა, რომ ხუთეულის წარმომადგენლები აბსოლუტურად განსხვავებულად აფასებდნენ სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივას სუუამ-ის ფარგლებში, რასაც ექსპერტები რეგიონზე რუსეთის ფაქტორის გავლენით ხსნიდნენ. სუუამი ხომ პოსტსაბჭოთა სივრცეზე არსებული პირველი ჯგუფია, რომელშიც რუსეთი არ მონაწილეობს. ამიტომ, სწორედ რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით მოხდა თავდაპირველად აღებული სამხედრო-პოლიტიკური კურსის შეცვლა და უპირატესობა ნავთობის დერეფნის უშიშროების უზრუნველყოფაში სუუამ-ის ზოგიერთი ქვეყნის ჩაბმის "რბილ ვარიანტს" მიენიჭა.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამხედრო თანამშრომლობას ხუთეულის შიგნით პერსპექტივა აღარ გააჩნია. უბრალოდ, ამ ეტაპზე, ტაქტიკური მოსაზრებების გამო, ძირითადი ყურადღება ერთობლივი ეკონომიკური პროგრამების შექმნაზე, საბაჟო და სასაზღვრო საკითხების კოორდინაციასა და ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე გამახვილდა.

გასული წლის 11 სექტემბერს ნიუიორკსა და ვაშინგტონში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდგომ, სუუამ-ის წევრმა ქვეყნებმა კიდევ უფრო გამოკვეთეს უშიშროების სფეროში თანამშრომლობის სურვილი. 2001 წლის 14 ნოემბერს აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვას, უკრაინისა და უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, აგრეთვე, აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში, მარკ გროსმანმა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ერთობლივი განცხადება გააკეთეს. განცხადების თანახმად, სუუამ-ის ქვეყნები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-სთან ერთად და აღიარებენ ერთობლივი მოქმედების აუცილებლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოება, ნარკო-ტრეფიკინგთან ბრძოლა, იარაღით უკანონო ვაჭრობა და უკანონო მიგრაცია.

ამის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 25 იანვარს, თბილისში შეკრებილი სუუამ-ის ქვეყნების წარმომადგენლები გამოვიდნენ ინიციატივით, შექმნილიყო ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

28-29 ოქტომბერს ბაქოში სწორედ ამ სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიმართა და როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგანგებო დავალებათ ელჩმა მიხეილ უკლებამ ჩვენთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, შეხვედრაზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ეუთო-ს სპეციალური წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამის პროექტი მომზადდა.

მიხეილ უკლება: **"თავის დროზე იქნა ხელმოწერილი შეთანხმება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც ამჟამად სახელმწიფო პროცედურებს გადის. ეს დოკუმენტი გადაეცემა უკრაინას, რომელიც არის "დეპოზიტორი" (ინვესტორი-კ.ლ.) ქვეყანა. გარდა ამისა, მზად არის პროექტი საბაჟო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ასევე გადის პროცედურებს და იგი უნდა დაჩქარდეს, რათა 9 დეკემბერს პორტოში დაგეგმილ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მოხდეს მისი ხელმოწერა."**

აღსანიშნავია, რომ პროექტების რეალიზების პროცესში სუუამ-ს მნიშვნელოვან მხარდაჭერას აშშ მთავრობა ჰპირდება. ჰარვარდის შავი ზღვის უშიშროების პროგრამის ოფისის ინფორმაციით, ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც სუუამ-ის ქვეყნებს შეუძლიათ თავიანთი ერთიანი მიზნებისა და მოთხოვნილებების განსახორციელებლად 2002 წელს 37 მილიონი დოლარი გამოიყენონ. უკლებას განცხადებით, ანალოგიური დახმარება გაუწია ამერიკის მთავრობამ მეორე რეგიონულ ორგანიზაციას - ევროპული ინიციატივა სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნებისთვის(სეკი), რომლის მიმსგავსებითაც ახლა სუუამ-ის ბევრი პროექტი იწერება.

მიხეილ უკლება: **"სწორედ სეკის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ, როდესაც ეს პროგრამები განვითარდა, ამ 12 ქვეყანაში 50 პროცენტით გაიზარდა შემოსავლები, იმატა ვაჭრობისა და ინვესტიციების მოცულობამ, შეიქმნა ცივილიზებული სივრცე."**

აღსანიშნავია, რომ არცთუ ისე დიდ ხნის წინ, სუუამ-ს ზოგიერთი ექსპერტი მკვდრადშობილი ორგანიზაციის ბედს უწინასწარმეტყველებდა. ეს ცოტა გადამეტებული შეფასებაა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სუუამი ფორმალურ ორგანიზაციად იქცეს ან დაემსგავსოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზებაზე ფიქრობდეს, უფრო მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტითაა დაკავებული. მაგრამ ამ პროგნოზებს ყველაზე კარგ პასუხს დრო გასცემს.

ჯერჯერობით კი მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სუუამ-ის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა რუსეთის ხელისუფლებამ. ამის მაგალითია დსთ-ს ბოლო სამიტი კიშინიოვში, სადაც რეგიონული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ლიდერთა მხარდაჭერამ, მნიშვნელოვნად შეარბილა რუსეთის აგრესიული ტონი საქართველოს მიმართ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ზურაბ ჟვანია: "ჩვენ გველოდება წელი, რომელიც ქვეყნის მომავალს საბოლოოდ გადაწყვეტს"

თამარ ხორბალაძე

**"ჩვენ ვართ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ოპოზიციური, ერთ-ერთი ძლიერი ძალა, პრეზიდენტ შევარდნაძის რეალური ალტერნატივა...**

**მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევუერთდებით იმ ძალებს, რომლებიც კიდევ უფრო უარესია. ჩვენთვის მიუღებელია შევარდნაძის მმართველობის სტილი, მაგრამ კიდევ უფრო მიუღებელია ის, რასაც განასახიერებს ასლან აბაშიძე!"** - ზურაბ ჟვანიას ეს სიტყვები გახლდათ ის მთავარი მესიჯი, რომელიც "გაერთიანებული დემოკრატები"-ს პირველი ყრილობიდან წამოვიდა.

გამოსვლები, პრაქტიკულად, ზურაბ ჟვანიას ამ მესიჯით "გაიხსნა".

**"საზოგადოებას გუშინ ჰქონდა არჩევანი ცუდს და უარესს შორის. ჩვენ მას ვთავაზობთ ახალ არჩევანს!**

**ჩვენ ვთავაზობთ, რომ არჩევანი გააკეთოს არა შევარდნაძის, ჯორბენაძის, მამალაძის პარტიაზე, ან აბაშიძის შპს-ზე - სახელად "აღორძინება", არამედ ჩვენზე!"** - ძირითადი გამოსვლები გოკა გაბაშვილის ამ სიტყვებმა დააგვირგვინეს.

ასე შეიკრა გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" ყრილობაზე ჯაჭვი, რომლის დედააზრი საკმაოდ მარტივი გახლდათ:

"გაერთიანებულმა დემოკრატებმა" გუშინდელ ყრილობაზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ცდილობენ დაიკავონ ქართულ პოლიტიკაში ის ნიშა, რომელიც ბოლო წლებში თავისუფალი გახლდათ და რომელსაც თავის დროზე ვერ მოერგნენ ედპ და "რესპუბლიკელები". მათ ამ ნიშის დაკავების მცდელობა ჯერ კიდევ გასული არჩევნების წინ ჰქონდათ. "გაერთიანებული დემოკრატები" საჯაროდ აცხადებენ, რომ აპირებენ გადაიქცნენ მესამე პოლიტიკურ ცენტრად - სახელისუფლებო (ცენტრალური იქნება თუ რეგიონული) პარტიების რეალურ ალტერნატივად.

სწორედ ამიტომ, პარტიის ლიდერის გუშინდელი განცხადებით, **"გაერთიანებული დემოკრატები" იყვნენ დაპირისპირებულ ოპოზიციურ ძალებს შორის თანამშრომლობის ინიციატორები".**

ჯანსულ კახიძის სახელობის დარბაზი, რომელიც პირველი ყრილობისთვის შეირჩა, გუშინ გადაჭედილი გახლდათ, მაგრამ მთავარი მიზანი ძალის დემონსტრირება არ გახლდათ.



გოკა გაბაშვილი, ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე.

ძალის და საზოგადოებრივი მხარდაჭერის დემონსტრირება დღეს, სამი საათისთვის, სპორტის სასახლეშია დაგეგმილი.

გუშინ კი ყრილობაზე პარტიული არჩევნები ჩატარდა და სამომავლო ლოზუნგებისა და ძირითადი პრინციპების პრეზენტაცია შედგა:

**"ჩვენ არ ვერთიანდებით ლიდერების გარშემო, ჩვენ ვერთიანდებით იდეების გარშემო!**

**ჩვენ არ ვაპირებთ დავუპირისპირდეთ პიროვნებებს, ჩვენ ვუპირისპირდებით მათ მიერ განხორციელებულ პოლიტიკას!**

**ჩვენ არც ერთხელ არ გვიკადრია მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ გამოგვეყენებინა ის ბინძური მეთოდები, რასაც ოპონენტები იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ! მიზნების მისაღწევად ვიყენებთ მხოლოდ იმ საშუალებებს, რომლის გამოყენების უფლებას გვაძლევს დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების ღირებულებები!**

**ჩვენ არ ვეძებთ გამყოფ ხაზებს ერთმანეთს შორის ანუ ჩვენ წარმოვადგენთ საზოგადოებაში არსებულ ინტერესთა ჯგუფებს. ჩვენთვის საზოგადოება მრავალფეროვნების ერთობლიობაა!**

**ჩვენ არ ვაპირებთ ნავთი დავასხათ შევარდნაძე-აბაშიძის დაპირისპირებაზე, რადგან ისინი ძალიან სახიფათო თემებს ეთამაშებიან!..**

**ჩვენი ამოცანაა არა მხოლოდ პრობლემის დანახვა, არამედ მისი გადაწყვეტის გზის მოძებნა!"**

გუშინდელ ყრილობაზე იმ ფორუმების შედეგები შეჯამდა, რომლებიც მიმდინარე კვირის განმავლობაში გაიმართა "გაერთიანებული დემოკრატების" ეგიდით.

გუშინდელ ყრილობაზე პარტიამ მხოლოდ ძალიან ნაცნობი სახეები წარმოადგინა და ხელმძღვანელებად ძალიან ნაცნობი პოლიტიკოსები აირჩია:

პარტიის თავმჯდომარე - ზურაბ ჟვანია; გენერალური მდივანი - გოკა გაბაშვილი; თავმჯდომარის მოადგილეები - მიხეილ მაჭავარიანი, ედუარდ სურმანიძე; პოლიტიკური საბჭოს წევრები - გია ბარამიძე, ელდარ შენგელაია, გიგი წერეთელი, ელენე თევდორაძე, დათო ტყეშელაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, ირაკლი ჩუბინიშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, დათო ხუციშვილი, ეთერ ასტამიროვა. ასეთია პარტიის ახლადარჩეული ხელმძღვანელობა.

**"ამავე დარბაზში, რამდენიმე თვის წინ, ასევე ერთსულოვნად ამირჩიეს სხვა პარტიის ლიდერად,"** - მოგონებები მოეძალა ზურაბ ჟვანიას...

ისიც ითქვა, რომ "გაერთიანებულ დემოკრატებში" დღეს უკვე 15 000 ადამიანია გაწევრიანებული, რაც რამდენიმე თვის წინ შექმნილი პარტიისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

გუშინდელ ყრილობაზე მთავარი პოლიტიკური მოხსენება არ გაკეთებულა.

ზურაბ ჟვანია ამ მოხსენების გაკეთებას დღეს გეგმავს.

სამაგიეროდ, იყო ერთიანობისკენ მოწოდება და იყო თანამებრძოლებისადმი მიმართული შეძახილი-გაფრთხილება: **"ჩვენ გველოდება ძალიან მძიმე წელი, რომელიც ქვეყნის მომავალს საბოლოოდ გადაწყვეტს".**

# პანკისის შემდეგ ევროსაბჭოს ექსპერტები ჩეჩენ პატიმარსაც მოინახულებენ

## ქართული მხარე დარწმუნებულია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ანტიკრიმინალური ოპერაციის ეფექტურობას აღიარებს

*დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტთა ექვსკაციანი ჯგუფი ორთაჭალის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმ რვა ჩეჩენი მებრძოლიდან, რომელთა ექსტრადიციას რუსეთი დაუყოვნებლივ ითხოვს, ერთ-ერთს პირისპირ, ერთი საათის განმავლობაში გაესაუბრება. ამ ექსტრაორდინალური ნაბიჯით ქართული მხარე ცდილობს, გუშინ პანკისიდან უმძიმესი შთაბეჭდილებით დაბრუნებული ევროპელი ექსპერტები კიდევ ერთხელ დაარწმუნოს, რომ ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის ძირითადი ფაზა წარმატებით დასრულდა და პანკისიდან რუსეთს საფრთხე არ ემუქრება. როგორი იქნება საბოლოო დასკვნა, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას იანვრის სესიაზე წარედგინება, უცნობია. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, გერმანელმა კრისტი ლორხერმა გვითხრა, რომ უკვე თითქმის გადაწყვეტილი აქვს, თუ რაზე გაამახვილებს ყურადღებას დასკვნაში, მაგრამ ამაზე ღიად საუბარი ნაადრევად ეჩვენება.*

ზაზა წულაძე
*პანკისი-თბილისი*

პანკისის ხეობის მონახულება, ევროპელი, ქართველი და რუსი ექსპერტების მონაწილეობით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სექტემბრის სესიაზე გადაწყდა. მაშინ ასამბლეამ, რუსეთის პრეზიდენტ პუტინის 11 სექტემბრის სკანდალური ულტიმატუმის შემდეგ, კბილებით დაიცვა საქართველო, რამაც კრემლი წონასწორობიდან გამოიყვანა. უკიდურესად დაძაბული სიტუაციის შესარბილებლად, ევროპელი პარლამენტარები დათანხმდნენ, შექმნილიყო ექსპერტთა სამმხრივი ჯგუფი, რომელიც საბოლოოდ დაადგენდა, თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდა ქართული ანტიკრიმინალური ოპერაცია და დარჩა თუ არა ხეობაში ისეთი ძალა, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს. პანკისში ჩასვლამდე ექსპერტებმა ორდღიანი მოლაპარაკებები მოსკოვში გამართეს. **"ამ შეხვედრებისა და ჩვენი პანკისში ჩამოსვლის მიზანი საქართველოსა და რუსეთის დაძაბული ურთიერთობის განმუხტვაა,"** – აღნიშნა დოროს კრისტუდოლიდესმა, ექსპერტმა კვიპროსიდან.

გუშინ ევროსაბჭოს დელეგაციამ პანკისში მხოლოდ საათნახევარი დაჰყო. საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების თანხლებით, მათ მოინახულეს დუისისა და ხალაწანის შესასვლელებში განლაგებული ბლოკ-პოსტები, ბოლოს კი, დუისის ცენტრში ჩეჩენ ლტოლვილებს შეხვდნენ. პანკისში შესვლამდე უშიშროების მინისტრმა ხაბურძანიამ ექსპერტებს მოახსენა, რომ **"ხეობაში 60-70 ბოევიკი რჩება".**

თუ რატომ ვერ მოახერხა ქართულმა მხარემ ასეთი მნიშვნელოვანი დელეგაციის ხეობის ბოლომდე გაყვანა, საიდუმლოდ დარჩა. ძალოვნებმა ეს კითხვა უპასუხოდ დატოვეს. **"უნდა გითხრათ, რომ დღეს გაწბილებული დავრჩი. სამწუხაროდ, მე ვერ ვნახე პანკისის ხეობა და ვერ მივიღე პასუხი კითხვაზე - რამდენად კონტროლდება იგი საქართველოს სამართალდამცავების მიერ. ჩვენ ხეობაში შეგვიყვანეს სულ სამი კილომეტრის სიღრმეში, ისიც საათნახევარით, ეს არასერიოზულია,"** – ვიზიტის ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი არ გამოპარვია ექსპერტთა ჯგუფში რუსეთის წარმომადგენელს იური შარანდინს, რომელიც ფედერაციის საბჭოს წევრია.

**"ალბათ, უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ ექსპერტები ხადორამდე აგვეყვანა. დელეგაციის მოძრაობის გეგმის შედგენა მთლიანად ძალოვნების პრეროგატივა იყო, მათ კი ეს გეგმა შემოგვთავაზეს. თუმცა, ჩვენი ამოცანა არ ყოფილა ტყე-ღრეში ბოევიკების ძებნა. ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია ხეობაში ნამდვილად მიმდინარეობს. რუსებს პანკისი კალიფორნია ჰგონიათ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ პანკისი ის არის, რაც ჩვენ დღეს ყველამ ვნახეთ და სხვა არაფერი. ევროპელებს კი ხალხი აინტერესებდათ და არა სივრცე. მათ ნახეს ხალხი. ჩეჩენ ლტოლვილებთან შეხვედრამ მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა – ნახეს, რა დღეშიც ჩააგდო რუსეთმა საკუთარი მოქალაქეები. ამიტომ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დასკვნაში, რომელსაც ევროსაბჭოს ექსპერტთა ეს ჯგუფი მოამზადებს, გაკეთდება გარკვეული შენიშვნები საქართველოს მიმართაც, თუმცა, რაც არ უნდა თქვან რუსებმა, მთლიანობაში დასკვნა პროქართული იქნება,"** –ამბობს ექსპერტთა ჯგუფის ქართველი წარმომადგენელი ელენე თევდორაძე.

# "ნაციონალები" საიმპიჩმენტო დოკუმენტს თავად ქმნიან

## და არ აპირებენ წყალი მიუმატონ "აღორძინების" წისქვილს

*გუშინ "ნაციონალურმა მოძრაობამ" პოლიტიკური საბჭოს ღია სხდომა გამართა. ძირითადი საკითხი, რაც მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ თანაგუნდელებთან განიხილა, შევარდნაძის იმპიჩმენტი გახლდათ. "ნაციონალები" "აღორძინების" მიერ შედგენილ პრეზიდენტის საიმპიჩმენტო დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ. "ნაციონალური მოძრაობა," ბათუმური ალიანსის საპირისპიროდ, საკუთარ დოკუმენტს ამზადებს. პრეზიდენტის გადასაყენებელი დოკუმენტის მომზადება სააკაშვილმა პარტიის იურისტებს უკვე დაავალა.*

სოფო ბუკია

პრეზიდენტ შევარდნაძის იმპიჩმენტის იდეა "აღორძინების" წიაღში რომ არ შობილა, ამას "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები, დიდი ხანია, ამტკიცებენ. თუმცა, ბათუმური ძალების მიერ მის გაჟღერებას ანგარიშს უწევენ.

"აღორძინების" ინიციატივას "ნაციონალების" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ შანტაჟად მიიჩნევს. მისი თქმით, ასლან აბაშიძე შევარდნაძეს აშანტაჟებს – თუ თავს არ დაგვანებებ, ჩვენ იმპიჩმენტით გიპასუხებთო.

შევარდნაძის შესაძლო იმპიჩმენტზე ოცნება დიდი ხანია არ ასვენებს სააკაშვილის გუნდის წევრებს, მაგრამ ამ ოცნების ხორცშესასხმელად "ნაციონალები" აბაშიძის წისქვილისთვის წყლის მიმატებას არ აპირებენ. **"ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მოვაწერთ ხელს ასლან აბაშიძის სურვილებით შექმნილ დოკუმენტს. აბაშიძე ითხოვს, დოკუმენტში ჩაიწეროს, რომ შევარდნაძის იმპიჩმენტის მიზეზი გახდა მისი დაპირისპირება ასლან აბაშიძესთან. ასეთ დოკუმენტს ჩვენ ხელს არ მოვაწერთ!"** – აცხადებს სააკაშვილი.

"ნაციონალებს" შევარდნაძის საიმპიჩმენტო პროცედურის დაწყების საკუთარი გეგმა აქვთ, რომელიც, მათივე თქმით, სერიოზულ იურიდიულ არგუმენტებს ეფუძნება. "ნაციონალები" პრეზიდენტს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ. მოგეხსენებათ, 26 აგვისტოს პარლამენტმა, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელია, გამოიყენა თავისი კონსტიტუციური უფლება და გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად, უნდა დაწყებულიყო საქართველოს დსთ-დან გამოსვლის პროცედურა და რუსეთის სამშვიდობო ძალებს უნდა დაეტოვებინათ აფხაზეთის კონფლიქტის ზონა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ღიად განაცხადა, რომ პარლამენტის დადგენილების შესრულებას არ იჩქარებს.



პოლიტიკური საბჭოს სხდომა.

**"პრეზიდენტმა დაარღვია პარლამენტის კონსტიტუციური უფლება, ანუ დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, რაც რეალური არგუმენტია საპრეზიდენტო იმპიჩმენტის დასაწყებად. "ნაციონალური მოძრაობა" სწორედ ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით შეადგენს პრეზიდენტის საიმპიჩმენტო დოკუმენტს,"** - აცხადებს პარლამენტარი ზურაბ ადეიშვილი.

"ნაციონალები" საკუთარ საიმპიჩმენტო დოკუმენტზე ხელის მოსაწერად ყველა პოლიტიკურ ძალას ეპატიჟებიან, მათ შორის - "აღორძინებასაც".

სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მარტო სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის გზიდან ჩამოშორება რეალურად ვერაფერს შეცვლის. ამიტომ აუცილებელია მსგავსი პროცედურა შევარდნაძის მიმართაც დაიწყოს. "ნაციონალები" აცხადებენ, რომ "ტრადიციონალისტები" მათ მიერ შედგენილ პრეზიდენტის საიმპიჩმენტო დოკუმენტს ხელს მოაწერენ, რაც შეეხება "ახლებს" და "დემოკრატებს", მათთან "ნაციონალური მოძრაობა" კონსულტაციების გამართვას გეგმავს.

# საქართველოს ეროვნული სათათბიროს განცხადება

საქართველოს ეროვნული სათათბიროს ეგიდით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უშუალო ინიციატივით, 2002 წ. 10 ოქტომბერს მეტალურგიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგა ფორუმი თემაზე - "ქართული მანგანუმის წარმოების რეალობა და პერსპექტივები".

საქართველოს მრეწველობის ბურჯის - ქართული მეტალურგიის დღევანდელ უმძიმეს მდგომარეობაზე ისაუბრეს ამ დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა, მეცნიერ-ექსპერტებმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული სათათბიროს საბჭოს წევრებმა.

საზოგადოების ღრმა აღშფოთება გამოიწვია სახელმწიფო კანცელარიაში დაწყებულმა ოფიციალურმა მსჯელობამ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის რიგი საამქროების ანულირების შესახებ. ქვეყნის ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ იხელმძღვანელოს თავისივე მიღებული კანონით და, როგორც მთავარმა მონაწილემ, მოახდინოს წარმოების კონსერვაცია და მოუხსნას ქონების გადასახადი აღნიშნულ ობიექტებს, მსჯელობს მის ნაწილებად დაშლაზე ან ჯართად დაჭრასა და გაყიდვაზე. საქმე შეეხება ზესტაფონის ქარხნის აგლომერაციისა და ბრიკეტირების უბნების განადგურებას, რომელთა გარეშე ჭიათურის მადნის რაციონალურ გამოყენებაზე ფიქრიც კი ზედმეტია; საუბარია მე-5 საამქროს გაუქმებაზე, რომელიც მსოფლიოს სტანდარტების დონის ორი იაპონური ღუმელითა და უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი და უზრუნველყოფს ჰერმეტულ, ეკოლოგიურად დაცულ საწარმოო ციკლს. თუ რას ნიშნავს გარემოს დაბინძურება ზესტაფონის პირობებში, ყველასათვის არის ცნობილი; სპეციალისტებმა ხაზი გაუსვეს ასევე რგოლური ღუმელის სავალალო მდგომარეობას, რომელიც ამჟამად მთლიანად განადგურებულია.

გამოითქვა აზრი, რომ სამომავლოდ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ჭიათურის მანგანუმის საბადო უნდა იყოს ერთიანი მართვის ქვეშ, რაც შექმნის ამ ორი სტრატეგიული სამრეწველო ცენტრის შეთანხმებული მუშაობის პირობებს. დღეს კი ორივე საწარმო მუშაობს 2-5 პროცენტი სიმძლავრით.

კონკრეტული ღონისძიებებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ განუკითხაობის შეჩერების მოთხოვნით, ფორუმზე გამოვიდა საქართველოს ეროვნული სათათბიროს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, სამართალმცოდნე თ. მამაგეიშვილი. ხაზი გაესვა იმ საერთო ტენდენციას, რომელსაც ადგილი აქვს კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეების მხრიდან - სახელმწიფო საკუთრების წილი, თუ ის მათ პიროვნულ საკუთრებაში არ გადავიდა, დაინგრეს, ჯართად გაიყიდოს, განადგურდეს. აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მარტო საზოგადოების, არამედ ამ დარგის სპეციალისტების აზრის იგნორირებას - როგორც ეს ქალაქ რუსთავის მეტალურგიის ქარხნის მაგალითზე მოხდა, როდესაც საქართველოს ეროვნული სათათბიროს საბჭოს წევრების და უშუალოდ სათათბიროს თანათავმჯდომარის გ. ნიკოლაიშვილის მცდელობითა და დარგის სპეციალისტების ჩარევით, ქარხანა გადაურჩა უცხო ინვესტორზე სამუდამო მფლობელობაში გადაცემას;

კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს საქართველოში მანგანუმის წარმოების შესახებ არსებული მდგომარეობა და წარმოადგინოს მისი სამომავლო პერსპექტივების კვალიფიციური დასკვნა.

საქართველოს ეროვნული სათათბირო მოითხოვს შეწყდეს ყოველგვარი მსჯელობა და მოთხოვნა აღნიშნული წარმოებების დაშლისა და ჯართად გაყიდვის თაობაზე, ვიდრე არ შეიქმნება აღნიშნული კომისიის კვალიფიციური დასკვნა და არ წარედგინება იგი შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს.

საქართველოს მრეწველობის უპირველესი საექსპორტო პროდუქციის - მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობების წარმოება შველას ითხოვს!

*საქართველოს ეროვნული სათათბიროს აღმასრულებელი საბჭო*



# "ტოიოტა" მოგებით მთელ ამერიკულ ავტოწარმოებას უსწრებს

თორნიკე შარაშენიძე

შესაძლოა, იაპონია ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, მაგრამ აქაური ავტოწარმოება ამჟამად მაინც ყველაზე მომგებიანია მსოფლიოში. ეს ფაქტი კიდევ უფრო ცხადი გახდა, როცა "ტოიოტამ" თავისი ანგარიში გამოაქვეყნა. ამ კომპანიის მოგება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 90 პროცენტით გაიზარდა და 4,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს ავტოკომპანიების მიერ დამყარებული ყველა დროის რეკორდი იქნებოდა, რომ არა 1999 წელს "ფორდის" ფანტასტიკური მიღწევა - 7,2 მილიარდი დოლარის მოგება.

"ტოიოტას" მოგებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამერიკული ავტოგიგანტების – "ჯენერალ მოტორზის," "ფორდის" და "დაიმლერ-კრაისლერის" შტოს "კრაისლერის" ერთად აღებულ მოგებას. დეტროიტული "დიდი სამეულის" დაძირვას "ტოიოტას" გარდა ხელი შეუწყეს სხვა იაპონურმა ავტომწარმოებლებმაც – "ჰონდამ" და "ნისანმა." მათი პროდუქცია აშშ-ის ბაზარზე არნახული პოპულარობით სარგებლობს და ადგილობრივ წარმოებას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს.

**"ამ არნახული წარმატების მიზეზი იაპონიის გარეთ უნდა ვეძებოთ,"** - ამბობს "დოიჩე ბანკის" ერთ-ერთი ანალიტიკოსი.

ამერიკული ავტოგიგანტები ყოველივე ამას დოლარის მიმართ იენის კურსის დაცემას მიაწერენ (ასეთი განცხადება გააკეთა "ფორდის" თავკაცმა ბილ ფორდმა). თუმცა, ეს თავის გამართლების მიზეზი არ შეიძლება იყოს, რადგან იენის კურსი რამდენიმე წლის წინ დაეცა. იაპონელთა წარმატება, უპირველესად, მათი დამსახურებაა და არა მათი კონკურენტების შეცდომების შედეგი. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამამავალი მზის ქვეყნის ავტოწარმოების მოგებებს ევროპული კომპანიებიც კი ვერ შეედრებიან. "ბეემვეც" კი, რომელიც სულ სხვა სფეროში (ე.წ. ფუფუნების მანქანებზე) მუშაობს, ასეთი მოგებებით ვერანაირად ვერ დაიკვეხნის. "ფოლკსვაგენის" მოგებები ორჯერ დაეცა. "ფიატზე" საუბარი არ ღირს - ეს უკანასკნელი ვალებშია ჩაფლული და მთლიანად კრედიტორ ბანკებზეა დამოკიდებული, რომლებიც მის ნაცვლად წყვეტენ, კომპანიის რომელი ქონება უნდა გაიყიდოს და რომელი - არა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან - "დაიმლერკრაისლერი," "რენო" (ნაწილობრივ "ნისანის" წყალობით, რომელშიც ფრანგული კომპანია წილს ფლობს) და "პეჟო-სიტროენი."

იაპონურ კომპანიათა სიძლიერე, უპირველესად, მათი მმართველობის და მუშაობის სტილის დამსახურებაა. აქ მანქანები თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად იწყობა, ვიდრე ევროპაში და ერთნახევარჯერ უფრო სწრაფად - ვიდრე ამერიკაში. მმართველობის სტილი აქ უფრო დახვეწილია, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. კომპანიები ძალზე სწრაფად აფიქსირებენ არსებულ პრობლემას და სწრაფადვე აგვარებენ მას, თანაც არა მხოლოდ მენეჯერების და ექსპერტების, არამედ რიგითი თანამშრომლების აზრსაც ითვალისწინებენ ხოლმე. თითქოს, ამ სტილის დანერგვა იოლია, მაგრამ, ჯერჯერობით, იაპონელთა გარდა ეს ვერავინ მოახერხა.

ასე რომ, იენის კურსის დაცემა არაფერ შუაშია და ფორდებმა, წარუმატებლობის ასახსნელად, სხვა მიზეზი უნდა გამოძებნონ.

# პლასტიკური ბარათები საქართველოში პოპულარული არ არის

ნინო ნარჩემაშვილი

საგადამხდელო სისტემები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს - მოწესრიგებული და მართვადი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადამხდელო მექანიზმი არ იქნება მომგებიანი, საიმედო და ეფექტური. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე. ქვეყანაში საგადამხდელო სისტემების განვითარებისა და მართვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და თაოსნობით, შექმნილია საგადამხდელო სისტემების მართვის ეროვნული კომიტეტი. კომიტეტში გაერთიანებულნი არიან შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

ეროვნული ბანკის საგადამხდელო სისტემების სამმართველოს უფროსმა ვახტანგ ქარელმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა: **"საქართველოში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება დღეს, შეიძლება ითქვას, საწყის სტადიაშია. სხვა ქვეყნების მსგავსად, პლასტიკური ბარათების დანერგვა საქართველოშიც სერიოზულ პრობლემებს წააწყდა, რაც სხვადასხვა გარემოებებმა განაპირობეს. კერძოდ, მოსახლეობის ძირითად ნაწილს, დაბალი ხელფასების გამო, არა აქვს ბარათების შეძენის საშუალება და სურვილი, სამომხმარებლო ბაზარი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რესურსებით, მოსახლეობის უმეტესობა პროდუქციას ბაზრებსა და ბაზრობებზე ყიდულობს, ხალხი ჯერ კიდევ არ ენდობა "საბარათო შესყიდვებს", საბარათო სისტემების დასანერგად საჭიროა ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებები და სხვა."**

"საქართველოს ბანკის" ინიციატივითა და ფრანგული კომპანიის დახმარებით, 1996 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება "ჯორჯიან კარდი", რომლის ძირითადი აქციონერები კომერციული ბანკები და ფიზიკური პირები არიან. 1997-2002 წლებში "ჯორჯიან კარდის" მიერ გამოშვებულია 11 016 ლოკალური და 14 880 საერთაშორისო ბარათი. ამავე პერიოდში ლოკალური და საერთაშორისო ბარათებით ფულის ბრუნვის მოცულობამ 88 502 946 ლარი შეადგინა. სისტემაში ჩართულია 14 ბანკომატი. ბარათებით სარგებლობა შესაძლებელია მომსახურების 107 წერტილში (სუპერმარკეტები, რესტორნები, კაზინოები, ავიასალაროები და სხვა).

საერთაშორისო და ლოკალური პლასტიკური ბარათების მომსახურების სფეროში ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოება "გაერთიანებული საფინანსო კორპორაციაც" (UFS), რომელიც ახორციელებს საერთაშორისო ბარათებით მომსახურებას საქართველოს 125-ზე მეტ საბანკო დაწესებულებასა და სავაჭრო ობიექტზე, აგრეთვე, მომსახურების ახალ სახეებს ნერგავს ინტერნეტის ქსელის და მობილური კავშირგაბმულობის გამოყენებით. ამ სერვისის მეშვეობით შესაძლებელია AES თელასის გადასახადისა და "ტელეკომის" დავალიანების გადახდა, "მაგთისა" და "ჯეოსელის" ბარათების შეძენა.

საკანონმდებლო ბაზა ნებისმიერი საგადამხდელო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს. ამ მხრივ კი საქართველოში არსებობს ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის ჩვენში საგადამხდელო სისტემების სრულყოფას. **"საგადამხდელო სისტემების მართვის ეროვნული კომიტეტი რეგულარულად მუშაობს სისტემის განვითარების საკითხებზე. შედეგს კი მოსახლეობა მხოლოდ მაშინ დაინახავს, როცა თვითონ გახდება პროცესების უშუალო მონაწილე,"** – დასძინა ვახტანგ ქარელმა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 26 ოქტომბრი – 1 ნოემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6412 | 0.6327 | 0.0052 |
| US$ | 1.5596 | | 0.9867 | 0.0081 |
| €uro | 1.5802 | 1.0137 | | 0.0083 |
| ¥en | 191.34 | 122.7 | 121.06 | |

### 2002 წლის 1 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1380 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3781 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4613 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1670 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2968 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1770 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0683 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4424 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2375 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0657 | ლარი |

# მთავრობა პარლამენტს შეუძლებელს - ბიუჯეტის შესრულებას ჰპირდება

პირველი გვერდიდან


მირიან გოგიაშვილი.

კონტროლის პალატის შეფასებით, ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით შარშან გაცილებით რთული მდგომარეობა იყო, რასაც, საბოლოო ჯამში, სეკვესტრი მოჰყვა. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის თამარ ბიჭიკაშვილის განცხადებით, წელს სეკვესტრის საფრთხე ნაკლებია.

**"მართალია, სახელმწიფო ბიუჯეტში არის 82 მილიონი ლარის გარღვევა, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა მკვეთრად უარყოფითი შეფასებების საფუძველს, რადგან ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები დღითიდღე უმჯობესდება. ჩვენი რეკომენდაციით, თუ დარჩენილ ორ თვეში ფინანსთა სამინისტრო და სხვა პასუხისმგებელი უწყებები მაქსიმალურ მობილიზებას მოახდენენ, შესაძლოა, წლის ბოლოს სეკვესტრი თავიდან ავიცილოთ,"** – განაცხადა თამარ ბიჭიკაშვილმა.

საკმაოდ ლოიალური შეფასებები გააკეთეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ზაზა სიორიძემ და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით სალარიძემ. ორივემ ცალსახად განაცხადა, რომ მართალია, ცხრა თვის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, მაგრამ აღმასრულებელთა მხრიდან მაინც დიდი შრომაა გაწეული, რაც უდავოდ დასაფასებელია. პარლამენტართა ამგვარი განწყობა ნამდვილად მოულოდნელი იყო, რადგან ერთი თვის წინ, რვა თვის შედეგების განხილვისას ზაზა სიორიძე გაცილებით უკომპრომისო და შეურიგებელი ჩანდა ბიუჯეტის არშემსრულებელთა მიმართ.

ერთადერთი, ვინც სეკვესტრის გარდაუვალობაზე საუბრობს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეა. გოცირიძის თქმით, ორ თვეში მთავრობას ძალიან გაუჭირდება წლიური გეგმის დარჩენილი ნაწილის - 400 მილიონ ლარზე მეტის, მობილიზება.

**"მით უმეტეს, რომ ევროკავშირიდან 45-მილიონიანი გრანტის მიღება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ამის მიზეზი მხოლოდ პიტერ შოუს გატაცების ფაქტი არ არის. საქართველოს მთავრობა არ ასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც ევროკავშირის მიმართ იკისრა - ვგულისხმობ სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის შეყოვნებას,"** – განაცხადა რომან გოცირიძემ.

# „ეი-ი-ეს თელასი" თბილ ზამთარზე ოცნებობს

## ელექტროენერგიის ტარიფი კი 13.7 თეთრამდე გაიზარდა

გვანცა კვინიკაძე


იგნასიო ირიბარენი

დღეიდან თბილისში ამოქმედდება "ეი-ი-ეს თელასისთვის" უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება: 1 კილოვატი ელექტროენერგია 13.7 თეთრი ეღირება. ამის თაობაზე გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა (სემეკი) და ამერიკული კომპანიის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა.

გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ გაჭიანურდა; "ეი-ი-ეს თელასი" ელექტროენერგიაზე ტარიფის 2.8 თეთრით მომატებას ითხოვდა, საბოლოოდ სემეკი მხოლოდ 1.3 თეთრის დამატებას დათანხმდა. მიუხედავად ამისა, ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები ამ გადაწყვეტილებით საკმაოდ კმაყოფილები არიან. ტარიფის გაზრდასთან ერთად "ეი-ი-ეს თელასი" გადასახადების ამოღების მაჩვენებლის გაზრდასაც გეგმავს.გამრიცხველიანების პირველი ეტაპის შემდეგ უმრიცხველოდ დარჩენილი მოსახლეობიდან კიდევ ოთხი ათას აბონენტს დაუმონტაჟა მრიცხველი და იგი ამ პროცესს კვლავაც გააგრძელებს.

ჯერჯერობით დაუზუსტებელია, შეასრულებს თუ არა ხელისუფლება დაპირებას, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიის ტარიფის 1.3-თეთრიანი დანამატი მოსახლეობის ნაცვლად, მან თავად უნდა დაფაროს. წინასწარი გათვლებით, თბილისის აბონენტების რაოდენობაზე გადაანგარიშებით, წლიურად ეს თანხა 14 მილიონ ლარს შეადგენს. ხელისუფლება, დაახლოებით, 250 ათასი სოციალურად დაუცველი ოჯახის სუბსიდირებას გეგმავს. გარდა ამისა, მას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარების იმედიც აქვს. წელს USAID სპეციალური პროგრამის ფარგლებში 110 ათას ოჯახს დაეხმარება. სემეკმა ასევე მოამზადა და მთავრობას წარუდგინა წინადადებების პაკეტი ცალკეული სოციალური ჯგუფებისთვის განკუთვნილი შეღავათების დაწესების თაობაზე.

რაც შეეხება აბონენტებთან სამომხმარებლო ხელშეკრულების გაფორმებას, ეს პროცესიც დღეიდან დაიწყება და, როგორც სემეკში აცხადებენ, დაახლოებით, დეკემბერ-იანვარში დასრულდება. ამ ხელშეკრულების თანახმად, "ეი-ი-ეს თელასი" ვალდებულია, აბონენტებისთვის ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდება უზრუნველყოს. ხელშეკრულება ამერიკულ კომპანიას დენის გათიშვას გეგმიური რემონტების ან პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, ავარიული და ფორსმაჟორული შემთხვევების, სისტემური ავარიების, მოწყობილობების დაზიანების, საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობისა და კიდევ რამდენიმე შემთხვევაში პატიობს. ამჟამად დედაქალაქში საკმაოდ გახშირებულ გამორთვებს იგნასიო ირიბარენი იმით ხსნის, რომ "ელექტროგადაცემის" ქვესადგურები სტანდარტული სიხშირის შენარჩუნებას ვერ უზრუნველყოფენ.

ტარიფის გაზრდა და "თელასთან" გაფორმებული ხელშეკრულება, როგორც ჩანს, მაინც ვერ გვიხსნის ბნელი ზამთრისაგან. ირიბარენის განცხადებით, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებელზე, რადგან, თუ კომპანიამ გადასახადები ვერ ამოიღო, მას არ ექნება საშუალება ელექტროენერგიის დანაკლისის შემთხვევაში, იგი მეზობელი ქვეყნებიდან (რუსეთიდან ან სომხეთიდან) შეივსოს. ირიბარენი ახლავე აცხადებს, რომ "ეი-ი-ეს თელასს" ნაკლები პრობლემები შეექმნება, თუ მომავალი ზამთარი თბილი იქნება.

კარგი განწყობილების რეცეპტები

შემოდგომაა... ჩვენს ხასიათს თითქოს რაღაც მოსდის. ჯერ კიდევ გუშინ ცხოვრება მშვენიერი გვეჩვენებოდა, დღეს კი ყველაფერი გაუფერულდა, ღიმილი გაქრა, ოპტიმიზმი უჩვეულო გაღიზიანებამ შეცვალა. ამასთან, ემოციების ამგვარი ცვლილების სერიოზული მიზეზი თითქოს არც ყოფილა..

როგორც წესი, ცუდი გუნება- განწყობილების მიზეზის ახსნას უმეტესად ვერც ვახერხებთ. ჩვენი ხასიათი, ემოცია და ენერგია არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული: ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმები, კვება, ფიზიკური კონდიციები, გარეგნობა, მომხდარი მოვლენები და ა.შ.

ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც წინასწარ შეგუებულნი არიან ემოციათა უმართავობას, გაცილებით ცუდად გრძნობენ თავს. ისინი თვითონ ვერც ამჩნევენ, რომ თანდათანობით საქმე, სამსახური და კარიერა ქვევით ეშვება. რა თქმა უნდა, ყველაფრის გადაბრალება გარემო არეულობაზე ყველაზე მოსახერხებელია. თუმცა დაიმახსოვრეთ, რომ მხოლოდ ოპტიმიზმი და ღიმილი გახლავთ წარმატების საწინდარი.

ყველაფერს თავისი ახსნა აქვს

სიმპტომები, რომლებიც სტრესისთვისაა დამახასიათებელი:

* ყურადღების კონცენტრაციის შეუძლებლობა
* უმართავი ემოციები
* საკუთარ ძალებში ეჭვის შეტანა
* გადაწყვეტილებების ძნელად მიღება
* დაძაბულობა, რომელსაც თან ერთვის თავის ტკივილი

სანამ საკუთარ თავში სტრესული მდგომარეობის აღმოჩენას შეუდგებით, გაიხსენეთ, რომ გარემო მოვლენების ზეწოლა ადამიანს ართმევს სიტუაციის მართვის უნარს. ამიტომ, სხვა თვალით შეხედეთ გარემოს. მთავარია – შეაჩერეთ ნეგატიური აზრების მოზღვავება და შეეცადეთ აღმოაჩინოთ ნებისმიერი სიტუაციის დადებითი მხარე! ნუ შეუდგებით პირადი ცხოვრების თუ კარიერის დეტალურ გამოძიებას. შეჩერდით, ყოფნა-არყოფნის საკითხი შემდეგისთვის გადადეთ. შეეცადეთ მოერიოთ სევდას და დაკავდით ნებისმიერი საქმით, დაემშვიდობეთ ცუდ განწყობას, რაშიც უეჭველად დაგეხმარებათ მცენარეული ანტიდეპრესანტი გერმანული ფირმა ბიონორიკა-სგან – ჰელარიუმი.






ახლა კი შევეცადოთ ჩვენი ცუდი გუნება-განწყობილების მიზეზის პოვნას.

მელანქოლიაში ვარდებით წვიმიან დილას? იქნებ ვარსკვლავების ბრალია? რატომ მაინც-დამაინც ეხლა? ეს სტრესია დამნაშავე?

დიახ, შესაძლოა ცუდი გუნება განწყობილება სწორედ სტრესის ნიშანიც იყოს. ოღონდ ერთი პირობით, თუ ამგვარი განწყობა თავს გაბეზრებთ ყოველდღიურად და დასასრული არ უჩანს.



მიიღეთ მცენარეული პრეპარატი ჰელარიუმის თითო დრაჟე 3-ჯერ დღეში და გაფანტეთ კაეშანივით გულზე მოწოლილი ღრუბლები.

ჰელარიუმი
(კრაზანას ექსტრაქტი)
ფიტოპრეპარატი ფსიქოვეგეტატიური მოშლილობებისა და დეპრესიული მდგომარეობის სამკურნალოდ

* გერმანული ფირმა ბიონორიკა – უმაღლესი ფარმაცევტული ხარისხის გარანტი
* ჰელარიუმი-ს დასამზადებლად გამოიყენება სპეციალურად გამოყვანილი და საგულდაგულოდ გადარჩეული კრაზანას ყვავილები და ფოთლები
* ნატურალური მცენარეული ანტიდეპრესანტი
* ამაღლებს გუნება-განწყობილებას
* ნაჩვენებია დეპრესიული მდგომარეობისა და ფსიქოვეგეტატიური მოშლილობების სამკურნალოდ
* პაციენტთა ფართო კონტიგენტზე ჩატარებული კლინიკური კვლევები
* წარმატებული შედეგი პაციენტთა 80%-ში
* კარგი ამტანობა
* არ გააჩნია მიღების უკუჩვენებები
* არ ახასიათებს სხვა მედიკამენტებთან ურთიერთქმედება
* ჰელარიუმი – სინთეზური ანტიდეპრესანტების საიმედო და უსაფრთხო ალტერნატივა

გიხაროდეს ყოველი დღე

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ 96-06-84; 95-37-10

# მოსკოვი კონტრშეტევაზე გადავიდა – რას ემსახურება ანტიჩეჩნური ისტერია?

*ერთი შეხედვით, "ნორდ-ოსტის" კრიზისის შემდეგ მოსკოვი საბოლოოდ დაადგა ჩეჩნების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გზას. მაგრამ მოსკოვის ანტიჩეჩნური რიტორიკა, შესაძლოა, სინამდვილეში მიზნად ისახავდეს კრემლის შეცდომების მიჩქმალვას და არა ჩეჩნების წინააღმდეგობის მოძრაობის საბოლოო განადგურებას.*

გიორგი ხელაშვილი

რატომ არ აიფეთქეს ტერორისტებმა თავი და არ ააფეთქეს მთელი თეატრი, როდესაც შტურმის მოახლოების საშიშროება იგრძნეს? მოსკოვის კრიზისის შემდეგ ეს კითხვა სულ უფრო და უფრო ფართო რეზონანსს იძენს. გაჩნდა სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჩეჩენი ტერორისტები, შესაძლოა, დუბროვკაზე განლაგებულ თეატრალურ ცენტრში პოლიტიკური და არა ტერორისტული აქციის ჩატარებას გეგმავდნენ. ჯერჯერობით, ამ ვერსიის ყველაზე წონიანი საბუთი ისაა, რომ ჩეჩნებს ნაღმების დეტონირება არც უცდიათ.

**"იმ ადამიანებმა, რომლებმაც მძევლების გათავისუფლების ოპერაცია ჩაატარეს, ტერორისტი ქალების ხელში ასაფეთქებელ მექანიზმები და ბატარეები შენიშნეს. აფეთქებისათვის მხოლოდ მათი ერთმანეთთან მიერთება იყო საჭირო. მიჭირს პასუხის გაცემა, თუ რატომ არ ჩაიდინეს მათ ეს,"** – განაცხადა გამოძიების ფედერალური სამსახურის კრიმინალისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვლადიმირ ერიომინმა გუშინ მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მის სიტყვებში აშკარად იგრძნობოდა დაბნეულობა, რომელიც გასაგები გახდება, თუ ერიომინის სხვა შეფასებასაც გავითვალისწინებთ – ჯერ ერთი, თეატრის შენობაში შეტანილი ასაფეთქებელი ნივთიერებების საერთო რაოდენობა 110-120 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტური ძალისა უნდა ყოფილიყო, ანუ აფეთქებისას ნგრევის შესაძლო რადიუსი, დაახლოებით, 1000 მეტრი იქნებოდა. მეორეც, ტერორისტების ხელთ არსებული მოწყობილობები **ძალიან მაღალ პროფესიულ დონეზე იყო დამზადებული, რაც ტერორისტული აქტის ორგანიზატორების მომზადების მაღალ რანგზე მეტყველებს.**

მაშასადამე, ტერორისტები კარგად მომზადებული პროფესიონალი მებრძოლები ყოფილან, რომლებსაც ხელთ ჰქონდათ გამართული ასაფეთქებელი მოწყობილობები, ფლობდნენ ინფორმაციას სპეცრაზმის მიერ შტურმის დაწყების შესახებ, ჰქონდათ დრო და შესაძლებლობა, თავიც აეფეთქებინათ და თეატრის შენობაც და ეს მაინც არ ჩაიდინეს.

რატომ? ამ კითხვას დღეს რუსეთის ფარგლებს გარეთ უფრო სვამენ, ვიდრე რუსეთის შიგნით. ალბათ, იმიტომ, რომ ხელისუფლების წინაშე უკვე დაგროვდა ეს და ბევრი სხვა უხერხული კითხვაც, რომლებზეც კრემლს პასუხი არ გააჩნია და დუმილს ამჯობინებს. ბუნებრივია, ახლა რუსეთის ხელისუფლებას ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს მიუზიკლი "ნორდ-ოსტის" ჩვენების დროს დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებში ჩაღრმავება. ამიტომაც, ფიქრს, განსჯასა და ანალიზს, მოქმედება და ხმაური ურჩევნია. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ უკვე მოძებნა თემა, რომელზეც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მოსახლეობის ყურადღების გადატანა შეიძლება.

მოსკოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, უკვე რამდენიმე დღეა, რუსეთის ძალოვანმა უწყებებმა ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი ოპერაციები დაიწყეს. მათ ალყაში მოაქციეს გროზნოს რაიონის სოფელი პრიგოროდნოე. გუშინ კი ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის არმიის გაერთიანებული დაჯგუფების სარდლის მოადგილის, გენერალ სერგეი ზემლიანსკის მეთაურობით რუსეთის სამხედრო დანაყოფებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს დასახლება ჩეჩენაულში და იქვე, აულის ახლოს, დაბანაკდნენ. გარდა ამისა, რუსეთის არმიის ნაწილებმა ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე განლაგებულ ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკიც მოაქციეს ალყაში. ამ ბანაკის კარვებში 20 ათასამდე ჩეჩენი დევნილი ცხოვრობს. ისინი შეშფოთებულნი არიან რუსეთის ნაწილების გამოჩენით და ფიქრობენ, რომ სამხედროები ბანაკში მასობრივ დაპატიმრებებს განახორციელებენ. მათ უკვე აიყვანეს რამდენიმე ჩეჩენი ახალგაზრდა.

ჩეჩნების შევიწროება მთელ რუსეთში დაიწყო. რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები აცხადებენ, რომ მოვსარ ბარაევის ჯგუფს მხოლოდ მოსკოვში ასამდე ტერორისტი-კამიკაძე უმაგრებდა ზურგს. ამ მოტივით ბოლო დღეებში უკვე დააპატიმრეს ჩეჩენი ეროვნების ათეულობით მოქალაქე. ეს კამპანია არა მარტო მოსკოვში, არამედ რუსეთის პროვინციულ ქალაქებშიც მიმდინარეობს.

უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მოსკოვი აღარ აპირებს ამბოხებული ჩეჩნების ლიდერებთან პოლიტიკური დიალოგის დაწყებას (თუკი ამას ოდესმე აპირებდა) და, ამის ნაცვლად, სეპარატისტების გასანეიტრალებლად სამხედრო ძალის გამოყენებას განაგრძობს. მოსკოვში ჩეჩნების წინააღმდეგ უკვე ამოქმედდა რუსეთის სადამსჯელო მექანიზმი. ხოლო საზღვარგარეთ, სადაც კრემლს ძალისმიერი მოქმედებების განხორციელება არ შეუძლია, რუსეთის დიპლომატიური და პოლიტიკური ბერკეტები ამუშავდა. გარდა ამისა, მთელი სიმძლავრით ჩაირთო კრემლის პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც ცდილობს, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის პოლიტიკურ ბრძოლასა და ტერორისტულ აქტებს შორის ზღვარი წაშალოს.

გუშინ რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი ჩეჩნეთის კონფლიქტის საკითხებში, სერგეი იასტრჟემბსკი ყველანაირად შეეცადა, დაერწმუნებინა ჟურნალისტები, რომ მოსკოვის ტერორისტულ აქციას ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი აკონტროლებდა. ამის დასადასტურებლად კრემლის წარმომადგენელმა მოვსარ ბარაევსა და მის თანამოაზრეებს შორის გამართული სატელეფონო საუბრები მოიხმო. ეს სატელეფონო საუბრები რუსეთის სპეცსამსახურებმა "ნორდ-ოსტის" კრიზისის დროს ჩაიწერეს. საუბრის დროს ბარაევი და მისი თანამოაზრეები ხშირად ახსენებენ ვინმე "შამილს", რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების აზრით, სხვა არავინაა, თუ არა შამილ ბასაევი. რუსების ლოგიკით, რადგან წელს ზაფხულში შამილ ბასაევი და ასლან მასხადოვი "შერიგდნენ", ბარაევის რეიდის შესახებ მასხადოვსაც უნდა ცოდნოდა. ამგვარი "განტოლებებით" რუსები ბარაევისა და მასხადოვის სახელებს აიგივებენ.

აშკარაა, რომ მთელი ეს პროპაგანდისტული კამპანია ჩეჩნური წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტირებას ემსახურება – უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის თვალში, რომელიც აქამდე ჩეჩნების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ერთგვარ "მფარველად" გამოდიოდა. "24 საათის" გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით შეერთებული შტატების ოფიციალური პირების რეაქციაზე, რომელიც ასლან მასხადოვისთვის მარცხის ტოლფასი გამოდგა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამერიკელების დამოკიდებულება მასხადოვის მიმართ, მოსკოვის ტერორისტულ აქციაზე მეტად, აგვისტოში მასხადოვისა და ბასაევის "ისტორიულმა შერიგებამ" შეცვალა. უკვე ამ ფაქტის შემდეგ ამერიკელებმა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში მასხადოვის ტერორისტებთან კავშირზე და ჩეჩნების მხრიდან მისი, ახალი ავტორიტეტული ლიდერით ჩანაცვლებისს აუცილებლობაზე დაიწყეს საუბარი.

ამრიგად, მასხადოვი, ფაქტობრივად, დაუცველი აღმოჩნდა რუსეთის ბრალდებების წინაშე. გუშინ ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პროკურატურამ უკვე გასცა ორდერი მის დასაპატიმრებლად. მასხადოვის გარდა, "შავ სიაში" მოხვდნენ ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი იანდარბიევი, ყოფილი ვიცე-პრემიერები - ახმად ზაკაევი და ხოჯ-ახმედ ნუხაევი და შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი კაზბეკ მახაშევი. რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი ზედმეტია "ექს-პრემიერ" შამილ ბასაევზე, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით ჯერ კიდევ 1995 წლის ბუდიონოვსკის რეიდის შემდეგ იძებნება. ყველა მათგანზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. ამ პირებიდან კრემლს ჯერჯერობით მხოლოდ ახმედ ზაკაევის ხელში ჩაგდების იმედი შეიძლება ჰქონდეს. ოთხშაბათს კოპენჰაგენში დაკავებული ზაკაევი რუსეთში ექსტრადირების გადაწყვეტილებას ელოდება. საინტერესოა, რომ ზაკაევზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ 2001 წლის ოქტომბერში აღიძრა, მაგრამ მისთვის ხელიც არავის უხლია. უცნაურია, რომ სწორედ "ტერორისტი" ზაკაევი შეხვდა 2001 წლის 18 ნოემბერს მოსალაპარაკებლად პუტინის წარმომადგენელს ვიქტორ კაზანცევს. ეს შეხვედრა სადმე იჩქერიის მთებში კი არა, მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში გაიმართა. მაშასადამე, რუსეთის მთავრობას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ზაკაევი ტერორისტია – გაახსენდა მაშინ, როდესაც ხელისუფლებას ჩეჩენი პოლიტიკოსების დევნა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის დასჭირდა. დანიაში ზაკაევის დაკავებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი იმედს, რომ რუსეთი ჩეჩნეთის საკითხზე მოლაპარაკებებს შეიძლება დათანხმდეს – აქამდე ხომ სწორედ ზაკაევი მიიჩნეოდა მოლაპარაკებების ყველაზე ეფექტურ მონაწილედ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ გუშინწინ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ბორის ბერეზოვსკის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთში ჩეჩენი სეპარატისტების ხელშემწყობად მიიჩნევენ.

ერთი სიტყვით, ჩეჩნებისა და მათი მფარველების თუ ხელშემწყობების წინააღმდეგ ტოტალური კამპანიაა დაწყებული. მაგრამ საკითხავი ისაა, რას ისახავს მიზნად ეს კამპანია – ნამდვილად ჩეჩნების წინააღმდეგობის მოძრაობის საბოლოო განადგურებას, თუ რუსეთის ხელისუფლების მიერ მოსკოვის ტერორისტული აქციის დროს დაშვებული შეცდომების მიჩქმალვას. თუ ამ უკანასკნელ ვერსიას გავიზიარებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ჩეჩნებთან დაკავშირებული აურზაური მოსკოვის ტერაქტით გამოწვეული ხმაურის ჩაწყნარებისთანავე დავიწყებას მიეცემა. ჩეჩნეთის კონფლიქტის გარშემო არსებული ვითარება კი – მოსკოვშიც და ჩეჩნეთშიც – "ნორდ-ოსტის" კრიზისამდელ ჩიხურ მდგომარეობას დაუბრუნდება.

# ისრაელის სამთავრობო კოალიცია დაიშალა

*ისრაელის საკანონმდებლო ორგანომ, ქნესეთმა, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პირველივე წაკითხვით მიიღო. ამისათვის ხელი არ შეუშლია ისრაელის შრომის პარტიის პროტესტს, რამაც, ფაქტობრივად, სამთავრობო კოალიციის დაშლა გამოიწვია.*

ლევან ღირსიაშვილი



პერესმა და შარონმა თანხმობას ვერ მიაღწიეს

REUTERS

ისრაელის ქნესეთმა ბიუჯეტის პროექტს კენჭი მას შემდეგ უყარა, რაც ისრაელის შრომის პარტიის წარმომადგენლებმა პარლამენტის სხდომა დატოვეს. ამ სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტს სხდომაზე დარჩენილი 67 დეპუტატიდან მხარი 45-მა დაუჭირა, ხოლო ორმა თავი შეიკავა.

მემარცხენე-ცენტრისტული შრომის პარტია სამთავრობო კოალიციაში გუშინდლამდე პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის უმთავრეს პარტნიორად ითვლებოდა. გუშინ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა და შრომის პარტიის ლიდერმა ბენიამინ ბენ ელიაზერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთეს. ესოდენ გავლენიანი მინისტრების უკმაყოფილება ღაზას სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების შემდგომი დაფინანსების გეგმამ განაპირობა. ბიუჯეტის პროექტი ამ მიზნებისთვის 150 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. შრომის პარტია კი დაჟინებით ითხოვდა, რომ ამ თანხის ნაწილი ისრაელის შიგნით, მოქალაქეების სოციალურ მოთხოვნილებებზე დახარჯულიყო. კითხვაზე: ნიშნავს თუ არა ასეთი საკვანძო სამინისტროების ხელმძღვანელთა გადადგომა კოალიციური მთავრობის დაშლას? პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დადებითად უპასუხა.

ისრაელის შრომის პარტიამ და არიელ შარონის პარტია "ლიკუდმა" კოალიცია ორი წლის წინ შექმნეს, როდესაც ახალი პალესტინური ინტიფადა დაიწყო. კოალიციის დაშლამდე კი შრომის პარტიის ლიდერმა და თავდაცვის მინისტრმა ბენ ელიეზერმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ ის გადადგებოდა, თუ პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ებრაული დასახლებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების გადანაწილებას არ მოახდენდა. მიუხედავად ამისა, არიელ შარონი აქტიურად უჭერდა მხარს ებრაულ დასახლებებს. ამით მან უგულებელყო თავისი პარტნიორი პარტიის მოთხოვნა, ამიტომ ელიეზერმა თანაპარტიელებს ბიუჯეტის საწინააღმდეგოდ ხმის მიცემისკენ მოუწოდა. თუმცა, შრომის პარტიის პროტესტის მიუხედავად, პრემიერ-მინისტრმა მაინც შეძლო ბიუჯეტის დასამტკიცებლად საჭირო ხმების მოპოვება, ძირითადად, მემარჯვენე პარტიების ხარჯზე.

არიელ შარონმა ამ პარტიების დახმარებით პარლამენტში უმრავლესობის აღდგენა განიზრახა. ეს პარტიები პალესტინის საკითხში მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრეები არიან. უკვე ცნობილი გახდა, რომ არიელ შარონმა ქვეყნის თავდაცვის მინისტრის პოსტი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს შაულ მოფაზს შესთავაზა, რომელიც ამ წინადადებას უკვე დათანხმდა. მოფაზი პალესტინელების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების მომხრეა და არაფატის პალესტინიდან განდევნასაც უჭერს მხარს.

სავარაუდოა, რომ "ლიკუდის" და აღნიშნული პარტიების ალიანსი დროებითი იქნება, რადგან ძველი კოალიციის დაშლამ ისრაელის მოქალაქეების მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია. ცალ-ცალკე კი ვერც ერთი პარტია პარლამენტში საკუთარი გადაწყვეტილებების გატანას ვერ მოახერხებს. ასეთ შემთხვევაში არიელ შარონს, ალბათ, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მოუწევს. წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ისრაელში არჩევნები დღეს რომ გაიმართოს, ქნესეთში შრომის პარტია 21 მანდატის მოპოვებას შეძლებს (დღევანდელი 26-ის ნაცვლად), ხოლო "ლიკუდი" –29 დეპუტატს გაიყვანს (დღევანდელი 19-ის ნაცვლად).

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ისრაელში შიდაპოლიტიკური ვითარების დაძაბვა ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესს საგრძნობლად შეაფერხებს. შესაბამისად, ანალიტიკოსები ძლიერი ტერაქტების, ახალი სერიის დაწყებას არ გამორიცხავენ.

## მოკლედ

**უკრაინა.** ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა პრაღაში გამართულ სამიტზე არ მიიწვიოს უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა. **პრაღის სამიტზე უკრაინა-ნატოს კონტაქტები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე დამყარდება."** განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ივ ბროდერმა. აღნიშნული გადაწყვეტილების კომენტირებისას უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ განაცხადა, რომ უკრაინა, როგორც დიდი ევროპული სახელმწიფო, არ შეიძლება მანიპულირების ობიექტად იქცეს. **"გადაწყვეტილება პრაღის შეხვედრის ფორმატის შესახებ უნდა იქნეს მიღებული თანამედროვე ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში უკრაინის რეალური როლისა და ადგილის გათვალისწინებით, ალიანსთან მიღწეული შეთანხმებების მიხედვით,"** – განაცხადა მინისტრმა. **"ჩვენ ყურადღებით ვსწავლობთ შემოთავაზებულ ფორმატს და პარტნიორებს მალე ვაცნობებთ ჩვენ გადაწყვეტილებას,"** – დასძინა მან. ზლენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის მიერ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ აღებული კურსი შეუცვლელია. სავარაუდოა, რომ ნატო-ს ხელმძღვანელობის მხრიდან კუჩმას მიმართ ასეთი ხისტი დამოკიდებულება დაკავშირებული იყოს მის მიერ ერაყისთვის იარაღის შესაძლო მიყიდვასთან. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ნატო-ს ერთ-ერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირის განცხადება, რომელმაც ანონიმურობის გარანტია მოითხოვა. მისი თქმით, ნატო-უკრაინის მომავალი ურთიერთობები პირდაპირ არის დამოკიდებული ერაყისათვის "კოლჩუგას" ტიპის სარადარო დანადგარების მიყიდვის ფაქტზე და ამის გამო დაწყებული გამოძიების შედეგებზე. "ვითარება ძალზე სერიოზულია," - დასძინა მან.

■ ■ ■

**ჩინეთი.** ჩინეთის ხელისუფლება დაინტერესდა თეატრის შენობის შტურმის დროს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული გაზის შემადგენლობით, რათა ჩინეთში ანალოგიური ვითარების შექმნის შემთხვევაში თავადაც ეს ქიმიური შენაერთი გამოიყენოს. ამის შესახებ ცნობა ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს. მექსიკაში ვიზიტით ყოფნისას ჩინეთის ლიდერმა ძიან ძემინმა განაცხადა: **"ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს რუსეთის მიერ განხორციელებულ აქციებს ჩეჩენი ტერორისტების წინააღმდეგ."** ჩინეთის პრესის თანახმად, ძიან ძემინის ხელისუფლება კრიზისულ სიტუაციებში რუსეთის მთავრობის მოქმედებას სამაგალითოდ თვლის და ჩინეთში ასეთი ვითარების შექმნის შემთხვევაში ანალოგიური აქციების განხორცილებას აპირებს. ჩინეთის პოლიციის ოფიცრებს, სპეცრაზმელებს და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელებს მიეცათ მკაცრი მითითება დეტალურად შეისწავლონ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ თეატრის შენობაში განხორციელებული სპეცოპერაცია.


ორი საერთაშორისო კონსორციუმის წამყვანი კომპანია "ბი-პი" (BP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური (შაჰ დენიზის) გაზსადენის პროექტების პარტნიორების სახელით მოხარულია განაცხადოს,

რომ საქართველოში მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის პროექტებისათვის, ხელმისაწვდომი იქნება როგორც ამ პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროგრამის ნაწილი. დოკუმენტი მომზადებულია მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მიწის მესაკუთრეებისა და მოსარგებლეებისათვის. სახელმძღვანელოში მოცემულია მიწასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს მიწის შესყიდვის პროცესს, კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგიას და იმ ფასებს, რომელთა საფუძველზეც მოხდება როგორც მიწის, ასევე მოსავლის კომპენსაცია.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ბი–პი–სთან მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთათვის პროექტის მიწაზე ზემოქმედების შესახებ შეტყობინებაზე მუშაობდა და რომელიც აღნიშნულ დოკუმენტს დეტალურად განიხილავს მილსადენების გასწვრივ მცხოვრებ მიწის მესაკუთრეებთან და მოსარგებლეებთან შეხვედრების მსვლელობისას.

28 ოქტომბრით დაწყებული კვირიდან საზოგადოებას მიეცემა საშუალება, გაეცნოს საქართველოში მიწის შეძენისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ორგანიზაციებში:

**თბილისში**

"BP"–ს თბილისის ოფისში, აღმაშენებლის 123 ა
ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში – გუდიაშვილის № 7
რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის – ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 804
მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია – გაგარინის I შესახვევი 8
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის ოფისის ბიბლიოთეკა – ერისთავის ქ. 9
მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი – თამარაშვილის ქ. 15ა

**რეგიონებში**

რუსთავისა და ახალციხის მიწის მართვის რეგიონალურ დეპარტამენტებში
მიწის მართვის რაიონულ დეპარტამენტებში და მიწათმომწყობებთან საკრებულოების მიხედვით გარდაბანში, მარნეულში, თეთრიწყაროში, წალკაში, ბორჯომში, ახალციხესა და ადიგენში
მიწის მესაკუთრეთაე უფლებების დაცვის რეგიონალურ ოფისში, ახალციხეში

განმარტებები ასევე განთავსებულია ინტერნეტ გვერდებზე:
www.caspiandevelopmentandexport.com
www.assistancegeorgia.org.ge
www.rec-caucasus.net


# მიწისძვრამ იტალიაში საბავშვო ბაღი დაანგრია

გუშინ იტალიის სამხრეთით, პულიის ოლქში 11 საათსა და 40 წუთზე 5,4-ბალიანი (რიხტერის შკალით) მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი რომიდან 226 კილომეტრით იყო დაშორებული. მიწისძვრამ ქალაქ კამპობასოს მიდამოებში სერიოზული ნგრევა გამოიწვია. ქალაქ სანჯულიანოს საბავშვო ბაღში ჭერი ჩაინგრა და ასამდე ბავშვი ნანგრევებში მოემწყვდა. მაშველებმა ნანგრევებიდან უკვე გამოიტანეს ოთხი დაღუპული ბავშვის ცხედარი. კიდევ ოცი ბავშვი დაშავდა; რვა მძიმე მდგომარეობაშია. ყველა მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბავშვები 3-დან 6 წლამდე ასაკის არიან. მათთან ერთად ნანგრევებში მოყვნენ მასწავლებლები და დაწყებითი კლასების რამდენიმე მოსწავლე. რამდენიმე საათის განმავლობაში ნანგრევებიდან ბავშვების ხმა ისმოდა. სანჯულიანოში სამაშველო სამუშაოები გრძელდება. მაშველები შიშობენ, რომ შესაძლოა, მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდოს.



მაშველები ბავშვების გადარჩენას ცდილობენ

REUTERS

## პარლამენტი ვეტერანებს დახმარებას ჰპირდება

*ომისა და ძალოვანი უწყებების ვეტერანთა ორდღიან აქციას მთლად უშედეგოდ არ ჩაუვლია. გამორიცხული არ არის, რომ მათ ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათი ამა წლის 18 აპრილის ჩათვლით მიიღონ.*

ნანა ქადაგიშვილი

1995 წლიდან, ომისა და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ომის ინვალიდებს, დაღუპულთა ოჯახებს ელექტროენერგიის გადასახადი მთლიანად მოეხსნათ, ხოლო მონაწილეები დახარჯული ელექტროენერგიის 50 პროცენტს იხდიდნენ. ასეთი შეღავათით ისინი მხოლოდ 4 წელიწადს სარგებლობდნენ. 1999 წლის 24 დეკემბერს კი პარლამენტმა ლიმიტირებული შეღავათი დააწესა: ომის ვეტერანებისა და დაღუპულთა ოჯახებისთვის - 50 კილოვატი, მონაწილეებისთვის - 30 კილოვატი. ასეთი გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ვეტერანებმა საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლეს. ამა წლის 18 აპრილს სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა - ლიმიტირებული შეღავათი გააუქმა და პარლამენტს ამ საკითხის მოგვარება სთხოვა. პარლამენტმა გასულ წელს მოამზადა სათანადო კანონპროექტი, რომლის პირველი ვარიანტი ომის ინვალიდებისა და დაღუპულთა ოჯახებისთვის ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათს ზამთარში 448 კილოვატს, ხოლო ზაფხულში 418 კილოვატს ითვალისწინებდა, მონაწილეებისთვის კი ზამთარში - 200 კილოვატს და ზაფხულში - 16 კილოვატს. თუმცა, პარლამენტმა ეს ვარიანტი მალევე შეცვალა, რადგან ვეტერანთა დახმარება ძალიან ძვირი ჯდებოდა. ბიუჯეტში ამისთვის 24 მლნ. ლარის ჩადება იყო საჭირო. ამ თანხის გამოყოფას კი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ნამდვილად ვერ შეძლებდა. ამიტომ პარლამენტმა შეიმუშავა კანონპროექტის ახალი ვარიანტი, რომლითაც ელექტროენერგიის გადასახადზე წინა ვარიანტში აღნიშნული შეღავათი განახევრდა.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტის მთავარი ექსპერტი მარლენ ცირეკიძე აცხადებს, ეს კანონპროექტი მომავალ კვირას, პლენარულ სხდომაზე გავა განსახილველად. კანონი გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება და ვეტერანებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, 2002 წლის 18 აპრილიდან ეკუთვნით შეღავათი. "ბიუჯეტში საამისო თანხები უნდა გამოიძებნოს, ყოველ შემთხვევაში, ახალი კანონპროექტი ამას მოითხოვს. ლიმიტირებული შეღავათისთვის გათვალისწინებული თანხა ბიუჯეტში ისედაც დევს, დამატებითი სახსრებიც უნდა მოინახოს", - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტი.

## გაჭირვებულ თბილისელებს USAID გაათბობს

*პირველი დეკემბრიდან თბილისში მუშაობას იწყებს USAID-ის ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამა, რომელიც მარტის ბოლომდე გაგრძელდება. დახმარების პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების, სოციალური მნიშვნელობის დაწესებულებების და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას. კერძოდ, ამ კატეგორიის მიერ ზამთრის თვეებში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადაიხდის.*

ეთერ მამულაშვილი

ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამა, რომელსაც აშშ-ის მთავრობა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის საშუალებით ახორციელებს, საქართველოში უკვე მეხუთედ ტარდება. 2002-2003 წლების ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამა ხუთი მილიონი ამერიკული დოლარით დაფინანსდება.

თბილისის მასშტაბით, 92.000-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახი, მათ შორის, მარტოხელა პენსიონრები, მრავალშვილიანი დედები, პირველი ჯგუფის ინვალიდები, ასევე, საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, საბავშვო ბაღები და უპატრონო ბავშვთა სახლები, ყოველთვიურად, რამდენიმე კილოვატ-საათ ელექტროენერგიას უფასოდ მიიღებენ. ჩამოთვლილ კატეგორიას, შესაძლოა, დაემატოს, მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობაც.

გასული წლების პროგრამაში მონაწილე უკლებლივ ყველა ოჯახი წლეულსაც მიიღებს დახმარებას. სავარაუდოდ, მათ დაემატება განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი რამდენიმე ახალი ოჯახი.

წლევანდელი ზამთრის გათბობის დახმარების შესახებ დეტალური ინფორმაცია ნოემბრის დასაწყისში გახდება ცნობილი. თუმცა, ერთი რამ უკვე ნათელია. თუ შარშან მოსახლეობა თვეში 250 კვ.სთ. ელექტროენერგიას იღებდა უფასოდ, წლეულს ეს ციფრი მნიშვნელოვნად შემცირდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ამერიკის მთავრობამ ზამთრის პროგრამის დაფინანსება, გასულ წელთან შედარებით, წლეულს ოთხი მილიონით შეამცირა.

ამავე მიზეზით, წლევანდელ პროგრამაში, ალბათ, მონაწილეობას ვერ მიიღებს რეგიონის მოსახლეობა. შარშან USAID-ის დახმარების პროგრამა საქართველოს ცხრა რეგიონში განხორციელდა.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში მოქმედ დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში, 1 ოქტომბრის მონაცემებით, 35.5 ათასი სამუშაოს მაძიებელია რეგისტრირებული, რაც წინა თვის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.7 პროცენტით მეტია. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, სამუშაოს მაძიებელთა საერთო რაოდენობაში უმუშევრების წილი 94 პროცენტია. მათ შორის 43.8 პროცენტი ქალია.

რეგისტრირებულ უმუშევართა 11 პროცენტი 25 წლამდე ასაკისაა, 33.2 პროცენტი - 50 წელზე მეტის. 33.9 პროცენტი უმაღლესი, ხოლო 32.6 პროცენტი საშუალო განათლებითაა. ამავე პერიოდისთვის დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებულია 1.360 სამუშაო ადგილი, რაც წინა თვესთან შედარებით 1.6 პროცენტით ნაკლებია. აქედან სამუშაო ადგილების 65 პროცენტი სამუშაო ადგილებისა კერძო სექტორზე მოდის, ანუ, ერთ სამუშაო ადგილზე 25 უმუშევარია.

სექტემბერში დასაქმების სამსახურის მეშვეობით დასაქმდა 770 კაცი, ძირითადად, კერძო სექტორში. აქედან 23 პროცენტი დასაქმდა ვაჭრობაში, 18 პროცენტი - მშენებლობაში, 14 პროცენტი - ჯანდაცვაში, 9.3 პროცენტი - გადამამუშავებელ მრეწველობაში.

დასაქმებულ უმუშევართა 65 პროცენტზე მეტი 3 თვეზე ნაკლები იყო უმუშევარი. სექტემბერში შემწეობა მიიღო 1912-მა უმუშევარმა. ერთი კაცი 13.6 ლარის ოდენობის შემწეობას იღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თიანეთი.** როგორც თიანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მერი ბოდაველიძე აცხადებს, რაიონის სამ საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი ავარიულ შენობებში განახლდა. ამის გარდა, მოსწავლეებს სახელმძღვანელოები და თვალსაჩინოებები არ ჰყოფნით. თიანეთის რაიონის პედაგოგთა ხელფასების დავალიანება 100 ათას ლარს აღემატება. თიანეთის რაიონში სულ 28 საშუალო სკოლა და 15 ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს. ავარიული შენობებიდან სარემონტო სამუშაოები მხოლოდ ორ სკოლაში ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** სოფელ ვარიანში იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიება, რომელიც მისი სახელობის სახლ-მუზეუმში ყოველ წელიწადს იმართება ხოლმე, წლეულს ჩაიშალა. როგორც იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ხელმძღვანელმა აზა ბუაძემ განაცხადა, ტრადიცია რაიონში კრიმინოგენული ვითარების გართულების გამო დაირღვა და „იაკობობა“ თბილისში უხმაუროდ ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 ნოემბერს თბილისში საზეიმოდ გაიხსნება შავი ზღვის აუზის ქვეყნების მოსწავლეთა პირველი საერთაშორისო ოლიმპიადა კომპიუტერულ პროგრამებში. ოლიმპიადის ინიციატორები არიან საქართველოს განათლების სამინისტრო და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. საორგანიზაციო კომიტეტს განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით თარხან-მოურავი თავმჯდომარეობენ.

სტუმრებს მასპინძლობას გაუწევენ თბილისის მოსწავლეები და პედაგოგები. ოლიმპიადის ფინანსური მხარდამჭერები კი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ჩაღლარის (თურქეთი) საგანმანათლებლო-სამეთვალყურეო საბჭო, სააქციო საზოგადოებები „თბილავიამშენი“ და „ავიაკომი“ არიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** მართლმადიდებელი მოსახლეობა იეღოველებს დაუპირისპირდა. იეღოველებმა ჭიათურის ცენტრში, თავიანთი შეკრებებისთვის, სახლი შეიძინეს და მისი გარემონტება დაიწყეს. მართლმადიდებლები ამან ძალიან გააღიზიანა და პოლიციასა და სამღვდელოებას მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ მართლმადიდებლებმა გადაწყვიტეს, როცა იეღოველები სამუშაოს დაამთავრებენ, სახლი გადაწვან ან დაანგრიონ.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჭიათურაში ჩასვლას აპირებს პარლამენტარი გურამ შარაძე. **კავკას-პრესი**

## დაიწყო ავლიპ ზურაბაშვილის საიუბილეო დღეები

*გუშინ თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეზოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. საზოგადოების თავშეყრის მიზეზი იყო ავლიპ ზურაბაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიება.*

ირინე სანებლიძე





*ავლიპ ზურაბაშვილის შთამომავლები პაპის ბარელიეფის გახსნაზე*

მოწვეულ სტუმართა შორის, ძირითადად, იყვნენ საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ღვაწლმოსილი წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი, ასევე, ინსტიტუტის ექიმები და მეტ-ნაკლებად ნაცნობი სახეები.

ახალგაზრდა მოქანდაკის ლევან სალუქვაძის მიერ შექმნილი ბარელიეფი, რომელზეც ავლიპი ზურაბაშვილია გამოსახული, გახსნა გიორგი ნანეიშვილმა, ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორმა. "ასეთი დღეები საჭიროა ჩვენი მომავლისთვის. ყველამ უნდა ვიცოდეთ, ვის ფესვებზე ვიზრდებით, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები. გვეამაყება, რომ ფსიქიატრიის სამეცნიერო საზოგადოება, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღირსეული მემკვიდრეა მიხეილ ასათიანისა და ავლიპ ზურაბაშვილის", - აღნიშნა თავის გამოსვლაში ჯანდაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ.

საზეიმო ღონისძიებას ოფიციოზის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. პარლამენტის ვიცე-სპიკერი, სპეციალობით ექიმი, გიგი წერეთელი: "მეც მქონდა ბედნიერება, სტუდენტობის დროს, ამ კედლებში ურთიერთობა მქონოდა უდიდეს მეცნიერთან ავლიპ ზურაბაშვილთან".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა, თამარ დეკანოსიძემ გაიხსენა: "ერთხელ ავლიპ ზურაბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამი რამ აქვს საზოგადოებისთვის სათქმელი. სამჯერვე ერთი ფრაზა გაიმეორა: "გაუმარჯოს საქართველოს". გაუმარჯოს ბატონ ავლიპის სამჯერ და ათასგზის", - თქვა თამარ დეკანოსიძემ, - "მან დატოვა არა მარტო მეცნიერული შრომები, რომლებზეც არაერთი თაობა აღიზარდა და აღიზრდება, არამედ დატოვა დიდი ოჯახი და შთამომავლობა..."

შთამომავლობა კი გუშინ ძალიან ღელავდა. დავით ზურაბაშვილი, ავლიპ ზურაბაშვილის შვილიშვილი: "პაპამ დაგვიტოვა ისეთი ტვირთი, რომ ერთი გვარისთვის, ან ოჯახის ერთი წევრისთვის ძალიან ძნელი და მძიმეა. თითოეული ჩვენგანი მაქსიმალურად ეცდება, რომ ეს ტვირთი ღირსეულად ვატაროთ, ისე, როგორც პაპას გაეხარდებოდა..."

გუშინვე თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გამოჩენილი ქართველი ფსიქიატრის, ქართული ფსიქიატრიული სკოლის ფუძემდებლის, დიდი მეცნიერის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის სახელი მიენიჭა.

დღეს ქალაქ სიღნაღში საიუბილეო კომისია აწყობს მთელ რიგ ღონისძიებებს: სიღნაღის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, ავლიპ ზურაბაშვილის ბიუსტის გახსნა, მეცნიერის მუზეუმის გახსნა აკადემიკოს ზურაბაშვილის სახელობის სიღნაღის №1 საშუალო სკოლაში. ასევე დაგეგმილია საზეიმო სხდომა ახლად გახსნილ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში.

დღესვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალი, საზოგადოება "ქიზიყი" აწყობს აკადემიკოსის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მიღებას.

2 ნოემბერს მეცნიერის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფა გაიხსნება. საიუბილეო დღეებს დაასრულებს საღამო, რომელიც 2 ნოემბერს გაიმართება ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

## 18 პატარას ოჯახი ელოდება

### ბავშვთა გაოჯახების პროგრამას პრობლემები შეექმნა

*მავნე ჩვევა - ინვალიდი (როგორც მათ ადრე უწოდებდნენ) ბავშვების თვალიდან მოშორება, საზოგადოებისგან იზოლირება საბჭოთა წყობილებიდან ინერციით მოგვყვება. ზესახელმწიფოსთვის, როგორადაც სსრკ რაცხდა თავს, მიუღებელი იყო ასეთების ყოლა. ამ რწმენით ნასაზრდოები მაშინდელი პედაგოგიური კონცეფცია - "დეფექტოლოგია", უნარშეზღუდულ პატარებს ე.წ. პანსიონატებში ყოველგვარი აპელირების გარეშე გზავნიდა. ასე გრძელდება ახლაც. არასრული მონაცემებით, საქართველოს დღეს, დახლოებით, 5 წლამდე ასაკის 10 ათასი, სხვადასხვა სახის უნარშეზღუდული ბავშვი ჰყავს. მათი დიდი ნაწილი სწორედ სპეციალიზებულ სახლებში ცხოვრობს. არადა, უკვე დიდი ხანია, ყველა შეთანხმდა - როგორიც უნდა იყოს, ოჯახი ნებისმიერ ბავშვთა სახლს სჯობია.*

მაკა ჭაიანი



*"მშობლების" მოლოდინში*

ამის გათვალისწინებით შეიქმნა საქართველოში კანონი შვილობილად აყვანის შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაბადებას, ისევე როგორც დამტკიცებას, ეს კანონი საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა უმადლოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა სახლებს ქრონიკულად არ ჰყოფნის ფული, ბავშვები ნახევრად მშივრები რჩებიან, შენობები საშინელ დღეშია, პერსონალი კი სიმბოლურ ხელფასს დროულად ვერ იღებს, მოსალოდნელ ცვლილებებს სფეროში დიდი ენთუზიაზმით არავინ შეხვედრია. მიუხედავად იმისა, რომ შვილობილად აყვანის შესახებ კანონის ავტორები აცხადებდნენ, დოკუმენტის ამოქმედების შემთხვევაში, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი პატარების მოვლაზე სახელმწიფოს დღევანდელზე ნაკლები დაეხარჯებაო.

ეს მარტივად ხერხდებოდა. სახელმწიფო ბავშვებს აღსაზრდელად მიაბარებდა მსურველ და კარგად შემოწმებულ ოჯახებს. მშვილობელს ეს საქმე შრომით სტაჟში ეთვლებოდა და ამისთვის ხელფასსაც იღებდა. გარდა ამისა, ყოველთვიურად იღებდა აყვანილი ბავშვის მოვლისთვის აუცილებელ ფულს. ჯამში, საჭირო თანხები იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე დღეს იხარჯება. ქვეყანა, რომელიც მუდმივად უსახსრობაზე წუწუნებს, ამ ხავსს ორივე ხელით უნდა ჩასჭიდებოდა, მაგრამ ჩვენმა ჩინოვნიკებმა ხან რა მოიმიზეზეს, ხან - რა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უყურეს, უყურეს და ერთი სატყუარა მოიფიქრეს: გაოჯახებული ბავშვების დაფინანსება პირველი წლის განმავლობაში საკუთარ თავზე აიღეს. ხელისუფლება სიამოვნებით დათანხმდა.

დათქმული დროის გასვლის შემდეგ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა მთლიანად სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე. ამ თვალსაზრისით, პირველმა სიძნელეებმა უკვე იჩინა თავი. საქართველოში ფინანსებთან დაკავშირებული პროცედურები იმდენად გართულებულია, ნებისმიერი კეთილი წამოწყება შეიძლება პრობლემად იქცეს. ასე დაემართა ორგანიზაცია "მერსი კორპის" ინიციატივას, რომელიც ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფის ინვალიდი ბავშვის გაშვილებას ისახავდა მიზნად. შარშან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, დასავლეთ საქართველოსა და კასპის ბავშვთა სახლებში მოთავსებული 18 ბავშვი რეაბილიტაციისთვის თბილისში გადმოიყვანეს.

პატარები მიხეილ გურამიშვილის სახელობის ბავშვთა პედიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. ერთმა წელიწადმა, რომელიც მათ იქ გაატარეს, აჩვენა, რომ თბილ სიტყვასა და გულისხმიერ დამოკიდებულებას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

ქეთევან ნემსაძე, კლინიკის დირექტორი: "ჩვენ ერთგვარი ტერმინიც შემოვიღეთ - ინსტიტუციონური გონებრივი შეზღუდულობა. აღმოჩნდა: ბავშვებს, რომლებსაც ეწერათ, რომ გონებრივად ჩამორჩენილები არიან, არ შეუძლიათ მოძრაობა და ა.შ., ლაპარაკიც შეუძლიათ, სიარულიც და წერა-კითხვის სწავლაც. მათ აკლდათ მოვლა, ყურადღება. დღეს ამ პატარების ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა სხვა სომატური დაავადებებით დამძიმებული აღარ არის."

მათი მთავარი პრობლემა ახლა ამ დამოკიდებულების შენარჩუნებაა. "მერსი კორპის" პროგრამა დასრულდა. "ევრი ჩაილდმა" და გაერო-ს ბავშვთა ფონდმა ბავშვებს მშვილებელი ოჯახები უპოვა, მაგრამ მათი დაბინავება ჯერ ვერ ხერხდება. პრობლემას ქმნის ჩვენი მოუქნელი ფინანსური მექანიზმები. საერთაშორისო ორგანიზაციები პროექტის პირველ წელიწადს ამ შემთხვევაშიც აფინანსებენ, ქართველი ჩინოვნიკები კი ვერ შეთანხმებულან, ჯერ ვის ანგარიშზე უნდა მივიდეს ფული, იქიდან ვის უნდა გადაერიცხოს და ა.შ. ხელისუფლება ელემენტარული მათემატიკითაა გართული, მისი ქვეყნის პატარა მოქალაქეები კი, რომელთაც, როგორც იქნა, ეღირსათ უფროსების სიყვარული, ადამიანურად ცხოვრების შანსს კარგავენ.

# ქსნის კოლონიაში პატიმრები დააბრუნეს

თამარ კაციტაძე

რვა თვის წინ, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების პატიმრები სხვადასხვა დაწესებულებებში გადაანაწილეს და ავარიული შენობის კაპიტალური რემონტი დაიწყეს. რამდენიმე დღის წინ ასევე ნგრევის პირას მისული საგარეჯოს მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან 750 პატიმარი უკვე გარემონტებულ ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს.

გუშინ ახლად გარემონტებული დაწესებულება და "ახალმოსახლეები" თავად იუსტიციის მინისტრმა, როლანდ გილიგაშვილმა, მისმა მოადგილემ, კახა კობერიძემ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პაატა მხეიძემ და იუსტიციის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელებმა მოინახულეს.

"შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ საქართველოში არსებულ სხვა კოლონიებთან შედარებით აქ გაცილებით უკეთესი პირობებია. აღნიშნული დაწესებულების გახსნით მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, ვინაიდან საგარეჯოს დაწესებულებაში, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო სასჯელის მეტ-ნაკლებად ასატან პირობებში მოხდა და მსჯავრდებულთა ელემენტარული უფლებების დაცვა," – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, კახა კობერიძემ.

დაწესებულებას დაუბრუნდნენ რვა თვის მანძილზე სხვა კოლონიებში მიმაგრებული ქსნის დაწესებულების თანამშრომლებიც. კაპიტალურად გარემონტებული და ახალი აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო ნაწილი ჩაიბარა კოლონიის სამმა ექიმმა, რომლებიც, როგორც თავად აღნიშნავენ, მატერიალური სიდუხჭირის გამო, ფაქტობრივად, კვირეების განმავლობაში, კოლონიიდან გაუსვლელად, პატიმრების გვერდით ცხოვრობდნენ (სასჯელაღსრულე-


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კოლონიის ახალმოსახლეები.

ბის დეპარტამენტის დაწესებულების ექიმის მაქსიმალური ხელფასი 100 ლარია). ქსანელ პატიმრებს ექვსპალატიანი (სულ ოცადგილიანი) სამედიცინო ნაწილი მოემსახურება.

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სასადილოს, საძინებელ ოთახებს. კოლონიაში 400 საწოლი რუსთავის №1 დაწესებულების პატიმრებმა დაამზადეს; ლეიბები და გადასაფარებლები კი ქალმა პატიმრებმა შეკერეს. რამდენიმე წლის წინ ქსანელი პატიმრები ჩიოდნენ – დასაწოლი ადგილები არ გვაქვს და ღამე მორიგეობით გვძინავსო. როგორც კოლონიის ახალი დირექტორი ნოდარ გელაშვილი ირწმუნება: **"ამგვარი პრობლემები დაწესებულებას აღარ ემუქრება. კოლონია ბოლომდე უზრუნველყოფილია საწოლებით და სხვა ინვენტარით".**

გარდა იმისა, რომ წინა პერიოდისგან განსხვავებით, დენი მუდმივად იქნება, ქსნის დაწესებულებაში კიდევ ერთი სიახლეა: რემონტამდე კოლონიას 27 ჰექტარი ეკავა. რომლის გაკონტროლებაც ძალიან ძნელი იყო და, აქედან გამომდინარე, გაქცევებიც ხშირად ხდებოდა. ამჟამად დაწესებულება შვიდ ჰექტრამდე შემცირდა. დამონტაჟდა ახალი სიგნალიზაციაც.

თუმცა, როლანდ გილიგაშვილი მაინც თვლის, რომ პრობლემები ამით მხოლოდ ნაწილობრივ მოიხსნა. **"თუ უახლოეს მომავალში დაწესებულებები ციხეთა სისტემაზე არ გადავა, პენიტენციალური სისტემა თავზე დაგვემხობა",** – ამტკიცებს მინისტრი.

პატიმრები კი, როგორც ჩანს, , ახალ გარემოს უკვე შეეგუენ;

ქურდობისთვის ნასამართლევ გურამ ხუდოევს, რომელიც დაწესებულების გარემონტებამდეც ქსანში იხდიდა სასჯელს, გაუმჯობესებული კვება უფრო ახარებს, ვიდრე - შეღებილი კედლები, იატაკი და ახალი საწოლები. საგარეჯოდან გადმოყვანილი ნოდარ თამარაშვილი კი, ცოტა არ იყოს, დაბნეულია: **"იქ მეფე ვიყავი, საგარეჯოში თანამშრომლები მიცნობდნენ და კარგად ვგრძნობდი თავს. აქ ჯერ არავის ვიცნობ".**

მთლიანობაში, საგარეჯოელი პატიმრები ქსანში გადასვლით კმაყოფილები არიან - ჯერ ერთი, პირობები უკეთესია, და მეორეც, დაწესებულება თბილისთან და ცენტრალურ ტრასასთან ახლოს არის და ოჯახის წევრებს მოსვლა გაუადვილდებათო.

# ჩეჩენ პატიმართა ექსტრადიცია ჯერ არ მოხდება

*გუშინ, გვიან ღამით, მეხუთე საპყრობილეში დარჩენილი რვა ჩეჩნის შესაძლო ექსტრადიციასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, გუშინვე ჩაცხრა. თუმცა, მთელი ღამის განმავლობაში მეხუთე საპყრობილესთან ხალხმრავლობა და პანიკა იყო. ხმაური და გაურკვევლობა იყო საპყრობილეშიც. საკნებში ცალ-ცალკე მოთავსებული ჩეჩნები ადამიანის უფლებების დამცველებთან შეხვედრას ითხოვდნენ. ჩეჩნებს, საკნების კარებსა და კედლებზე ბრახუნით, სხვა პატიმრებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ ღამითვე, გაურკვეველი იყო ინფორმაციის წყარო, რომელიც ჩეჩენთა რუსეთისთვის გადაცემის გასაიდუმლოებული და მოულოდნელი ოპერაციის შესახებ იტყობინებოდა. სასწრაფოდ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თითქოს ჩეჩნების წასაყვანად რუსეთიდან სპეცრეისით ჩამოფრინდა თვითმფრინავი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ინფორმაცია ჩეჩენთა სასწრაფო ექსტრადიციის შესახებ გაავრცელეს მათივე ადვოკატებმა. ჩვენთან საუბარში ადვოკატმა გოგიტა გაბაიძემ განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია მან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი ჩეჩნისგან შეიტყო. **"გარდა ამისა, მე სხვა ინფორმაციაც მაქვს, რომ ნამდვილად არის მითითება ექსტრადიციის შესახებ",** – განაცხადა გაბაიძემ. ადამიანთა უფლებების დამცველებმა კი, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ პატიმართა ექსტრადიცია ნამდვილად არ მოხდებოდა, საჭიროდ არ ჩათვალეს მეხუთე საპყრობილესთან საპროტესტო აქციის გამართვა. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი შეეცადა საპყრობილეში პანიკაში მყოფი ჩეჩნების დარწმუნებას, რომ მათ გუშინ საფრთხე არ ემუქრებოდათ.

**"ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს რამდენიმე დღის წინ უკვე დაშვებული პრეცედენტი, რომლის საფუძველზეც, საქართველოს ხელისუფლება ვეღარ შეძლებს ჩეჩნების ავტომატურად გადაცემას რუსეთისთვის, თუ საქმე წინასწარ არ განიხილება ორ სასამართლო ინსტანციაში,"** - გვითხრეს ადამიანის უფლებების დამცველებმა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის მოქალაქის, ალიევის, ექსტრადიციის საქმე კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს დაუქვემდებარა, საქართველოში უკვე დამკვიდრდება ექსტრადიციის გასაჩივრების წესი.

ამ პრეცედენტზე და მის დადებით მხარეებზე საუბრობდა გუშინ გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძეც, რომელმაც საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარა გუშინწინდელ აჟიოტაჟთან დაკავშირებით. გაბრიჩიძეს ვერ გაუგია, რას ემსახურებოდა ჩეჩენთა გასაიდუმლოებული ექსტრადიციის შესახებ მცდარი და უსაფუძვლო ინფორმაციის გავრცელება. **"გავრცელდა ხმები, რომ თითქოს გუშინწინ, თორმეტ საათზე, ხელი მოვაწერე ბრძანებას ექსტრადიციის შესახებ. ამას ნამდვილად ვერ მოვახერხებდი, რადგან მითითებულ დროს კანცელარიაში თათბირზე ვიმყოფებოდი",** – აცხადებს მთავარი პროკურორი.

გუშინ გენერალურმა პროკურატურამ დაადასტურა, რომ მეხუთე



ნუგზარ გაბრიჩიძე

საპყრობილეში დარჩენილ რვა ჩეჩენს შორის ორი საქართველოს მოქალაქეა, რომელთა მამხილებელი საბუთების წარმოდგენა რუსეთმა ვერ შეძლო. თეფსაევი და ბაისაროვი სინამდვილეში ახმეტის რაიონში დაბადებული ეთნიკური ქისტები - კუშტანაშვილი და მარგოშვილი არიან. მათი იდენტიფიკაცია ქართველმა სამართალდამცველებმა სამხედრო ბილეთებით, დაბადების მოწმობებითა და ძველი საბჭოთა პასპორტებით მოახდინეს. არადა, რუსული მხარე ირწმუნება, რომ ისინი ჩეჩნეთში არიან დაბადებულნი და არ არიან საქართველოს მოქალაქეები.

რაც შეეხება უკვე ექსტრადირებულ ხუთ ჩეჩენს, გენერალური პროკურორის მტკიცებით, მათ შესახებ რუსეთის მხარემ ყველა სათანადო დოკუმენტაცია წარმოადგინა. თანაც, ქართულმა მხარემ რუსეთის მთავრობას ჩამოართვა დოკუმენტურად გაფორმებული პირობა იმის თაობაზე, რომ ამ ადამიანებს სიკვდილით არ დასჯიან.

# პრეზიდენტს არ ესმის, რომ სტრასბურგი პოლიტიკურ თამაშებს ანგარიშს არ უწევს

პირველი გვერდიდან

**"უზენაესმა სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, ეს, ფაქტობრივად, რევოლუციის ტოლფასია, უზარმაზარი მიღწევაა, რომლითაც ახალი სასამართლო მექანიზმი ამუშავდა. გენერალური პროკურატურა პატიმარს თავზე ტომარას ვეღარ ჩამოაცმევს, ძალადობითა და ელექტროშოკის გამოყენებით ვერ გამოიყვანს საკნიდან და მალულად ვეღარ განახორციელებს გადაცემას. ახლა პატიმრის ადვოკატს შეუძლია გენერალური პროკურორის დადგენილება პირველი ინსტანციის სასამართლოში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში გაასაჩივროს), შემდეგ კი მიმართოს უზენაეს სასამართლოს. ერთი სიტყვით, საბოლოო თანხმობა ექსტრადიციაზე სასამართლომ უნდა განაცხადოს,"** – ამბობს ლია მუხაშავრია, რომელიც პატიმარ ალიევის ადვოკატიცაა და რომლის სარჩელის საფუძველზეც გამოსცა ხსენებული გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ.

ადვოკატი ოპტიმისტურადაა განწყობილი ევროსასამართლოს მომავალი განაჩენისადმიც, რომელიც უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. საუბარია მუხაშავრიას ორგანიზაციის, "კონსტიტუციის 42 მუხლის" მიერ სტრასბურგში გაგზავნილ სარჩელზე, რომლითაც 13 ჩეჩნის ექსტრადიცია გასაჩივრდა. ადვოკატის განცხადებით, გენერალურმა პროკურატურამ ტუსაღთა გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია ევროკონვენციის მე-2 მუხლი, რის გამოც შესაძლებელია საქართველო მკაცრი სანქციებით დაჯარიმდეს. **"საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გაიგო, რომ საქმე გვაქვს ევროსასამართლოსთან და ეს სახუმარო რამ არ არის. სტრასბურგი ძალიან მკაცრია ევროკონვენციის დამრღვევი ქვეყნებისადმი. კიშინიოვის სამიტიდან საქართველოში მომავალ შევარდნაძეს თვითმფრინავში აუხსნეს, რომ არსებობს ევროკონვენციები, რომელიც არ უნდა დაირღვეს. მისი პასუხი ასეთი იყო: ევროკონვენციებიც ფერადდებაო. სამწუხაროდ, პრეზიდენტს არ ესმის, რომ სტრასბურგს პოლიტიკური თამაშები არ აინტერესებს და რომ არსებობს სერიოზული პერსპექტივა იმისა, რომ საქართველო ევროსაბჭომ წაგებულ ქვეყნად გამოაცხადოს. ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეც მოხდება – საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნების საქმეს ევროსაბჭოში წააგებს,"** – აცხადებს ადვოკატი ლია მუხაშავრია.

## მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სახლი გაძარცვეს

გუშინ, შუადღისას, შარტავას ქუჩაზე, ნიღბებით სახედაფარული 4 შეიარაღებული პირი თავს დაესხა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თამაზ წივწივაძის ოჯახს.

ვაკე-საბურთალოს პოლიციის ინფორმაციით, ყაჩაღური თავდასხმა წივწივაძეების ოჯახზე ძარცვის მიზნით მოხდა. თავდამსხმელები თამაზ წივწივაძის ოჯახში მოტყუებით შევიდნენ. ყაჩაღთაგან ერთ-ერთმა, რომელსაც ნიღაბი არ ჰქონდა, თამაზ წივწივაძის ძმისშვილის მეგობრობა დაიბრალა. თავდასხმისას სახლში თამაზ წივწივაძის ძმა და მისი ქალიშვილი იმყოფებოდნენ. მძარცველებმა თენგიზ წივწივაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს – თავში იარაღი ჩაარტყეს.

გუშინ, ვაკე-საბურთალოს პოლიციაში გამართულ დახურულ თათბირზე მომხდარი ფაქტი დეტალურად განიხილეს. თუმცა, პოლიცია მომხდართან დაკავშირებით, ჯერჯერობით, დაწვრილებით ინფორმაციას არ იძლევა.

თბილისის პროკურორის თენგიზ მახარაძის ინფორმაციით, თავდამსხმელებმა სახლიდან მხოლოდ წვრილმანი საოჯახო ნივთები წაიღეს. პროკურორის განცხადებით, ბოლო პერიოდში საბურთალოზე მიყოლებით მომხდარი ყაჩაღური თავდასხმები და გუშინდელი ძარცვა ხელწერით ერთმანეთს ჰგავს. კანონდამცველთა ვარაუდით, დანაშაულს ერთი და იმავე კრიმინალური დაჯგუფება ჩადის. თუ თბილისის პროკურორის ინფორმაციას ვენდობით, სამართალდამცველებისთვის უკვე ცნობილი გახდა დაჯგუფების წევრთა ვინაობა და მათი დაკავება უახლოეს დღეებში მოხდება.

## შამილ ბასაევის სოხუმელი თანამებრძოლი მოსკოვში დააკავეს

მოსკოვში დააკავეს ჩეჩენი საველე მეთაურის, შამილ ბასაევის ჯგუფის ბოევიკი სერგეი კრიმგერეი. დაკავებულს აღმოუჩინეს შამპანურის ბოთლი, რომელშიც 8 კილო ვერცხლისწყალი იყო.

კრიმგერეის დასაკავებლად რუსმა ძალოვანებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს.

სერგეი კრიმგერეი ეთნიკური თათარია. იგი აფხაზეთის მკვიდრია. რუსეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, კრიმგერეი, ბასაევის ბატალიონთან ერთად, ჯერ აფხაზეთის ომში იბრძოდა, შემდეგ კი ჩეჩნეთში.

მოსკოვის პოლიცია აცხადებს, რომ ბოევიკს ვერცხლისწყალი ტერაქტის მოსაწყობად სჭირდებოდა. თავად დაკავებულს რუსი კანონდამცველებისთვის, ჯერჯერობით, ჩვენება არ მიუცია. თუმცა, იგი უკვე დაადანაშაულეს ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერების უკანონო გადატანაში.

## რუსეთი ასლან მასხადოვს ეძებს

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის სერგეი ფრიდინსკის განცხადებით, პროკურატურამ, ახმედ ზაკაევის წინააღმდეგ აღძრულ საქმესთან დაკავშირებით, კიდევ 4 ჩეჩენზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. ექს-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბაევის, შს ექსმინისტრის კაზბეკ მახაშევის და ასლან მასხადოვის ყოფილი მინისტრის ხოჟ-ახმედ-ნუხაევის დაპატიმრების სანქციები რუსმა კანონდამცველებმა რამდენიმე დღის წინ გასცეს. ფრიდინსკის თქმით, საქმეში მთავარი ბრალდებულის სტატუსი ასლან მასხადოვს ერგო. მასხადოვს გაცილებით მძიმე ბრალდებები წაუყენეს, ვიდრე სხვა დანარჩენ ბრალდებულებს.

## პენტაგონი ჟურნალისტებს ერაყის ომისთვის ამზადებს

პენტაგონი იწყებს იმ ჟურნალისტთა სამხედრო მომზადებას, რომლებიც ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას გააშუქებენ.

მოსამზადებელი პროგრამის კურსს პენტაგონი, ჯერჯერობით, აზუსტებს. თუმცა, აშშ-ს სამხედრო უწყებებმა უკვე გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ჟურნალისტებს პენტაგონის ყველა სამსახური ჩაუტარებს სწავლებას. ამერიკელი სამხედროები მასმედიის წარმომადგენლებს მისცემენ საფუძვლიან დაწყებით სამხედრო ცოდნას, მაგრამ საიდუმლო ინფორმაციების შესახებ შეკითხვის დასმა მათთვის აკრძალული იქნება.

პენტაგონის თავკაცის დონალდ რამსფელდის განცხადებით, ამერიკელი სამხედროების საქმიანობის საინფორმაციო საშუალებებით გაშუქება ყოველთვის სასარგებლოა. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ სწავლების ჩატარება კარგი იდეაა და ჟურნალისტებს ძალზე გამოადგებათ. პენტაგონი, ერაყთან ომის შემთხვევაში, სამხედრო წვრთნაგავლილ ჟურნალისტებს საომარი მოქმედებების ადგილზე დაუყოვნებლივ წაიყვანს," - აცხადებენ ამერიკელი სამხედროები.

## მოკლედ

**სენაკი.** გუშინ სენაკი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტეს სენაკის რაიონში მომხდარი ყაჩაღობისას მოკლული კახა სანაიას ნათესავებმა.

ორი დღის წინ სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოდან მომავალ სამგზავრო ავტობუსს სოფელ უშაფათთან დახვდნენ შეიარაღებული, ნიღბიანი პირები და მძღოლს ავტობუსის გაჩერება მოსთხოვეს. მძღოლი თავდამსხმელების მოთხოვნას არ დაემორჩილა. შეიარაღებულმა ნიღბოსნებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ავტობუსის მძღოლი, 29 წლის კახა სანაია ადგილზე გარდაიცვალა. ყაჩაღები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

კახა სანაიას ოჯახის წევრები და ახლობლები, რომლებმაც დღეს სენაკი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტეს, სამართალდამცველებისაგან დამნაშავეების დაუყოვნებლივ დაკავებასა და დასჯას ითხოვენ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის გადაწყვეტილებით, პანკისის ხეობაში პოლიციის დროებითი საგანგებო სამსახური შეიქმნება.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის თქმით, 70-კაციანი სამსახურის დაკომპლექტება უკვე დაიწყო და ჯგუფი ხეობაში მანამდე დარჩება, ვიდრე იგი შეიარაღებული პირებისა და კრიმინალებისგან მთლიანად არ გაიწმინდება.

"პანკისის ხეობაში ოპერატიულ-სამძებრო სპეცღონისძიებები გეგმის მიხედვით ხორციელდება და ჯერ სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი", - განაცხადა ზურაბ ტუშურმა.

პოლიციის უფროსის თქმით, ხეობის სოფლები კონტროლდება. თუმცა, არსებობს ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ერთეული შეიარაღებული პირები ტყეებს კიდევ აფარებენ თავს.

რაც შეეხება მძევლებს, მამა ბასილ მაჩიტაძეს და ბრიტანელ ბიზნესმენ პიტერ შოუს, მათი ზუსტი ადგილსამყოფელი უცნობია. "მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, პოლიციას მძევლების გათავისუფლების პრობლემა არ ექნებოდა," - აცხადებს ტუშური. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** "პანკისის ხეობაში ამჟამად შეიძლება უკანონოდ იმყოფებოდეს 45-47 უცხოელი, ძირითადად, რუსეთის მოქალაქეები," - განაცხადა საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა.

მისი თქმით, ეს პირები შესაძლოა ჩეჩენ ლტოლვილთა საბუთებით იმალებოდნენ, ამიტომ მათ გამოსავლენად შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს.

კითხვაზე: ხომ არ გამოიწვევს სპეცსამსახურების მიერ ამ პირთა გამოსავლენად გატარებული ღონისძიებები ჩეჩენი ლტოლვილების რეპრესიებს? ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, რომ ეს გამორიცხულია. დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის თქმით, სპეცსამსახურები ებრძვიან ტერორისტებს და კრიმინალებს, მაგრამ არა ჩეჩენ ლტოლვილებს.

მისი მონაცემებით, ამჟამად პანკისის ხეობაში, დაახლოებით, 2200 ჩეჩენი ლტოლვილია, რომელთა მიმართ საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის დამოკიდებულება ყოველთვის იყო კორექტული და კეთილგანწყობილი. **"პრაიმ-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გენერალური პროკურატურა მზადაა განიხილოს რუსეთის სამართალდამცველი სტრუქტურების ხელთ არსებული საქმე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის შესახებ.

ბადრი პატარკაციშვილის დაპატიმრების სანქცია მოსკოვის "ნოვო-ბასმანის" სასამართლომ გასცა. ცნობილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი და მისი მოადგილე და უახლოესი მეგობარი ბადრი პატარკაციშვილი "ლოგოვაზში" თაღლითობასა და მსხვილი აფიორის განხორციელებაში არიან დადანაშაულებულნი. უნდა აღინიშნოს, რომ პატარკაციშვილი რუსეთის მასმედიაში მოიხსენიება – "საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად". თავად ედუარდ შევარდნაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პატარკაციშვილთან ახლო მეგობრობა აკავშირებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გასარკვევია ბადრი პატარკაციშვილის მოქალაქეობის საკითხი. თუ დამტკიცდა, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა, მის წინააღმდეგ საქმეს ქართული სასამართლო განიხილავს. თუ აღმოჩნდა, რომ პატარკაციშვილი რუსეთის მოქალაქეა, მოსკოვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები განიხილება და, თუ ის საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება, პატარკაციშვილი მოსკოვში იქნება ექსტრადირებული.

"ჯერჯერობით, არ მიგვიღია არავითარი დოკუმენტი, რის მიხედვითაც შეიძლება საუბარი პატარკაციშვილის დამნაშავეობაზე", - განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ ვენედი ბენიძემ. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში მრიცხველების ქურდობის კიდევ ერთი შემთხვევა მოხდა. გუშინ, დილით, ვაზისუბნის I მიკრორაიონის მე-4 კორპუსის მე-4 სადარბაზოს მცხოვრებლებს მთლიანად გაძარცული დახვდათ მრიცხველების კარადა. მოხსნილი იყო ჩამრთველებიც, რის გამოც მთელი სადარბაზო ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

„ეი-ი-ეს თელასის" ბიზნეს-ცენტრში შეტანილი შესაბამისი განაცხადის მიუხედავად, მოსახლეობას თვითონ მოუხდა ჩამრთველების შეძენა. მათი უფასო დამონტაჟება კი კომპანიის თანამშრომლებმა იკისრეს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ, რუსთავის წყალსაქაჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის თანამშრომლებმა 60 წლის ვაჟა ფილიევის გვამი აღმოაჩინეს. მას თავის არეში ნაჯახითა და ჩაქუჩით მიყენებული ჭრილობები ჰქონდა.

როგორც გაირკვა, ფილიევი შარვლის, პერანგისა და რადიოს წართმევის მიზნითაა მოკლული. დაკავებულია მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 21 წლის აზერბაიჯანელი, ადრე ქურდობისთვის ნასამართლევი, რომლის ვინაობასაც პოლიცია, ჯერჯერობით, არ ასახელებს. **"მედია-ნიუსი".**

# ავტორები - სცენაზე

## მოსკოვში მძევალთა აყვანამ ბევრი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა

რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც მოსკოვში, დუბროვკაზე, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოვლენებს, ამ დღეებში ჟურნალისტებს გაუმხილა ზოგიერთი პროფესიული მეთოდი. **"ამ სიტუაციებში ჩვენ პირველ რიგში ვცდილობთ, გავიგოთ, ვის აძლევს ხელს ტერაქტი და ვინ დგას ტერორისტების უკან. შემდეგი ეტაპი მათზე გასვლა და ზემოქმედების მცდელობაა. ტერორისტების ვინაობას ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, მხოლოდ შემსრულებლები არიან,"** - განაცხადა მან.

სანობარ შერმატოვა

*IWPR-ის კორესპონდენტი სპეციალურად „24 საათისთვის"*



არბი ბარაევი



მოვსარ ბარაევი

REUTERS

დუბროვკაზე მდებარე მუსიკალური ცენტრის შენობაში, 23 ოქტომბერს 750-ზე მეტი მაყურებელი და მიუზიკლ "ნორდ-ოსტის" მსახიობი მძევლად აიყვანეს. მოვსარ ბარაევმა, რომელმაც თავი ჩეჩნური ჯგუფის მეთაურად დაასახელა, ტელეკამერების წინ ჩამოთვალა ის ადამიანები, რომელთა დავალებითაც, განახორციელა ეს აქცია. ბარაევის თქმით, იგი იჩქერიის პრეზიდენტს ასლან მასხადოვს ემორჩილება და სამხედრო მეთაურის შამილ ბასაევის ბრძანებას ასრულებს. ეს განცხადება ბევრ შეკითხვას უჩენს მათ, ვისთვისაც ცნობილია არბი ბარაევის ჯგუფის საქმიანობა, რომელშიც მისი დისშვილი მოვსარიც შედიოდა,

არბი ბარაევი, ისევე როგორც მისი გარემოცვა, არასოდეს ემორჩილებოდა ასლან მასხადოვს; მეტიც, ისინი დაპირისპირებულები იყვნენ. თავისი კარიერის დასაწყისში ბარაევი ჯოხარ დუდაევის მთავრობის ვიცე-პრეზიდენტთან ზელიმხან იანდარბიევთან, შემდეგ კი დუდაევის და მასხადოვის მთავრობებში სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწე მოვლადი უდუგოვთან იყო დაახლოებული. პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს, არბი ბარაევი (რომელმაც მაშინ ოცი წლის ასაკს გადააბიჯა) იანდარბიევის დაცვაში მსახურობდა. ეს ჯგუფი, როგორც ცნობილია, არც პირველი და არც მეორე ჩეჩნური კამპანიის დროს არ ომობდა. ვიცე-პრეზიდენტის მცველი საველე მეთაური მაშინ გახდა, როდესაც ზელიმხან იანდარბიევმა მას 200 ათასი დოლარი გამოუყო შარიათის ბატალიონის შესაქმნელად. ბატალიონი სპეციალური დანიშნულების ისლამურ პოლკად გადაიქცა და გროზნოსა და ურუს-მარტანის მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტებში იყო დისლოცირებული. ბარაევს და მის ჯგუფს - ვაჰაბიტებს - ისლამური ორთოდოქსალური მიმდინარეობის მიმდევრებს უწოდებდნენ. ეს მიმდანარეობა ჩეჩნეთში პირველი კამპანიის დროს ჩამოსულმა არაბმა ბოევიკებმა გაავრცელეს. ვაჰაბიტები წარმოადგენდნენ კარგად ორგანიზებულ გასამხედროებულ დაჯგუფებებს, რომლებიც ადამიანების გატაცებით იყვნენ დაკავებულები. მოვსარ ბარაევი, როგორც ნათესავი, შედიოდა არბი ბარაევის უახლოეს გარემოცვაში, ხოლო ეს უკანასკნელი თანდათან ყალიბდებოდა ჩეჩნეთში ცნობილ პიროვნებად.

პრეზიდენტმა მასხადოვმა, თავისი ბრძანებით, აღნიშნული პოლკი იჩქერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შეიყვანა; მაგრამ მას შემდეგ, რაც 1997 წელს ბარაევის ხალხმა კონფლიქტის პროვოკაცია მოაწყო გუდერმესის რაიონში (რომელსაც 80 ადამიანის სიკვდილი და 100-ზე მეტის დაჭრა მოჰყვა), მან გენერალი ბარაევი რიგითამდე დააქვეითა.

თუმცა, ისლამურ პოლკს არსებობა არ შეუწყვეტია; იარაღი ბარაევის ფულით იყო შეძენილი და მის საკუთრებად ითვლებოდა, ხელისუფლებისგან პრეტენზიების წაყენება კი კონფლიქტს გამოიწვევდა.

ბარაევი საქმიანობას განაგრძობდა და მის მიერ გატაცებული ადამიანების სიაში უცხოელები და ჟურნალისტებიც შევიდნენ. მიჩნეულია, რომ მისმა ჯგუფმა გაიტაცა ტელეკომპანია "ენ-ტე-ვე"-ს ჟურნალისტთა ჯგუფი ელენა მასიუკის ხელმძღვანელობით; ასევე "ო-ერ-ტე"-ს თანამშრომლები და ინგლისელები - კამილა კარი და ჯონ ჯეიმსი; ამ უკანასკნელთა გამოხსნაში გამოსასყიდი გადაიხადეს. მალე ბარაევმა სახელი გაითქვა, როგორც ადამიანების სასტიკმა გამტაცებელმა, რომელიც არაფრის წინაშე არ იხევდა უკან. 1998 წელს ვიცე-პრემიერმა ტურპალ ატგერიევმა (რომელიც წელს რუსეთში, პატიმრობაში გარდაიცვალა) ღიად დაადანაშაულა არბი ბარაევი და მისი ჯგუფი ჩეჩნეთში მომუშავე ბრიტანული სატელეკომუნიკაციო კომპანიის სამი ინგლისელი და ერთი ახალზელანდიელი თანამშრომლის გატაცებაში და სასტიკ მკვლელობაში. მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში უცხოელი ინჟინრების მოკვეთილი თავები აღმოაჩინეს და გაიჟღერა ბარაევის გვარმა, მასხადოვმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. მაგრამ არც ბარაევი და არც მისი გარემოცვა არ დაუპატიმრებია - ჩეჩნეთის პრეზიდენტმა თავი აარიდა ადამიანებით გავლენიან მოვაჭრესთან დაპირისპირებას. ამ სტატიის ავტორის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ, რომელიც 2000 წელს "მოსკოვსკიე ნოვოსტიში" გამოქვეყნდა, აჩვენა, რომ არბი ბარაევი ამ დროისათვის ფლობდა მრავალმილიონიან კაპიტალს, რომელიც მძევალთა გასათავისუფლებლად გადახდილი გამოსასყიდი თანხებიდან იყო შექმნილი. ამავე დროს პირველად გაჩნდა ეჭვები, რომ მონებით მოვაჭრეს მოსკოვში გავლენიანი მფარველები ჰყავს, რომელთა გარეშეც მისი ბიზნესი, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა.

ეს ეჭვები ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციის გაფართოებისას გაძლიერდა. მასხადოვისგან და სხვა მეთაურებისგან განსხვავებით, არბი ბარაევი განსაკუთრებით არ იმალებოდა. შეიძინა მოვსარისთვის სახლი, მშობლიურ სოფელ ალხანკალაში (მოვსარი ადრე არგუნში ცხოვრობდა). არბი ბარაევმა ორჯერ მოიყვანა ცოლი და პომპეზური ქორწილები გადაიხადა ფედერალური ჯარების მიერ კონტროლირებადი გროზნოდან ათი კილომეტრის მოშორებით. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცრის საბუთებით, იგი თავისუფლად გადაადგილდებოდა ჩეჩნეთში. ჩეჩენი ჟურნალისტი, რომელმაც მოახერხა ბარაევის ამ საბუთების ნომრის გარკვევა, ერთ-ერთმა ფედერალურმა სტრუქტურამ დააკავა და დაკითხა. მან სამი დღე პატიმრობაში გაატარა და განთავისუფლდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში სხვა სამხედრო სტრუქტურაში მომუშავე მისი ახლობლები ჩაერთვნენ. ჟურნალისტი გააფრთხილეს მისი დაკავების დეტალების გაუხმაურებლობის თაობაზე. დაკავებისას ჩამორთმეული ყველა ჩანაწერი, მათ შორის ბარაევის პირადობის მოწმობის ნომერი, დაიკარგა. ეს ფაქტი, ისევე, როგორც ბარაევის მოღვაწეობის სხვა დეტალები, ადასტურებს ეჭვებს, რომ იგი ძლიერი მფარველის ქვეშ მუშაობდა.

არბი ბარაევის სიკვდილი, ისევე როგორც მისი ცხოვრება, საიდუმლოებითაა მოცული. ჩეჩნეთში სანდო წყაროებმა განმიცხადეს, რომ იგი ბრძოლაში არ მოუკლავთ, როგორც ამას რუსი სამხედროები იუწყებოდნენ. 2001 წლის 23 ივნისს ბარაევი ალხანკალაში დაატყვევეს ჩეჩნებმა, რომლებიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეციალურ ქვედანაყოფში შედიოდნენ. ამისათვის მათ მოუწიათ ალხანკალის სამხედრო კომენდატურის შტურმი, რომელსაც ბარაევმა, დაცვასთან ერთად, შეაფარა თავი. დაპატიმრების შემდეგ, ბარაევი და მისი ოთხი თანამოაზრე, "გრუ"-ს ჩეჩენი ოფიცრების მიერ, 11 საათის მანძილზე იკითხებოდნენ, რაც ვიდეოკამერაზე იქნა ჩაწერილი. შემდეგ ისინი დახვრიტეს. ჩეჩნები, რომლებიც ბარაევის დაკავებასა და დახვრეტაში მონაწილეობდნენ, მიუხედავად კონსპირაციისა, მოკლეს. დაკითხვის მასალები დაიკარგა.

ბიძის სიკვდილის შემდეგ მოვსარმა, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება. იგი ქალაქ არგუნს და მის მისადგომებს აკონტროლებდა, სადაც გამოცხადებული იყო ვაჰაბიტური ჯამაათის(საზოგადოების) ამირად. ჩეჩნეთის შს სამმართველოს ცნობით, ისინი აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომელი ჩეჩნების მკვლელობებით იყვნენ დაკავებულები და ადმინისტრაციის მეთაურზე ახმედ კადიროვზე ნადირობდნენ. ისინი, ვინც მოვსარს იცნობდნენ, ამბობდნენ, რომ, ბიძამისის მსგავსად, ის სისასტიკით გამოირჩეოდა, თუმცა, როგორც საველე მეთაური, არ იყო ცნობილი. მას 5-6 ბოევიკი ემორჩილებოდა და თავად არ გამოირჩეოდა არც განსაკუთრებული სამხედრო ნიჭით და არც საორგანიზაციო თვისებებით, რაც მეთაურისთვის აუცილებელია. გარდა ამისა, იგი ფედერალური ძალების წინააღმდეგ განხორციელებულ არც ერთ მსხვილ ოპერაციაში არ მონაწილეობდა.

სწორედ ამიტომ, ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელმა საიდ-სელიმ პეშხოევმა, მოსკოვის ტერაქტის დღეებში, საინფორმაციო სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუში, გამოთქვა ვარაუდი, რომ ტერორისტებს არა მოვსარ ბარაევი, არამედ სხვა ადამიანი ხელმძღვანელობს. პეშხოევის თქმით, ბარაევს არ გააჩნია პროფესიული მომზადება და არ შესწევს უნარი, განახორციელოს მსგავსი აქცია.

ამავე მოსაზრებას ის ჩეჩნებიც იზიარებენ, ვინც ახლოს იცნობდნენ მოვსარ ბარაევს. გარდა ამისა, ზოგიერთ დამკვირვებელს, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს შტურმს, შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ტერორისტების ჯგუფი შედგებოდა ორი ნაწილისგან, რომლებმაც სპეცრაზმის შეტევისას განსხვავებული ტაქტიკა აირჩიეს - ერთნი თეატრის შენობიდან გაღწევას შეეცადნენ, დანარჩენებმა კი, შეჩერების მიზნით, მათ ცეცხლი გაუხსნეს.

რომელ ჯგუფში იმყოფებოდა ბარაევი?

მოსკოვში მძევლების აყვანამდე მოვსარ ბარაევს არ მიიჩნევდნენ ადამიანად, რომელიც მზად იყო, თავი გაეწირა სამშობლოსათვის. რატომ გააგზავნეს ასეთი კაცი მოსკოვში? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო ცნობილი ხრიკი, რომელსაც ჩეჩნეთში ადამიანებით მოვაჭრეები მიმართავდნენ:

გამტაცებელთა ჯგუფები, რომლებსაც თავიანთი ვინაობის გამხელა არ სურდათ, არბი ბარაევის "სავაჭრო ნიშანს" იყენებდნენ. თავად ბარაევის თანხმობით, ისინი გატაცებულის ნათესავებს აცნობებდნენ, რომ გატაცებული ჰყავს ბარაევს და ნათესავებიც, თითქმის ყველა შემთხვევაში, თანხმდებოდნენ დიდი გამოსასყიდის გადახდას, ვინაიდან ბარაევის სისასტიკე ყველასთვის იყო ცნობილი. შემდეგ გამოსასყიდს გამტაცებლები და ბარაევი ინაწილებდნენ.

რატომ გახდა საჭირო ბარაევის "სავაჭრო ნიშანი" ამ შემთხვევაში? ფედერალური ხელისუფლების დასაშინებლად, რათა მათ ტერორისტების პირობები მიეღოთ? შესაძლოა, ასეც იყოს, თუმცა, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამტაცებელთა პირობები თავიდანვე ისეთი იყო, რომელთა შესრულება მოკლე ვადაში შეუძლებელი იქნებოდა. მათ ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა მოითხოვეს. ბარაევი გულუბრყვილო ფანატიკოსი არ იყო და იქვე აცხადებდა, რომ მას ესმის, მოთხოვნის მოკლე ვადაში შესრულების შეუძლებლობა. მაშ, რატომ ჩავიდა მოვსარ ბარაევი მოსკოვში?

ინფორმირებული ადამიანები მოსკოველ ჩეჩენთა წრიდან, მიიჩნევენ, რომ თეატრალურ ცენტრში მძევალთა აყვანა მრავალსვლიანი პარტიის ნაწილია. ჩეჩნები აცხადებენ, რომ შესაძლოა, თავად ბარაევმაც არ იცოდა მთლიანი გეგმა, მას თავისი როლი უნდა ეთამაშა და შემდეგ თამაშიდან გასულიყო. "მოსკოვსკიე ნოვოსტის" რესპოდენტების აზრით, ბარაევი იმიტომაც იყო შერჩეული, რომ ტერაქტის მზადებისას შეეძლო თავისი ბიძის მოსკოვური კავშირებით სარგებლობა. არც მასხადოვს და არც ბასაევს ცალ-ცალკე არ შეეძლოთ ისეთი რთული ოპერაციის ორგანიზება, როგორიცაა მოსკოვის ცენტრში ასეულობით მძევლის აყვანა და შენობის დაკავება. სავარაუდოდ, ორგანიზატორების ძიება იანდარბიევის და უდუგოვის გარემოცვაშია საჭირო, რომლებიც ამჟამად ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობენ.

ჩემი თანამოსაუბრეების ვერსიით, ჩეჩნეთთან დაკავშირებული მოთხოვნები ყურადღების გადასატანად იყო წაყენებული, ორგანიზატორების მთავარი მიზანი კი იყო პრეზიდენტ პუტინზე ზეწოლა ისეთ საკითხში, რომელიც ჩეჩნეთს პირდაპირ არ უკავშირდება. საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე მსხვილი რუსი მეწარმის წინააღმდეგ, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს და მჭიდრო კავშირი აქვს მოვლადი უდუგოვთან. საუბარია, რომ აქცია მრავალმილიონიანი კაპიტალის გადასარჩენად იყო მოწყობილი. ამასთანავე, ორგანიზატორები ნაკლებად მნიშვნელოვან ამოცანებსაც ასრულებდნენ: იშორებდნენ მასხადოვს (რომელმაც ზოგადად იცოდა მათი გეგმების შესახებ), როგორც ფედერალურ ცენტრთან პოტენციური მოლაპარაკებების მონაწილეს. მისი კავშირი იანდარბიევთან, უდუგოვთან და ბასაევთან, სავარაუდოდ, იძულებითი ზომა იყო, მაგრამ თუ საქმე მოსკოვთან მოლაპარაკებებამდე მივიდოდა, ეს ტრიო მოლაპარაკებების პროცესის მიღმა დარჩებოდა. როდესაც მოვსარ ბარაევმა თეატრალურ ცენტრში განაცხადა, რომ ემორჩილება მასხადოვს, ეს ჩეჩენი პრეზიდენტის პოლიტიკურ მკვლელობას ნიშნავდა. ძნელი სათქმელია, რომელ რუს პოლიტიკოსს ეყოფა ახლა გამბედაობა, დაჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან მასხადოვთან ერთად.

მიუახლოვდა თუ დაშორდა რუსეთი ჩეჩნეთში მშვიდობის მიღწევას მას მერე, რაც შტურმის შედეგად ამდენი მძევალი დაიღუპა? ცხადია, რომ, მიუხედავად ოფიციალურ პირთა საჯარო რიტორიკისა, საერთაშორისო ტერორიზმის მისამართით გამოთქმული ბრალდებებით, რუსეთის ხელისუფლება გააგრძელებს მცდელობებს, განახორციელოს დარეგულირების თავისი სცენარი - ჯარების ჭარბი კონტინგენტის გაყვანა, ადგილობრივი მილიციის გაძლიერება და შემდეგ ხელისუფლების გადაცემა სამხედრო ორგანოებისგან სამოქალაქეთათვის. ცხადია ისიც, რომ რესპუბლიკაში ნაღმების ომი გაგრძელდება, რაც მსხვერპლს ნიშნავს. ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი, მაგალითად, ევგენი პრიმაკოვი, ათვითცნობიერებენ, რომ დარეგულირება შეუძლებელია სამშვიდობო პროცესში ბოევიკების ჩართვის გარეშე.

მოსკოვის ცენტრში მძევლების აყვანამ აჩვენა, რომ ქალაქი დაუცველია ტერორისტების წინაშე. პოლიტიკური ტერორი თავისი ლოგიკით ვითარდება - თუ მძევალთა აყვანას შედეგი არ მოჰყვება, გადადიან შენობების და მანქანების აფეთქებაზე.

# ტერორისტებთან შეხვედრა რუს მემარჯვენეებს ძვირი დაუჯდათ

დუბროვკაზე ტერაქტი კულმინაციას აღწევდა, როცა ბარაევმა ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიასთან საუბარი მოითხოვა. პოლიტკოვსკაიას შემდეგ ტერორისტებთან მოსალაპარაკებლად ხაკამადა, ნემცოვი, პუგაჩოვა და პრიმაკოვი შევიდნენ.

რუსუდან ნიკურაძე

*საქ.კორ.მოსკოვში*



ბორის ნემცოვი



ირინა ხაკამადა

ტერაქტის დასრულების შემდეგ ყველა ზემოთჩამოთვლილ პიროვნებას ხელისუფლებასთან დიდი პრობლემები გაუჩნდა - ზოგს ყოფითი,ზოგს პოლიტიკური. რუსული ინტერნეტსაიტები უკვე ავრცელებენ ბოროტ ხმებს, რომ ბოევიკები ალა პუგაჩოვას ჩეჩენი ეროვნების სიძეზე მუშაობდნენ. ასეა თუ ისე, არავინ იცის, მაგრამ ოპერატიულ შტაბში პუგაჩოვას დაბარება პრიმადონასათვის იმის შეხსენებაც იყო, რომ ჩეჩენი ეროვნების ყოფილი სიძეც კი მოსაკვეთია, და საერთოდ, თუკი ქალაქის ცენტრში ახალი თეატრი სურს, კრემლის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეს. კაცმა არ იცის, რას მიაღწია თავისი ვიზიტით დუბროვკაზე ხალხში უზომოდ პოპულარულმა, მაგრამ მაინც ჩეჩენ მილიონერებთან კავშირით რეპუტაციაშელახულმა პუგაჩოვამ. აი, ევგენი მაქსიმიჩი კი ისე მოიქცა, როგორც ვირტუოზ პოლიტტექნოლოგს შეშვენის, თანაც ყურანის კარგად მცოდნეს - გულნაკლული გამოვიდა თეატრალური ცენტრიდან და განაცხადა, რომ "ისინი ნამდვილი არამზადები არიან". თითქმის იგივე ჩაიდინა ანა პოლიტკოვსკაიამაც, მაგრამ მას აბსოლუტურად ალალად გამოუვიდა. მეორე დღეს "ნოვაია გაზეტაში" გაჩენილ ანას პუბლიკაციაში მინიშნებულია ბარაევის თანამებრძოლთა ქცევის მანერაზე, რომელიც, ჟურნალისტის თქმით, მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მიხვრა-მოხვრაში შეიძლება შენიშნო კაცმა. ტერაქტის შემდეგ დემოკრატიული გაზეთები აღნიშნავდენ, რომ ტერაქტი დუბროვკაზე იყო ერთი დიდი ცინიკური და სასტიკი სპექტაკლი უახლესი რუსეთის სინამდვილეში. "ტერორისტების" ნამდვილი სახე კი ფსბ-ს თანამშრომლების კოლექტიური პორტრეტი გახლდათ "ნორდ-ოსტის" ინტერიერში.

იმ პოლიტიკოსებმა და პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, ვინც ტერორისტებთან დიალოგის გამართვას ცდილობდნენ, მეორე დღესვე იწყეს რეიტინგის კარგვა. იავლინსკის გარდა, რომელსაც ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია. ამისათვის პრეზიდენტმა შეაქო, მხოლოდ იგი დაიბარა კრემლში და მადლობაც უთხრა. რასაც ვერ ვიტყვით ხაკამადასა და ნემცოვზე,რომელთაც პარლამენტში კოლეგებმა მეორე დღესვე ობსტრუქცია მოუწყვეს და... ისევ აღზევდნენ როგოზინები და მიტროფანოვები.

კრემლის სისხლიანი პიარი სპეცსამსახურების ხელშეწყობით ამჯერადაც პუტინის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე გაითვალა, რის დროსაც ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მრავალმილიონიანი რუსეთისათვის თუნდაც ათასი კაცის სიცოცხლე არაფერია.

დღის პერსონა

# დღევანდელი ხელისუფლების მატარებელი ჩავლილია

*თუ ზურაბ ჟვანიას დავუჯერებთ, როცა კონვენტის დღეს ნიშნავდა, არ ახსოვდა, რომ შარშან, სწორედ პირველ ნოემბერს გადადგა დიდი თანამდებობიდან. ერთი წლის თავზე კი მას თავისი პარტია, ხელისუფლებაში მოსვლის სერიოზული ამბიცია და მხარდამჭერთა არცთუ მცირე რაოდენობა ჰყავს... წლევანდელი პირველი ნოემბერი, ისე, როგორც შარშანდელი, ჟვანიასთვის, ალბათ, გადამწყვეტი იქნება. ყოველ შემთხვევაში, გაერთიანებული დემოკრატები ამისთვის დიდი ხანია, ემზადებიან. გასულ კვირას გამართული რვა სხვადასხვა ფორუმი გუშინ ყრილობით დააგვირგვინეს. თითქოს, აქ უნდა დამთავრებულიყო ყველა პროცედურა, მაგრამ დაინტერესებულ საზოგადოებას მთავარი დღეს ელის... კონვენტი, რომელმაც ჟვანიასი და მისი თანაგუნდელების ცხოვრების ერთი უკანასკნელი და ბევრი მომავალი წელი უნდა განსაზღვროს.*



მაია ჭალაგანიძე

**- გილოცავთ პარტიის თავმჯდომარედ არჩევას. გაგიჭირდათ?**

- ძალიან მძიმე კონკურენციის პირობებში ამირჩიეს...

**- რითია გამორჩეული თქვენი პარტია?**

- გამოვირჩევით სწორედ იმით, რომ გაერთიანებულ დემოკრატებში პოლიტიკური გამოცდილებისა და ახალი ენერგიის საინტერესო კომბინაციაა. ჩვენს გვერდით, საზოგადოებისათვის ფართოდ ცნობილი ბევრი ისეთი მოღვაწეა, ვისაც ყოველთვის შორს ეჭირა თავი პოლიტიკისგან. მათ მიიჩნიეს, რომ ჩვენი ქვეყნის კალენდარზე ის მომენტია, როდესაც საკუთარი სამოქალაქო პოზიცია უნდა გამოხატონ და საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა. არიან, აგრეთვე, ჩემი ძველი თანამებრძოლები, არიან ისინიც, ვისაც გამოცდილება ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობიდან მოსდევს.

მთავარი დღეს არის ის, რომ "გაერთიანებული დემოკრატები" ამ ოთხ თვეში ჩამოყალიბდა, როგორც (ზედმეტ ამპარტავნებაში ნუ ჩამითვლით) ყველაზე სტრუქტურირებული, მრავალფეროვანი პარტია, რომელსაც ჩვენი საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენაში აქვს მყარი დასაყრდენი.

**- ახსენეთ ხალხი, რომელიც აქამდე მხოლოდ სამზარეულოში იოხებდა გულს პოლიტიკაზე საუბრებით. თავად როგორ გგონიათ, რატომ არჩიეს მათ თქვენთან ყოფნა?**

- ეს არის ძალზე ფრთხილი კატეგორია ადამიანებისა, ვინც ძალზე სათუთად ეკიდება მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას. ერიდება იმას, რომ მათი სახელი, თუნდაც უნებლიედ, არ იყოს არასწორად გამოყენებული. მათ მიიჩნიეს, რომ ჩვენ გაგვაჩნია ქვეყნის მომავლის ის ხედვა, რომელიც მათ ხედვას ემთხვევა. მათ სჯერათ ჩვენი გულწრფელობის, სჯერათ იმისი, რომ ჩვენ პრინციპულობასა და უკომპრომისობას სწორად ვაზავებთ იმ ზომიერებასთან, რომლის გარეშეც პოლიტიკა წარმოუდგენელია.

**- თქვენი ყრილობა განსხვავებულია. სხვადასხვა საკითხებზე 8 ფორუმი ჩაატარეთ და დღეს სპორტის სასახლეში საერთოეროვნული კონვენტი გაქვთ. რატომ აირჩიეთ ეს ფორმა?**

- ეს ფორმა საქართველოსთვის არის ახალი ხილი, მაგრამ დასავლეთში ყველა ძლიერი პარტია ძალიან სერიოზულად და პასუხისმგებლობით ეკიდება იმას, თუ, საბოლოო ჯამში, როგორი სიტყვით მიმართავს ამომრჩეველს. იმას, თუ რა უნდა იყოს მისი მთავარი გზავნილი.

ჩვენი სურვილია, მხოლოდ ლოზუნგებით არ შემოვიფარგლოთ; კიდევ ერთხელ, სატყუარასავით არ გადავუგდოთ ლამაზად შეფუთული სიტყვები გაუთავებელი დაპირებებით დაღლილ საზოგადოებას. გვინდა, რომ ჩვენი მიდგომა ეფუძნებოდეს ერთიან მიდგომას, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს ეკონომიკა საქართველოში.

იმ წლების განმავლობაში, როდესაც ხელისუფლებაში ვიყავი და მას შემდეგაც, მთავარი პრობლემა საქართველოსთვის არის ის, რომ ფინანსთა სამინისტრო ერთ პროგრამას ახორციელებდა, ეკონომიკისა - მეორეს, განათლებისა - მესამეს და ა.შ. საბოლოო ჯამში, ხელისუფლება კრილოვის ცნობილი იგავ-არაკის გმირებს ემსგავსება.

ამ ფორუმებში მონაწილე ასობით საუკეთესო ქართველი ექსპერტის სურვილი ის იყო, რომ შეგვემუშავებინა ძირითადი პრინციპები, დაგვეწყო ძალზე მძიმე მუშაობა, რათა რამდენიმე თვეში შევძლოთ, საზოგადოებას შევთავაზოთ საქართველოსთვის აქამდე სრულიად უპრეცედენტო დოკუმენტი - კონვენტი. ამით გავაკეთებთ განაცხადს, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლების განმავლობაში ვიმოქმედებთ.

**- კონკრეტულად, რას ვიხილავთ დღეს სპორტის სასახლეში?**

- არ მინდა გავუსწრო მოვლენებს.

**- ოპოზიციურ პარტიებს - "ედპ", "ნაციონალისტები", "ახლები" და "ტრადიციონალისტები" - რამდენად აქვთ სხვა პოლიტიკური ძალების შემოერთების პერსპექტივა?**

- მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველასთან, ვინც ჩვენს მიდგომას გაიზიარებს. პირველ ყოვლისა იმას, რომ დღევანდელი სახით ხელისუფლება არ შეიძლება აგრძელებდეს არსებობას;. რომ მმართველობის ის სტილი, რასაც დღეს ედუარდ შევარდნაძე განასახიერებს, ძირეულად არის შესაცვლელი; რომ საფუძვლიანად არის შესაცვლელი მთლიანად ხელისუფლება. ეს ცვლილებები უნდა წარიმართოს არა განზრახ ვითარების დაძაბვის, რევოლუციების გზით, არამედ ისე, რომ ქვეყანა ისევ არ დადგეს უმძიმესი დაპირისპირებისა და სამოქალაქო კატაკლიზმების წინაშე.

ეს არის ჩვენი ხედვა. აქედან გამომდინარე, ვთანამშრომლობთ ყველა პარტიასთან, ვისთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა.

**- ალბათ, იმათაც ხედავთ, ვინც არ ან ვერ შედგება თქვენს პლატფორმაზე...**

- გაგვიჭირდება თანამშრომლობა დღევანდელ მოქალაქეთა კავშირთან, ასლან აბაშიძესთან და მისი ფრთის ქვეშ გაერთიანებულ პოლიტიკურ ძალებთან.

**- თქვენ განაცხადეთ, რომ იმპიჩმენტის პროცედურას სწორედ "აღორძინების" გამო არ შეუერთდებით...**

- თქვენ გინახავთ საიმპიჩმენტო დოკუმენტი? არც მე... ვნახე ერთი ვერსია, სადაც შევარდნაძეს ბრალი ედებოდა აჭარასთან შუღლის გაღვივებაში და მეორე - სადაც მას სხვადასხვა დანაშაულებისთვის სდებენ ბრალს. მაგალითად, მან ვერ უზრუნველყო, რომ ქვეყანაში არ ეწყობოდეს ტერორისტული აქტები...

არ ვაპირებ, ხელი მოვაწერო იმპიჩმენტის დოკუმენტს, სადაც შევარდნაძეს ბრალი ედება იმაში, რომ მან ვერ აღკვეთა ტერორისტული აქტები საკუთარ თავზე. პოლიტიკოსები, რომელთაც სერიოზულობის პრეტენზია აქვთ, ჯერ ხმამაღლა აცხადებენ, რომ სურთ პრეზიდენტის იმპიჩმენტი და შემდეგ იწყებდნენ საიმპიჩმენტო დოკუმენტების ძებნას. ეს არის ის მიდგომა, რომელიც ერთადერთზე მიუთითებს - იმპიჩმენტი ამ შემთხვევაში, არის ანგარიშსწორების იარაღი ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების პროცესში. უნდა გითხრათ, რომ არც მე და არც ჩემს მეგობრებს არ აქვთ სურვილი, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ბინძურ დაპირისპირებაში დამხმარე ძალად ვიყოთ გამოყენებული. ამ დაპირისპირებაში ვერც შევარდნაძის მხარეს დავიჭერთ. მან ახლა აღმოაჩინა, რომ თურმე ასლან აბაშიძე თბილისში არ ჩამოდის; არც ასლან აბაშიძის მხარეს დავიჭერთ, რომელიც დროდადრო თბილისთან ურთიერთობას ძაბავს და მაინც, ნებისმიერ ვითარებაში ახერხებს ამ პრობლემების მარტივად ამოხსნას.

**- წლების მანძილზე ახლოდან უყურებდით ამ პერიოდულ დაპირისპირებებს. ხომ არ არის რაიმე ლოგიკა - ან რას მოჰყვება ხოლმე ეს დაპირისპირება, ან რა იქნება ამის შედეგი?**

- ლოგიკა არის ის, რომ "აღორძინებასაც", შევარდნაძეს და მის მოქალაქეთა კავშირსაც ხელს აძლევს იმის წარმოჩენა, რომ ამ ქვეყანაში არჩევანი არის მხოლოდ შევარდნაძესა და აბაშიძეს შორის - ცუდსა და უარესს შორის. ჩვენი ამოცანაა, დავამტკიცოთ, რომ ქართველი ერი იმსახურებს ბევრად ფართო და უკეთესი არჩევანის უფლებას.

**- როგორ გგონიათ, დარჩა შევარდნაძეს რაიმე რესურსი?**

- თუ მისი წლიური მიმართვის მიხედვით ვიმსჯელებთ, თუ ვიმსჯელებთ იმით, რასაც ბოლო დროს იგი ახორციელებს - თუნდაც იმ აბსურდული მცდელობით, რომ ოპოზიციური ძალებისთვის (და არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისთვის) ქუჩაში გამოსასვლელად ებიძგა - არ დარჩა არანაირი რესურსი. ასეთი რამ საბჭოთა დროსაც არ მომხდარა. ეს საქციელი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება აგონიაშია. აგონიაში მყოფი ხელისუფლება კი სერიოზული და სწორი გადაწყვეტილებების მიმღები არ არის.

**- ხომ შეიძლება საპარლამენტო არჩევნები შედგეს, მაგრამ ახალმა პარლამენტმა თბილისის საკრებულოს ბედი გაიზიაროს?**

- ეს უეჭველად მოხდება, თუკი დემოკრატიული ოპოზიცია დაიქსაქსება და საერთო ენას ვერ ვიპოვით; თუ არ განმტკიცდება ბოლო ოთხი თვის მანძილზე დაწყებული თანამშრომლობა. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვითანამშრომლოთ არა საიმისოდ, რომ ერთიანი საარჩევნო სია შევქმნათ, არამედ, საიმისოდ, რომ ერთად დავიცვათ ჩვენი თანამემამულეების უზენაესი უფლება - გააკეთონ თავისი არჩევანი საარჩევნო ყუთებთან და არა იარაღით ხელში.

**- როგორც ვხედავთ, დღეს სამი პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბდა: ოპოზიციური პარტიების გაერთიანება, ბათუმური ალიანსი და კანცელარია-ჯორბენაძე. ეს სამი ცენტრი ერთმანეთთან მწვავედ არის დაპირისპირებული. არის თუ არა მოსალოდნელი დიდი ცვლილებები ძალთა გადანაწილებისას?**

- მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი კონფიგურაცია იქნება. შევარდნაძე-ჯორბენაძე-მამალაძის ალიანსს არაფერი ეშველება. ეს გაერთიანება მხოლოდ სერიოზული მანიპულაციების შედეგად შეძლებს, გადალახოს შვიდპროცენტიანი ბარიერი; ასლან აბაშიძის გარშემო შექმნილი პოლიტიკური გაერთიანება, აჭარაში, დანარჩენ საქართველოსგან განსხვავებით, ტრადიციულად, 99,8 პროცენტს აიღებს. არსებობენ, აგრეთვე, ოპოზიციური ძალები, რომელთაც ყველაზე სერიოზული მხარდაჭერის შანსი აქვთ. ბევრს ვმოგზაურობ და ამის თქმის საფუძველი მაქვს.

**- შეცვლის თუ არა რუსეთს 23 ოქტომბერი. კონკრეტულად კი საქართველოსთან ურთიერთობაში...**

- ენერგიულ, ძლიერ და შეკრულ ქართულ ხელისუფლებას ბევრად უფრო ადვილად შეეძლება რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება. რუსეთიც ხედავს, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელსაც არ აქვს საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერა. რომ ის ჰაერშია გამოკიდული და სწორედ ამიტომ ბედავს უხეშ თავდასხმებს შევარდნაძისა და ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ ვერ გათვალეს ის, რომ ჩვენ, ოპოზიციურ ძალებს - გვექნებოდა პასუხისმგებლობის ის განცდა, რომ რუსული თემით სპეკულირება და ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ რუსეთის რეალური აგრესია არ დაგვეშვა.

ჩვენი საგარეო ურთიერთობები ბევრად უფრო ჰარმონიულად წარიმართება, თუ დაინახავენ, რომ ამ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია კორუფციის პრობლემების გადაჭრა, საკუთარი ტერიტორიის მართვა, აღებული ვალდებულებების შესრულება.

**- ორი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე იყავით. იყავით ქვეყნის მეორე პირი და მონაწილე იმ პროცესებისა, რაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათი წლის მანძილზე განვითარდა. რა მოუვიდა დემოკრატიას ამ პერიოდში, საით წავიდა?**

- ყველა უცხოელ დამკვირვებელს მიაჩნდა, რომ საქართველო ქმნიდა დემოკრატიული და საბაზრო ურთიერთობების, გარდაქმნების სრულიად უპრეცედენტო, უნიკალურ მოდელს. 1998-1999 წლიდან კი ყველა რეფორმა გაჩერდა და გაიყინა ერთ ადგილზე. ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, რეალური ცხოვრება კი სულ სხვა წესითა და კანონებით იმართებოდა. თავი იჩინა ჩვენი ხელისუფლებისა და, კერძოდ, პრეზიდენტის მუდმივმა გაორებამ, მუდმივმა მცდელობამ, რომ დაებალანსებინა არაშეთავსებადი პრინციპები და მიდგომები. ეს, საბოლოოდ, დასრულდა სწორედ იმ აფეთქებით, რომელსაც საქართველო სრულიად შემთხვევით გადაურჩა. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, დამეტოვებინა ჩემი პოსტი, რადგან დავინახე, რომ პრეზიდენტს საზოგადოება ახალი დაპირისპირებისაკენ მიჰყავდა.

დემოკრატიაზე საუბარი ჩვენს ქვეყანაში ძალიან ძნელია. უშიშროება თავს ესხმის ყველაზე პოპულარულ ტელეკომპანიას; ციხიდან ცინიკურად უშვებენ ცნობილ მკვლელსა და ტერორისტს, რომელსაც ათობით ადამიანის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი; 5 თვის მანძილზე, მილიონნახევრიანი ქალაქის არჩეულ საკრებულოს შეკრების საშუალებას არ აძლევენ; დაუსჯელად დადიან უშველებელი ქალაქის საარჩევნო ყუთების (რუსთავს ვგულისხმობ) გამტაცებლები.... საქართველომ ამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, არამცთუ უკან გადადგა ნაბიჯი, არამედ გადავარდა იმ უფსკრულში, საიდანაც ამ ბოლო წლების განმავლობაში ძლივს ამოვედით...

**- რა იყო ის წერტილი, რასაც მივაღწიეთ და შემდეგ უკან დავიხიეთ...**

- არ მეგონა, რომ პრეზიდენტი, რომელსაც დიდი გზა აქვს გავლილი და დღევანდელი ევროპის ერთ-ერთი შემოქმედია, რომელსაც შეუძლია იამაყოს იმით, რომ თავისი ხელით დაანგრია ბერლინის კედელი - თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ხაზს გადაუსვამდა ყველაფერს, რაც აქამდე უკეთებია.

სულ ვიხსენებ ბრეჟნევის დროინდელ ერთ ანეგდოტს - პოლიტბიურო მატარებლით მიემგზავრება. უცბად, გაჩერდება ვაგონი და ბრეჟნევს მოახსენებენ, რომ ლიანდაგები დამთავრდა. არა უშავსო, - ამბობს ბრეჟნევი, - ჩამოუშვით დარაბები და ყველამ ერთად ჩუქუ-ჩუქუ ვიძახოთო... მე მგონია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას სურვილი აქვს, მკვიდრად დაკეტოს ყველა დარაბა, ერთად შეკრულ გუნდად იძახოს ჩუქუ-ჩუქუ და შეიქმნას ილუზია, რომ მათი მატარებელი ჯერ კიდევ წინ მიდის.

**- გადაგომიდან ერთი წელი თავს საკუთარი პარტიის პირველი ყრილობით მიულოცეთ...**

- ძალზე მნიშვნელოვანი წელი იყო ჩემთვის. გადადგომიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში შედარებით თავისუფალ რეჟიმში ვიცხოვრე, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა. ახლა ისევ 24 საათიანი რეჟიმით ვმუშაობ, რაც ჩემი ოჯახის წევრებს ძალზე აბრაზებთ. განსაკუთრებით - ჩემს სამ შვილს.

დავრწმუნდი, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ძალა თანამდებობაში არ არის. რეალურ ძალას პოლიტიკოსს საზოგადოების მხარდაჭერა აძლევს. შემიძლია ვთქვა, რომ როცა რამდენიმე წლის წინ მნიშვნელოვან არჩევნებს ვიგებდით, მაშინ არ მიგრძვნია იმდენი ძალა და არ ვყოფილვარ ისე დარწმუნებული საკუთარ შემართებაში, როგორც დღეს.

**- ახლობლები გადადგომას გილოცავდნენ თუ პირიქით?**

- გადაგომის საღამოს სახლში, შარტავას ქუჩაზე რომ მივბრუნდი, ჩემი ოჯახის წევრები, მეზობლები შემომეხვივნენ, მეფერებოდნენ და მილოცავდნენ. ვიხუმრე კიდეც, როცა თავმჯდომარედ მირჩევდნენ, მაშინ არ მოგილოციათ-მეთქი.

მიხარია ცხოვრება იმ ადამიანთა წრეში, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ბედნიერება შენი ხალხისთვის და ახლობლებისთვის გადადგმული სწორი ნაბიჯებია.



# "კავკასიური ცარცის წრის" რეჟისორი, კავკასიურ პრობლემებზე და კიდევ სხვაზე...

*"მოიძებნება დღეს რუსეთში ადამიანი, რომელიც დაწერდა "ჰაჯი-მურატს"? მე არ ვიცი, არიან თუ არა ჩეჩნებს შორის ტერორისტები ან რამდენი არიან ისინი, მაგრამ, ფაქტი ერთია: ნადგურდება პატარა ერი. და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დღეს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სტალინი უფრო ჰუმანური აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის ახლანდელი ხელისუფლება. სტალინს, მხოლოდ ჩეჩნების გადასახლება და სადმე მათი კომპაქტურად დასახლება სურდა." – ეს გახლავთ ნაწყვეტი ინტერვიუდან, რომელიც* Московские новости*-ს კორესპოდენტს ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ მისცა. ინტერვიუ, მოსკოვის ტერაქტამდე რამდენიმე ხნით ადრე, სექტემბრის თვეში გამოქვეყნდა, რეჟისორისა და პანკისში მყოფი ქართული არმიის ჯარისკაცთა ფოტოების ფონზე.*

თეონა ჯაფარიძე

დღეს რუსთაველის თეატრის დასი საგასტროლოდ რუსეთს მიემგზავრება: ლეგენდარულ "კავკასიურ ცარცის წრეს", შექსპირის "ჰამლეტს", "მეთორმეტე ღამესა" და ბეკეტის "გოდოს მოლოდინს", "ნორდ ოსტის" ცნობილი მოვლენებით დაზაფრული რუსი მაყურებელი (უფრო კონკრეტულად პეტერბურგელი მაყურებელი) იხილავს. რუსთაველის თეატრის დასი, სპექტაკლებს პეტერბურგის ცენტრში, კონსერვატორიის შენობაში, ნოემბრის ბოლომდე ითამაშებს.

"ჩვენი გასტროლი, რაღაც პროცენტით რისკთანაც არის დაკავშირებული, იმიტომ რომ, პეტერბურგი გამოირჩევა კრიმინალური სიტუაციითა და ნაცისტურად განწყობილი აგრესიული ახალგაზრდებით, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოს არც ერთი ქალაქის მაყურებელს არ ვუყვარვართ ისე, როგორც პეტერბურგელ მაყურებელს", - ამბობს გამგზავრების წინ მაესტრო.

ის სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მისი ყოფნა მოსკოვის ტერაქტის პირველ ორ დღეს დაემთხვა: "რაღაც საშინელება ტრიალებს რუსულ მასმედიაში. ამაში ჩემი რუსი მეგობრებიც მეთანხმებიან", - ამბობს რეჟისორი. Московские новости-ის ფურცლებზე კი რუს მეგობრებზე ის ასე წერს: "ჩემი თაობა გააგრძელებს ურთიერთობას რუს მეგობრებთან, მაგრამ ახალ თაობას არანაირ შანსს არ უტოვებენ, გააგრძელოს ეს ტრადიცია. მათში "გაცივების" ტენდენცია უკვე შეინიშნება. ლოგიკა მარტივია: შენ თუ არ გინდივარ, მე ახალ მეგობარს მოვძებნი.

მაგრამ მე არ ვნებდები ამ ახალ ტენდენციებს. ამაში ჩემს რუს მეგობრებთან და კონკრეტულ ადამიანებთან ჩემი კავშირები მეხმარება, მაგრამ მე ხანდახან მათი დუმილი მაშფოთებს. თითქოს, მათ სჯერათ თავიანთი ხელისუფლების".

პეტერბურგში გასტროლებამდე, 1 ნოემბერს მაესტრო მოსკოვში სწორედ თავის მეგობართან, ალექსანდრ კალიაგინთან მიემგზავრება. 4 ნოემბერს მას იქ პრემიერა აქვს: მოსკოველი მაყურებელი თეატრ "ეტ ცეტერაში" სტურუას ახალ დადგმას, მონო-სპექტაკლს, ბეკეტის "კრეპის უკანასკნელ ჩანაწერს" იხილავს. 7 ნოემბერს კი ის რუსთაველის თეატრის დასს პეტერბურგში შეუერთდება.

დასი კი, თბილისში ხარაჩოებში ჩასმულ თეატრს ტოვებს: "თეატრში


№ 36 17 – 23 сентября 2002 г.

СОБЫТИЕ НЕДЕЛИ

ПОЗИЦИЯ

Перед маленькой страной трудно извиняться

Всемирно известный режиссер Роберт СТУРУА – о том, к чему может привести обострение российско-грузинских отношений

ДОСЬЕ «МН»

"მოსკოვსკიე ნოვოსტი" - ინტერვიუ რობიკო სტურუასთან

ყველაფერი იცვლება. მცირე და დიდ სცენებს კიდევ ერთი, პატარა, 160 კაციანი ე.წ. "მელიქსედოვის" დარბაზი დაემატება. სარესტავრაციო და აღდგენითი სამუშაოები 2004 წლის შემოდგომაზე დასრულდება" – ამბობს თეატრის დირექტორი, გია თევზაძე.

სარემონტო სამუშაოებმა და, აქედან გამომდინარე, თეატრალური სივრცის შეცვლამ შესაძლოა, სტურუას ცნობილ "მონოლითურ თეატრს" ფორმა უცვალოს:

"ამ მდგომარეობას უფრო თამამი ექსპერიმენტებისთვის გამოვიყენებ", - ამბობს რეჟისორი. "უკვე შევათვალიერე "სამეფო უბნის თეატრი" და ძალიან მომეწონა მისი სივრცე. ერთ სპექტაკლს რუსთაველის თეატრის სხვენზეც დავდგამ. ახალგაზრდა რეჟისორი, ნიკა შველიძე კი უკვე მუშაობს რობერტო ზუკოს ერთ პიესაზე, რომელიც, ალბათ, თებერვლის ბოლოს პირდაპირ მცირე სცენის ხარაჩოებში გათამაშდება. გადაწყვეტილი მაქვს, დაახლოებით რვა პიესა დავურიგო ახალგაზრდა რეჟისორებს. დრო და დრო, მათ პრემიერებს თბილისელი მაყურებელი იხილავს. 2004 წელს თეატრში მშენებლობის დასრულებას და რუსთაველის თეატრის 125 წლის იუბილეს კი ერთბაშად ახალი რეპერტუარით შევხვდებით. ჩვენ ევრო-გაერთიანების თეატრების კონვენციასაც შევუერთდით. და შესაძლოა, პატარა თეატრალური ფესტივალიც მოვაწყოთ თბილისში", - საუბრობს რეჟისორი.

ბოლოს კი, ერთი თავისი გამოუქვეყნებელი ლიბრეტოს შესახებ გვიამბო: ათი წლის წინ, ნიუ იორკში გასტროლის დროს, მისთვის ერთ ამერიკელ პროდიუსერს მიუზიკლისთვის ლიბრეტოს შექმნა შეუთავაზებია. რობერტ სტურუას კი, ასეთი სიუჟეტი მოუფიქრებია: მოქმედება ბროდვეიზე ხდება, სადაც დასი პრემიერისთვის ემზადება. გენერალური რეპეტიციის დროს, მოულოდნელად ისინი ტერორისტთა ტყვეობაში აღმოჩნდებიან. ტერორისტები კი 14 წლის ბავშვები არიან, რომლებიც უმოწყალოდ ხოცავენ დასის წევრებს. მოულოდნელად მათი მეთაური სპექტაკლით დაინტერესდება და თავად იწყებს მის დადგმას.

მაშინ, ამერიკელ პროდიუსერთან ეს პროექტი არ განხორციელდა. ახლა რას უპირებთ ამ ლიბრეტოს? – ვკითხე საუბრის ბოლოს რეჟისორს. რაზეც დაახლოებით ასეთი პასუხი მივიღე: "დღეს ტერორიზმი, 21-ე საუკუნის სინდრომი იმდენად გავრცელებული და საგაზეთო თემაა, რომ მისი სცენაზე გადატანა სიყალბის შექმნის საშიშროებას იწვევს. დღეს ხელოვნებაში ახალი ფორმები უნდა მოიძებნოს მის სამხილებლად."

# პასკალ კინიარი - 2002 წლის „გონკურის" მფლობელი


*კინიარი შამპანურით ზეიმობს*

რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის მთავარი ლიტერატურული ჯილდოს, "გონკურის" მფლობელის ვინაობა გაირკვა. კრიტიკოსებმა გამარჯვებული ავტორის პასკალ კინიარის "მოხეტიალე ჩრდილები" მიაკუთვნეს იმ ნაწარმოებთა რიგს, რომელიც აუცილებლად წასაკითხია.

კინიარს ქართველი მკითხველიც იცნობს. მისი "ყოველი დილა ქვეყანაზე" გამომცემლობა "სანიმ" 2002 წელს გამოსცა. 1991 წელს, საფრანგეთში ამ რომანის მიხედვით გადაიღეს ფილმიც, რომელშიც მთავარ როლს ჟერარ დეპარდიე ასრულებს. მწერლის ახალი ნაწარმოები კი პირადი დაკვირვებების, მოგონებებისა და ფიქრების ერთგვარ კოლექციას წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ წიგნს ერთი კონკრეტული ქარგა არ აქვს.

კანდიდატურების განხილვისას ჟიურის ბევრი არ უყოყმანია. კინიარის ბოლო რომანი მათ ერთსულოვნად აღიარეს საუკეთესოდ. მათი არჩევანი კი ნამდვილად კომპეტენტურია, რადგან "გონკურის" ლაურეატს თანამედროვე ლიტერატურის ისეთი ცნობილი ფიგურები ირჩევდნენ, როგორებიცაა მიშელ ტურნიე, ჟორჟ სემპრუნი, ხოლო ედმუნდ შარლ-რუ ჟიურის პრეზიდენტი გახლდათ. მან ჟიურის გადაწყვეტილება ასე ახსნა: "მოხეტიალე ჩრდილები" არ გახლავთ ერთი რომანი, არამედ ათასობით რომანის კრებულია. ჩვენ ავირჩიეთ თავად სრულყოფილება, სრულყოფილება, რომელიც შესანიშნავი ენითაა დაწერილი".

ერთადერთი გამონაკლისი კინიარის მიმართ დადებითად განწყობილ ჟიურის წევრებს შორის მწერალი ჟორჟ სემპრუნი იყო. მისი აზრით, კინიარის ნაწარმოები სულაც არ იყო "ნოვატორული" და არც "ახალი ლიტერატურული მიგნებებით" გამოირჩეოდა. "მთლიანობაში, რომანი ძალიან პარიზულია. მეტიც, ის პარიზს ეფუძნება კიდეც", - დასძინა მან.

თუმცა, სემპრუნის კრიტიკულ გამოსვლას კინიარის ზეიმი არ ჩაუშხამებია. მან განაცხადა, რომ "გონკურის" მოპოვებით ძალიან ბედნიერია და ეს მისცემს საშუალებას, მომავალშიც ყოველგვარი საზრუნავის, წუხილის და პრობლემის გარეშე წეროს. "მოხეტიალე ჩრდილების" შესახებ კი აღნიშნა: "ჩემი წიგნი ფიქრების ქარიშხალს ჰგავს. ვწერ ბავშვობიდან გამოყოლილ ფიქრებზე. ის შეიცავს ნაწყვეტებს რომანებიდან, სხვადასხვა ამბებიდან, ფრაგმენტებს ავტობიოგრაფიიდან... ასე რომ, ეს არც ერთი რომანია და არც ესე".

უნდა ითქვას, რომ "გონკურის" ლაურეატობა პასკალ კინიარის ვერ გაამდიდრებს. ამ ლიტერატურული ჯილდოს ფულადი პრიზი სიმბოლურ თანხას – ათ ევროს გულისხმობს. სამაგიეროდ, "გონკურის" ფლობა მწერალს მეტი მკითხველის მოპოვებას ჰპირდება, თანაც საერთაშორისო მასშტაბითაც.

დაბოლოს, იმავე დღეს, "გონკურის" პრიზზე წარდგენილ მწერალს ჟერარ დე კორტანზს რომანისთვის "ასამი" რენადოს ლიტერატურული პრიზი გადასცეს. ეს გახლავთ ისტორიული ჟანრის ნაწარმოები, რომლის მთავარი გმირიც, ჩაის განსაკუთრებული მცენარის საძიებლად ინდოეთში მიდის.

## *კალენდარი*

## 1 ნოემბერი



"კაცმა უთხრა სამყაროს: "სერ, მე ვარსებობ!" "მიუხედავად ამისა, - უპასუხა სამყარომ, - ამ ფაქტის გამო არავითარ პასუხისმგებლობას არ ვგრძნობ" - ეს სიტყვები ამერიკელ მწერალს, სტივენ კრეინს ეკუთვნის, კაცს, რომელმაც ლიტერატურული ხიბლი ადრეული ასაკიდანვე შეიგრძნო.

კრეინი ნიუ ჯერსიში, მეთოდისტი მღვდლის ოჯახში დაიბადა, მეთოთხმეტე შვილად. წერა რვა წლის ასაკში დაიწყო. უკვე 16 წლისა გაზეთ "ნიუ იორკ ტრიბუნისთვის" ამზადებდა პუბლიკაციებს. ნიუ იორკში გადასახლების შემდეგ კი მან ბოჰემურ-ჟურნალისტურ წრეებში საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი.

პირველი რომანი, "მეგი: ქუჩის გოგონა" 22 წლისამ შექმნა. ამ ნაწარმოებმა ლიტერატურული ნატურალიზმის ჩამოყალიბების პროცესზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. სწორედ ამ ნატურალიზმის გამო გამომცემლებმა წიგნის დაბეჭდვაზე უარი თქვეს და კრეინსაც რომანის საკუთარი ხარჯებით გამოქვეყნება მოუხდა. მეორე რომანის "მამაცობის წითელი ნიშნის" გამო კი (1895 წ.), კრეინს ამდენი აღარ უწვალია. პირიქით, სწორედ ამ ნაწარმოებმა მოუტანა მას საერთაშორისო აღიარება. წიგნს მაშინვე მიანიჭეს ომის შესახებ დაწერილი პირველი თანამედროვე რომანის სტატუსი. წერდა ლექსებსაც...

**სტივენ კრეინი** გერმანიაში, ტუბერკულოზით 1900 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა. დაიბადა 1871 წლის 1 ნოემბერს.

# ტრადიციული ხელოვნება იაპონიიდან

### ხვალ იაპონური ხალხური ხელოვნების გამოფენა გაიხსნება

*გუშინ თბილისში "იაპონია - საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის" პირველი ერთობლივი ფესტივალის მონაწილეები ჩამოვიდნენ. სტუმრები კულტურის მინისტრმა, სესილი გოგიბერიძემ და ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, ნოდარ ლომოურმა მიიღეს.*

ვერა ნეფარიძე

საქართველოს კულტურის სამინისტროს დაძაბული სამუშაო დღეები აქვს. დღეს სამინისტროში რუს კოლეგებთან მრგვალი მაგიდისა და რუსული კინოს დღეების სამზადისში არიან; რუსულ დელეგაციამდე ერთი დღით ადრე კი ქართველმა მინისტრმა მასმედიას იაპონელი სტუმრები გააცნო. შეხვედრა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა; იაპონურ დელეგაციას ტოკიოში შარშან დაარსებული საქართველოს ეროვნული, კულტურულ-ტურისტული და სავაჭრო ცენტრის თავმჯდომარე, იუმიო აოკო ხელმძღვანელობდა. სტუმრებს შორის იყვნენ გამოფენის ავტორებიც.

თბილისელებისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ტრადიციული იაპონური კედლის მხატვრობის ოსტატის, ოჰგენ ჰამანაკას ნამუშევრების დათვალიერება. ჰამანაკა იაპონური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელსაც იაპონიის მიღმაც


*სესილი გოგიბერიძე და ნიკო ლომოური იაპონელ სტუმრებთან*

საკმაოდ კარგად იცნობენ. რამდენიმე წლის წინათ მან ლონდონის სამხატვრო აკადემიაში იაპონური კლასიკური ხელოვნების განყოფილება გახსნა; პრინცი ჩარლზი სიამოვნებით ესწრება მის პერსონალურ გამოფენებს და ერთი სიტყვით, ტრადიციული იაპონური მხატვარობის ქომაგი ბუკინგემის სასახლეში საკმაოდ მიღებული პიროვნება ყოფილა. თანამედროვე იაპონურ ხელოვნებაში არანაკლებ ავტორიტეტით სარგებლობს ივაკიჩი ფურუშო, რომელიც ინდიგოს ხელოვნებისა და ტექნიკის დიდოსტატად მიიჩნევა. მათთან ერთად გამოფენაში იაპონელი გრაფიკოსი, ტაეკო ტომოდა (იგი ფესტივალის საორგანიზაციო საბჭოსაც ხელმძღვანელობს), კერამიკოსები (იუკიო იამაგუჩი, მინორუ საკაგუჩი და ტოშიო სუდო) და ფოტოგრაფიც (იუკო იაგი) მონაწილეობს.

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები" 09.20 ლიმონი და ლიმონათი 09.35 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი" მე-17 სერია 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.00 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-17 სერია 11.30 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 45-ე სერია 12.30 მხ. ფილმი "საიმედო დაცვა" 14.00 დოკ. ფილმი "ნაშრომი განძად დაშთების" 14.20, 18.45, 00.20 მუსიკა 14.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 16.00 მულტფილმი "მავნე კატა" 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 23-ე სერია 17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი" მე-18 სერია 18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-18 სერია 19.00 რაგბი - პირდაპირი ტრანსლაცია 21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "დუბროვნიკი. სამყაროსთვის ღია ციხე-სიმაგრე - ხორვატია" 21.30 სანახაობა "გოჩალები" 21.45 კინოკლუბი ყაზბეგი წარმოგიდგენთ მთ. ფილმებს: 1. "მეცხრე კარიბჭე" მთ. როლებში ჯონი დეფი, ლენა ოლინი ტელ: 77-83-28 2. "საბედისწერო წერილები" მთ. როლებში პიტერ კოიოტა, ნასტასია კინსკი ტელ: 77-83-29 3. "გენერალი" მთ. როლებში ბრენდან გლისონი, ედრიან ლამბსი ტელ: 77-83-30 00.40 მხ.ფ. "ურტყი ქვალში" მთ. როლებში ვუდი ჰარელსონი, ანტონიო ბანდერასი

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.40 ქართული მხატვრული ფილმი "როცა აყვავდა ნუში" 10.40 მხატვრული ფილმი "ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "იტალიელების არაჩვეულებრივი თავგადასავლები რუსეთში" 13.55 მხატვრული ფილმი "თამაში" 16.15 მულტფილმი "ეგვიპტის პრინცი" 1 სერია 17.50 მხატვრული ფილმი "ათი ზანგის ბიჭუნა" 1 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "ყველანი ვართ პატარები" 19.40 მხატვრული ფილმი "გამოსასყიდი" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 ძჟ ძ 23.30 დოკუმენტური ფილმი 00.50 მხატვრული ფილმი "8 მილიმეტრი" 03.30 მხატვრული ფილმი "იდუმალების საფარქვეშ"

### VII არხი

18.00, 23.00,02.00 ანონსი 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.00 "ღამის კაპრიზი". 21.00 რაგბი. ინგლისი - ახალი ზელანდია. 23.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 23.50 მელოდია 00.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი. 02.00 პრესის მიმოხილვა..

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости 08.10 Мультфильм "Муравьишка - хвастунишка" 08.30 Сериал "Флиппер" 09.20 Служу России! 09.45 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 Дог-шоу 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.05 "Властелин вкуса" 12.55 Детектив "ИНСПЕКТОР ЛОСЕВ" 14.30 Дисней-клуб: "Утиные истории" 15.10 "Диктаторы". Адольф Гитлер и Ева Браун 16.00 Умницы и умники 16.30 Телеконкурс "Мисс "Большая стирка" 17.35 Комедия "УЛИЦА ПОЛНА НЕОЖИДАННОСТЕЙ" 19.00 Времена 20.10 "Поле чудес" 21.35 Боевик "КРЕПКИЙ ОРЕШЕК 2" 00.00 Бокс. Виталий Кличко - Крис Берд 00.55 Худ.фильм "ТОТ, КТО НЕЖНЕЕ" 02.45 Реальная музыка

### РТР

07.20 фильм-сказка"ШАГ С КРЫШИ". 08.45 "Дракоша и компания". Детский сериал. 09.10 "Русское лото". 10.00 Всероссийская лотерея "ТВ Бинго шоу". 10.35 ВЕСТИ-МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ 11.15 "Утренняя почта". 11.50 "Городок". Дайджест 12.20 х.ф."ВЕСНА НА ЗАРЕЧНОЙ УЛИЦЕ". 14.10 "Парламентский час". 15.00 ВЕСТИ 15.20 "Вокруг света". 16.10 "Диалоги о животных". 17.00 Футбол. ЦСКА - "Спартак" (Москва). 19.00 Комедия "СИНЬОР РОБИНЗОН" (Италия). 1977г. 20.50 "В "Городке". 21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ. 22.10 "Специальный корреспондент". 22.35 "Путешествие "Аншлага". 01.45 х.ф."АРТИСТ И МАСТЕР ИЗОБРАЖЕНИЯ". 2000г.

## კვირა 10.11

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "სამნი" 11.50 ველური ბუნება 12.50 მხ.ფილმი 14.35 სიმფსონები 15.05 მხ. ფილმი 17.10 იქს მუტანტები 18.00, 21.00, 00.40 კურიერი 18.20 მხ. ფილმი 20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა 21.00 60 წუთი 22.25 ჩვენი ეზო 22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ძირითადი ფერები" 8 77 45-79-25 ჯონ ტრავოლტა, ემა ტომპსონი, "საძაგელი კოიოტი" 8 77 45-79-26 ადამ გარსია, მარია ბელო, "უძილობა" 8 77 45-79-27 ალ პაჩინო, რობინ უილიამსი 00.50 მხ.ფ. "ბრიჯიტ ჯონსის დღიურები" მთ. როლებში რენე ზელვეგერი, ჰიუ გრანტი 03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე" 08.15 მხ. ფილმი "ჯონი მნემონიკი" 09.45 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 10.00 დილის პაემანი 11.05 "დიდი დასვენება" 11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში" 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 "არათბილისური ამბები" 15.00 ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალური მატჩი: თბილისის "ლოკომოტივი" - თბილისის "დინამო" შესვენებისას საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 16.50 სიმონ სხირტლაძე 17.30 საკვირაო გამოფენა 17.40 ტელეზღაპარი 18.00 "ტაიმ-აუტი" 18.20 "სახსოვარი" 18.55 "ოქროს ვექტორი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 "მამთის იუბილე" 22.15 სერიალი "ცისფერი ველოსიპედი" 23.05 ჩემი მშვენიერი ლედი 23.25 ქართ. მხ. ფილმი "ამოკი" 00.40 "ტაიმ-აუტი" 01.10 მხ. ფილმი "დათვლილი დღეები"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 "კომედია" მხ.ფ. "ავანსცენა" 16.00 "უცნობი" 17.00 მუსიკა 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "ვიდეო-რადიო" 21.00 რომანტიკული მუსიკა 22.00 ინფორმატორი 23.00 "ცენტრი" 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ლამაზმანი". მთ. როლებში კამერონ დიასი, კრისტინა ეპლგეიტი 01.40 ღამურა "ბაფალო 66". მთ. როლებში ვინსენტ გალო, კრისტინა რიჩი 03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი 19.30 დიზაინი 19.50 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "ეშმაკისეულნი" 00.25 ჰიტ-პარადი

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მუსიკა 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საოცარი პირამიდა 17.00 - 19.00 რელიგიის საათი 19.00 დოკ. ფილმი 20.00 შეხვედრა ვარსვლავთან 20.20 მოგზაურობა გავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 მხ. ფილმი "ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში" 00.30 მსოფლიო სპორტი

### იბერია

08.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი. მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "ფანფან - ტიულპანი" 10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა 10.20 მხ.ფ. "ლენი" 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 20.00 მხ.ფ. "ბიჭები ბრუნდებიან" 22.15 მხ.ფ. "ჩვეულებრივი ადამიანები" 00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "მუმია 2" 14.00 მხ. ფილმი "40 დღე და 40 ღამე" 15.30 მხ. ფილმი "ლტოლვილი" 17.00 მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "სიკვდილთან თამაში" 22.00 მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" 00.20 მხ. ფილმი "გველის კოცნა"

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20, 18.50, 19.15, 21.45, 00.00 მუსიკა 09.30 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი" მე-18 სერია 10.00, 15.00 "დილა" 11.00 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-18 სერია 11.30 "ევროპის სტადიონებზე" 12.00 საუბრები სტუდიაში 12.50 მხ. ფილმი "ურტყი ქვალში" 14.50 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 16.00 მხ. ფილმი "ბაზა - 2" 17.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 18.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 19.00 მაცაცერა 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი "პასტორალი" 22.00 სანახაობა "ყოჩაღები" 22.15 მხ. ფილმი "იქნებ დამეხმაროთ" მთ. როლებში როზა ნაკეტი, დევონ გამელსონი 00.20 მხ. ფილმი "დუბლიორი" მთ. როლებში ერიკ რობერტსი, ეშლი ჯადი

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი "განზაი" 11.10 "ყველანი ვართ პატარები" 11.20 Слово 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "ადამიანი-რეპტილია" 13.40 მელოდრამა "არასოდეს არ ტირის ჯარისკაცის ქალიშვილი" 16.15 მულტფილმი "ეგვიპტის პრინცი" 2 სერია 17.50 მხატვრული ფილმი "ათი ზანგის ბიჭუნა" 2 სერია 19.20 მელოდრამა "სიცოცხლე და მეტი არაფერი" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.30 Новости в воскресенье 23.00 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ბურთი და მოედანი" 00.30 Новости в воскресенье 00.50 მელოდრამა "ლამაზმანი" 03.30 მხატვრული ფილმი "სადგური ორისათვის"

### VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი 18.20 "ლა-ლა-ლა" 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ავტოტრეკინგი" 20.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.30 რაგბი. საფრანგეთი - სამხრეთ აფრიკა 22.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.45 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. 00.50 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.25 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Детектив "ПЯТЬ МИНУТ СТРАХА" 11.55 "Поле чудес". Праздничный выпуск 13.15 Человек и закон 13.45 Детектив "СЫЩИК ПЕТЕРБУРГСКОЙ ПОЛИЦИИ" 15.30 Док. детектив. "Опережая выстрел" 16.15 Детектив "ПОТЕРПЕВШИЕ ПРЕТЕНЗИЙ НЕ ИМЕЮт" 18.00 "Большая стирка" 19.25 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 20.30 К Дню милиции. Праздничный концерт 22.00 Время 22.40 Продолжение концерта 00.30 Ночное "Время" 00.45 Худ.фильм "СВЕТСКИЕ ХРОНИКИ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия". 09.45 Комедия "СИНЬОР РОБИНЗОН" 11.40 "Шестеро лебедей". Мультфильм. 12.05 Детектив "ГОРОД ПРИНЯЛ". 1979г. 13.40 "Городок". Дайджест 14.10 "Клуб сенаторов". 15.00 ВЕСТИ 15.20 "Что хочет женщина". 16.20 Телефильм "Визит к Минотавру". 17.55 Ко Дню Российской Милиции. Праздничный концерт. 21.00 ВЕСТИ 21.25 "Фантазии Михаила Задорнова". 23.15 Адриано Челентано в комедии "МИЛЛИОН - ПОБЕДИТЕЛЮ" 01.30 Комедия "ЗА ПРЕКРАСНЫХ ДАМ!". 1989г. 02.55 "Спорт за неделю".

**ჟანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია**

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, 132 კვ.მ არასტანდარტული ბინა ჩიქოვანის №18-ში. პირველი სართული. ფასი: 20000 $. ტელ: 98-40-41

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა, 130 კვ.მ. საბურთალოს ცენტრში, იოსებიძეზე. 7(8). დიდი ლოჯიით. 38 50 88

იყიდება 2-სართულიანი აგურის შენობა ორთაჭალაში (750 კვ.მ.), სარდაფით, მიწის ნაკვეთით, მუდმივი დენით. 75 53 55

ვყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება ან ქირავდება ვაკეში, ატენის ქუჩაზე ბინა საოფისედ. საერთო ფართი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. 23 03 12

იყიდება ან იცვლება ახალაშენებული კაპიტალური სახლი ხეხილიანი ბაღით, მუდმივი წყლით, ავტოფარეხით სოფ. გრემში. 39 43 73

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება მიწის ნაკვეთი წყნეთში. 8(93) 30 48 69

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ვიგირავებ ბინას საბურთალოზე 2500-ად. 39 72 37

ქირავდება 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ვაკეში, კეკელიძის № 7, 2(5). ფასი 250. 22 41 94

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

## კომერციული ფართი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან

იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

იყიდება სასტუმრო 30 ადგილზე, 3 სართული, წაღვერში, "კეჩხობის" მიმდებარე ტერიტორიაზე დამხმარე ნაგებობებით. ფასი 160 000 $. 33 54 51 მიშა

## მანქანები

იყიდება ავტომანქანა "ლადა-110", 1999 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში. 30 45 73, 8(99) 54 23 68

იყიდება ლურჯი ფერის "ტოიოტა ხაკ-4", 1997 წლის. ავტომატიკა, კონდიციონერით, 2-კარებიანი. ფასი 10 000. 22 49 91 (საღამოს), 8(99) 18 50 78

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" , "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

მოვამზადებ გერმანულში, შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. 8(99) 26 91 08 ან 39 61 68 თეონა

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება რუმინული ავეჯი: სასადილოები, საძინებლები, ტყავის სამეულები და როიალები.
ტელ: 95-77-88, 877 764758

დაგიმზადებთ უცხოური ავტომობილის ყველა სახის, გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 24 40 32

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს დაბალ პროცენტში. 23 70 91, 8(77) 71 05 90

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 23 35 12, 8(99) 28 99 66

იყიდება ხაზი №55 ა. 8(99) 22 40 21

იყიდება 3 თვის როტვეილერის ლეკვები. ფასი შეთანხმებით. 61 37 33

იყიდება 10-ტონიანი ქარხნული წესით დამზადებული, მომინანქრებული ავზი. 75 53 55

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

იყიდება საქსოვი მანქანა TOYOTA, რომელიც ასრულებს უამრავ ფუნქციას. დარეკეთ ღამის საათებში. 30 41 07 მერაბი.

იყიდება კომპიუტერი "პენტიუმ-3" და "პენტიუმ-4".
ტელ: 35-37-28; 899 559338

**ს/ს "საქაბრეშუმი" აცხადებს კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

2002 წლის 28 ნოემბერს დღის 10 საათზე ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში გაიმართება ს/ს "საქაბრეშუმის" კრედიტორთა კრება. დღის წესრიგი:

ს/ს "საქაბრეშუმი"-ის რეაბილიტაციის მმართველის ანგარიში 2002-2004 წლების რეაბილიტაციის გეგმის მიმდინარეობის შესახებ.

სამეთვალყურო საბჭო

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**მარჯანიშვილის თეატრი**
შოუ-კონცერტი "შემოდგომის არდადაგები"
დას: 16:00 სთ; ფასი 7-15 ლარი

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი"
დას: 19:00 სთ; ფასი 6-10 ლარი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თავისუფალი თეატრი**
"მედეა", რეჟ. გოჩა კაპანაძე; როლებში მარინა კახიანი, თეონა გურამიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, გოჩა კაპანაძე, დიმა ჯაიანი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 19:00 სთ, ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ერთობლიბი საწარმო "მაუდი-თექა" - პირველი კოლექციის გამოფენა

**„ქარვასლა"**
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტონამუშევრების გამოფენა
მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ნუგზარ ტაბიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
საქართველოს მხატვართა ნამუშევრების საშემოდგომო გამოფენა

**ძველი გალერეა**
ნანა ლომიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00; 18;00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6,7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"ნიშნები", რეჟ. ნაით შამალანი; მთავარ როლში, მელ გიბსონი
დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 9 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





ფეხბურთი

# "ბაიერნი" რეფორმების ზღვარზე

## შეუცვლელი არც ჰიცფელდია

მიუნხენის "ბაიერნი" მძიმე კრიზისშია. ასეთი ჩავარდნა კლუბს უკანასკნელად 1991-92 წლების სეზონში ჰქონდა. მაშინ მიუნხენელები მეორე წრიდან გამოეთიშნენ UEFA-ს თასის გათამაშებას (წააგეს დანიის "კოპენჰაგენთან" - 2:6). იუპ ჰაინკესის, სიორენ ლერბის და ერიხ რიბეკის სახით "ბაიერნის" კრიზისიდან გამოყვანას ზედიზედ სამი მწვრთნელი ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა - სეზონის ბოლოს მიუნხენელები ბუნდესლიგის მეათე საფეხურზე იყვნენ. თომას შტრუნცი მაშინდელი "ბაიერნის" შემადგენლობაში თამაშობდა. გაზეთ "24 საათის" სპორტული რედაქციის ოფიციალურ პარტნიორთან, გერმანულ სპორტულ საინფორმაციო სააგენტოსთან "Sport Informations Dianst" (sid) საუბარში შტრუნცი ლაპარაკობს იმ განცდებზე, რომლებიც ფეხბურთელს თავისი კლუბის კრიზისის დროს შეიძლება ჰქონდეს.

აკა ტონია

"ასეთ სიტუაციაში მთლიანად უძლური, უმწეო ხდები, რადგან, წარმატებას შეჩვეული, მხოლოდ გამარჯვებაზე ხარ ორიენტირებული. თავს დამნაშავედ გრძნობ, მაგრამ მაინც არაფერი გამოგდის", - ამბობს შტრუნცი.

ფეხბურთელების გარდა, ასეთ სიტუაციაში, ალბათ, მწვრთნელებიც არიან დამნაშავე. შესაძლოა, ამავე აზრისაა "ბაიერნის" ხელმძღვანელობაც, რომელიც რადიკალური გადაწყვეტილებებით არ არის ცნობილი. მწვრთნელის შეცვლა კლუბისთვის იქნებ გამოსავალიც კი იყოს. ფაქტია, რომ გერმანიაში ამ თემაზე უკვე ბევრს საუბრობენ. პრესა ჰიცფელდის შესაძლო შემცვლელებსაც ასახელებს. თუმცა, თავად გერმანიაში ასეთები არცთუ ისე ბევრნი არიან. "ბაიერნის" მაღალ მოთხოვნებს გერმანიაში მოღვაწე მხოლოდ ორი მწვრთნელი თუ დააკმაყოფილებს: მათიას ზამერი (დორტმუნდის "ბორუსია") და კლაუს ტოპმიოლერი ("ლევერკუზენის "ბაიერი"), მაგრამ მათი გადაბირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან თავიანთ კლუბებში ისინი ძალიან კარგად გრძნობენ თავს, ბოლო ხანს კი ჰიცფელდზე მეტ წარმატებასაც აღწევენ. მაგრამ საკმარისია, გერმანიის ფარგლებს გარეთ გავიხედოთ და, ვნახავთ უამრავ კანდიდატურას, რომელთა განხილვა თამამად შეუძლია "ბაიერნის" ხელმძღვანელობას.

მაგალითად, ფაბიო კაპელო ("რომა"), რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ აღნიშნა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა რომელიმე გერმანულ კლუბში. ხშირად ისმის კორეის ეროვნული გმირის გუს ჰიდინკის გვარიც. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი სულ ცოტა ხნის წინათ დაუბრუნდა მშობლიურ "ეინდჰოვენს", ამბობენ, რომ მისი მონაცემები უკვე კარგა ხანია დევს ფრანც ბეკენბაუერის სამუშაო მაგიდაზე. და ბოლოს – არსენ ვენგერი. სპეციალისტები ფრანგი მწვრთნელის კანდიდატურას საუკეთესოდ მიიჩნევენ "ბაიერნისთვის". უკვე მეექვსე წელია, ვენგერი "არსენალში" მოღვაწეობს და მცირე კრიზისიც ეწვია. საგულისხმოა მისი ამასწინანდელი სიტყვებიც: "არ შეიძლება, მუდმივად ერთსა და იმავე კლუბს წვრთნიდე".

ერთი სიტყვით, უცხოელი მწვრთნელის მიწვევის შანსები არც ისე მცირეა. ცნობილ გერმანელ სპეციალისტს უდო ლატეკს კი ჰიცფელდის შემცვლელად მხოლოდ და მხოლოდ უცხოელი ესახება.

რამდენიც უნდა ვისაუბროთ მწვრთნელის შესაძლო ცვლილებაზე, თავად კლუბის ხელმძღვანელობა ჯიუტად უარყოფს მოსაზრებას, რომ მას ჰიცფელდთან განშორება სურს. ფრანც ბეკენბაუერმა მწვრთნელს, კვლავინდებურად, ნდობა გამოუცხადა, თუმცა, მედიისა და სპეციალისტების ეჭვს იწვევს ის, რომ მიუნხენელ თავკაცთა ტონი ძველებურად კატეგორიული აღარ არის. ჰიცფელდს, ალბათ, მაინც აღარ ენდობიან, როგორც ადრე ენდობოდნენ.

სხვა საქმეა ფეხბურთელები. "ბაიერნში" არავინ უარყოფს იმას, რომ კლუბში საკადრო წმენდაა მოსალოდნელი. თომას შტრუნცს კი მიაჩნია, რომ ფეხბურთელების წასვლა გუნდს ვერ უშველის: "ვფიქრობ, გუნდში ახლა იერარქიის პრობლემა დგას. "ბაიერნს" აკლია ლიდერები, დომინანტი ფიგურები, როგორებიც ადრე ჰყავდა: ლოთარ მათეუსი, იურგენ კლინსმანი, შტეფან ეფენბერგი". 1991-92 წლების სეზონშიც, როდესაც "ბაიერნი" ბუნდესლიგის მეორე საფეხურზე იდგა, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვეს, მაგრამ ეს გამოსავალი არ აღმოჩნდა - "ბაიერნი" ცხრილში კიდევ უფრო ჩამოქვეითდა და მეათე ადგილზე გავიდა. თუმცა, წლევანდელ გუნდს შტრუნცი ასეთ მძიმე მომავალს არ უწინასწარმეტყველებს: "არა, "ბაიერნი" იმდენად ძლიერია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ბუნდესლიგაში პრობლემები არ შეექმნება".

### "ბაიერნი" წმენდას იწყებს. ვინ შეეწირება რეფორმებს?

შტრუნცის აზრს "ბაიერნის" ხელმძღვანელობა ნამდვილად არ იზიარებს - ზოგიერთი ფეხბურთელის გაშვება უკვე გადაწყვეტილია. თუმცა, "მსხვერპლთა" გვარებს კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ არ აკონკრეტებს. გაზეთი "24 საათი" მიუნხენელთათვის "არასასურველი" კანდიდატურების გამოაშკარავებას შეეცადა.

**პაბლო ტიამი (კონტრაქტი 2004 წლამდე):** სეზონის დასაწყისში მან პირადი მწვრთნელი დაიქირავა, რათა "ბაიერნში" პრობლემები არ ჰქონოდა, თუმცა, მიუნხენურ კლუბში არსებულ კონკურენციას აშკარად ვერ გაუძლო. ტიამი შემცვლელადაც კი იშვიათად გამოდის, ხოლო როცა ეს ხდება, "ბაიერნის" დაცვაში ყველაზე სუსტი რგოლია. ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა და იმ დღეს, ერთადერთხელ წლევანდელ სეზონში, "ბაიერნი" დამარცხდა (1:2 "ლევერკუზენთან").

**ალექსანდერ ციკლერი (კონტრაქტი 2004 წლამდე):** ამჟამად 28 წლის ციკლერი ახლო წარსულში გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად მიიჩნდათ, თუმცა, ბუნდესლიგაში ჩატარებული 206 მატჩი და 49 გოლი ვარსკვლავად ქცევისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. იმ იმედით, რომ ძირითად შემადგენლობაში ოდესმე მაინც დაიმკვიდრებდა ადგილს, "ბაიერნიდან" წასვლა რამდენჯერმე გადადო. უკანასკნელ სეზონში კი სულ უფრო იშვიათად ჩანს შემადგენლობაში. ამის მიზეზი ხშირი ტრავმებიც არის. [illegible] კარს-ტენ იანკერი სათადარიგოთა სკამს არ შეეგუა და სხვა გუნდს მიაშურა. ჯობს, ციკლერიც ასე მოიქცეს.

**ტორსტენ ფინკი (კონტრაქტი 2003 წლამდე):** ერთ დროს შტეფან ეფენბერგის იდეალური შემცვლელი იყო. როდესაც გუნდი ეფენბერგის გარეშე თამაშობდა, ფინკი, როგორც წესი, მის ადგილს იკავებდა. წლევანდელ სეზონში 35 წლის ნახევარმცველი იშვიათად ჩნდება ძირითად შემადგენლობაში, რადგან მიხაელ ბალაკს ადიუტანტი არ სჭირდება. ნახევარდაცვის უკანა ხაზში კი სხვებს აქვთ ადგილი დაჯავშნილი. თავად ფინკი თვლის, რომ ჯერ ახალგაზრდაა და ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს. ჰიცფელდი საპირისპირო აზრისაა: ტორსტენ ფინკი მისთვის "ძველი მოდელია".

**ნიკო კოვაჩი (კონტრაქტი 2005 წლამდე):** "ჰამბურგში" ის გუნდის ლიდერი იყო, "ბაიერნში" კი მხოლოდ მაჩანჩალაა (თუ საერთოდ მიეცა ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება). ჰიცფელდი იენს იერემიესს კოვაჩს ამჯობინებს, ოღონდ, თუ ეს უკანასკნელი ტრავმირებულია. 31 წლის ხორვატს ხანდახან შანსი ეძლევა, რომ რამდენიმე წუთი ითამაშოს. წლევანდელ სეზონში მან მხოლოდ 11 წუთი ითამაშა "კოტბუსის" წინააღმდეგ. ეს იყო და ეს. დასანანია: შარშან ის "ბაიერნის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო - ორთაბრძოლების 60 პროცენტს იგებდა. კოვაჩი უკვე დაუკავშირდა თავის აგენტს, იურგენ მილევსკის და კლუბის შეცვლის შესახებ ესაუბრა.

**თომას ლინკე (კონტრაქტი 2003 წლამდე):** შესანიშნავად ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, წლევანდელი სეზონიც კარგად დაიწყო. ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ჰქონდა. თუმცა, "დეპორტივოსა" და "მილანის" წინააღმდეგ "ბაიერნის" საშინაო მატჩებში ყველაზე სუსტი სწორედ ის იყო. "დეპორტივოსთან" მატჩში ის როი მაკაის მეურვეობდა, "მილანთან" - ინძაგის. ამ მატჩებში "ბაიერნის" კარში გატანილი გოლების უმეტესობა მისი ბრალია. ჰიცფელდმა ლინკეს სემი კუფური და რობერტ კოვაჩი ამჯობინა. მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელების შანსი სიმბოლურია.

**ოუენ ჰარგრეივსი (კონტრაქტი 2004 წლამდე):** მისი ვარსკვლავი აკიაფდა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების დასკვნით ეტაპზე, როდესაც მან "ბაიერნის" ტრიუმფში უდიდესი წვლილი შეიტანა. წლევანდელ სეზონში ის ძველებურად ვეღარ ბრწყინავს, ალბათ, ტრავმების მიზეზითაც. ამის მიუხედავად, წარმოშობით კანადელი ჰიცფელდის ფავორიტად რჩება. თავად ჰარგრეივსს მუდამ ინგლისურ კლუბში გადასვლის სურვილი უტრიალებს თავში, ფიქრობს, რომ ინგლისის ეროვნულ ნაკრებში ასე უფრო მოიკიდებს ფეხს. ვისაც წასვლა სურს, ის არც უნდა დააკავო, მით უმეტეს, რომ მის სანაცვლოდ "ბაიერნი" დიდ ფულს იშოვის.



ვინ შეეწირება რეფორმებს?

## უეფა-ს თასი
## ოცდამეთორმეტედფინალი
## პირველი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| აპოელი (კვიპროსი) | 0:1 | ჰერტა (გერმანია) |
| დინამო (ხორვატია) | 0:3 | ფულჰემი (ინგლისი) |
| სპარტა (ჩეხეთი) | 1:0 | დენიზლი (თურქეთი) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | 0:0 | შტუტგარტი (გერმანია) |
| შტურმი (ავსტრია) | 1:0 | ლევსკი (ბულგარეთი) |
| პარტიზანი (იუგოსლავია) | 3:1 | სლავია (ჩეხეთი) |
| ნაციონალი (რუმინეთი) | 0:2 | პსჟ (საფრანგეთი) |
| ფენერბახჩე (თურქეთი) | 1:1 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| პაოკი (საბერძნეთი) | 2:1 | გრასჰოპერსი (შვეიცარია) |
| ანდერლეხტი (ბელგია) | 3:1 | მიდტიულანდი (დანია) |
| აუსტრია (ავსტრია) | 0:1 | პორტუ (პორტუგალია) |
| ლაციო (იტალია) | 1:0 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ვიტესი (ჰოლანდია) | 2:1 | ვერდერი (გერმანია) |
| ალავესი (ესპანეთი) | 1:1 | ბეშიქთაში (თურქეთი) |
| იფსვიჩი (ინგლისი) | 1:0 | ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| ლიდსი (ინგლისი) | 1:0 | ჰაპოელი (ისრაელი) |
| პარმა (იტალია) | 2:1 | ვისლა (პოლონეთი) |
| სელტიკი (შოტლანდია) | 1:0 | ბლექბერნი (ინგლისი) |
| სელტა (ესპანეთი) | 3:0 | ვიკინგი (ნორვეგია) |
| მალაგა (ესპანეთი) | 2:1 | ამიცა (პოლონეთი) |
| ბოავიშტა (პორტუგალია) | 2:1 | ანორთოსისი (კვიპროსი) |

ქადრაკი

# ქართველი ქალები ლიდერობენ

*სლოვენიის ქალაქ ბლედში გრძელდება მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა. წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ქალთა ნაკრები. აშშ-ის გუნდთან დამარცხების შემდეგ ქართველებმა თამაშს საგრძნობლად უმატეს და ხუთი ტურის შემდეგ 12 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში არიან.*

მე-5 ტურში ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა 3:0 დაამარცხა ინდოეთის გუნდი. თავისი შეხვედრები მოიგეს ნანა იოსელიანმა, ქეთევან არახამიამ და ნინო ხურციძემ.

საქართველოს ნაკრებს ნახევარი ქულით ჩამორჩება ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები, რომლის გამარჯვება ჩინელებზე (2:1) სენსაციად ჩაითვალა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკელებმა ჩინეთზე ადრე ქართველებიც დაამარცხეს, უნდა ვთქვათ, რომ მათ გამარჯვებაში სენსაციური არაფერია. 11 ქულით მე-3-5 ადგილებს იყოფენ ნიდერლანდის, რუსეთისა და ჩეხეთის გუნდები.

თუ სენსაციაზე ვილაპარაკებთ, მაშინ ვაჟთა თანრიგში უნდა გადავინაცვლოთ. ნამდვილი სენსაცია სწორედ ვაჟთა ტურნირში ხდება. საკმარისია ითქვას, რომ გათამაშებას ბოსნიის ნაკრები უდგას სათავეში (15,5 ქულა). ბოსნიელებმა ერთ დროს ლიდერი პოლონეთის გუნდი დაამარცხეს (3:1) და ქულანახევრით ჩამოიტოვეს. საინტერესოდ წარიმართა რუსთა და სომეხთა დაპირისპირება, რომელიც ფრედ - 2:2 დასრულდა. ახლა ეს გუნდები 15 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე არიან. საქართველოს ნაკრები ბოსნიელებს ქულანახევრით ჩამორჩება და 13,5 ქულით მე-11-14 ადგილებს იყოფს ჩინეთის, ლიტვისა და სლოვაკეთის გუნდებთან.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ვიდრე ჰაიფას "მაკაბი" კვიპროსზე ჩემპიონთა ლიგის მატჩში "მანჩესტერ იუნაიტედს" უსწორდებოდა, ქურდები "მაკაბის" მწვრთნელის იცხაკ შუმუს ბინას ძარცვავდნენ. თავისი გუნდის გამარჯვებით გახარებული მწვრთნელი მობილური ტელეფონის ზარმა დაამწუხრა. ხაზზე იცხაკ შუმუს კოლეგა და მეგობარი, ისრაელის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი შლომო შარფი იყო. სწორედ მან ამცნო გაძარცულ მწვრთნელს მის ბინაში დატრიალებული ამბები.

ქურდებმა იმით ისარგებლეს, რომ შუმუს მეუღლე მხარდასაჭერად ქმარს კვიპროსზე წაჰყოლია. როგორც ჩანს, მძარცველებმა იცოდნენ, რომ ბინა ცარიელი იყო და მთელი ელექტრონული ტექნიკა გაზიდეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მას შემდეგ, რაც "ბორუსიამ" ლონდონის "არსენალი" დაამარცხა და, ფაქტობრივად, გაინაღდა მეორე ეტაპის საგზური, დორტმუნდის "ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა მათიას ზამერმა ქათინაურებით აავსო თავისი ფეხბურთელები. ზამერი განსაკუთრებით გულუხვი იყო ჩეხი ტომაშ როსიცკისადმი.

"ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ტომაშს ნათელი თავი აქვს. პენალტის ნიშნულთან მისვლისას იგი არ აღელდა და ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. შარშან ჯგუფიდან ვერ გავედით. წლეულს კი ისტორია შეიცვალა. ეს ნიშნავს, რომ გუნდი პროგრესს განიცდის. თუმცა, ჩემს ბიჭებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი. გული არ გამტეხია, როცა მატჩის დებიუტში რიკენმა და კოლერმა ანგარიშის გახსნის შანსი ვერ გამოიყენეს და ბურთი ძელს მოახვედრეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ გუნდი შეტევებს გააგრძელებდა, შედეგს აუცილებლად მივიღებდით, იმიტომ, რომ გუნდური თამაში წაგვივიდა", - განაცხადა ზამერმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კაპელო მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ მისი გუნდი უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე "რეალი". თუმცა, თამაშის შემდეგ კაპელომ თავისი ფეხბურთელები მაინც გააკრიტიკა. კერძოდ, მან თქვა, რომ გუნდმა, უამრავი საგოლე მომენტიდან, მხოლოდ ერთი გამოიყენა. საბოლოოდ კაპელო მაინც კმაყოფილი დარჩა იმ შემართებითა და მებრძოლი ხასიათით, რომელიც რომაელებმა ამ მატჩში გამოამჟღავნეს. "ჩვენ მინდორზე გამარჯვების სურვილით გამოვედით და მიზანს მივაღწიეთ", - ამბობს კაპელო. რაც შეეხება რომში წაგებულ (0:3) პირველ შეხვედრას, ამის თაობაზე კაპელომ განაცხადა, რომ მისი გუნდი, ფაქტობრივად, სეზონის პირველ მატჩს ატარებდა და სასურველი ფიზიკური კონდიციებისგან შორს იყო. დელ ბოსკე უფრო კორექტული აღმოჩნდა, იგი მოერიდა თავისი ფეხბურთელების კრიტიკას და განაცხადა, რომ წაგება, რა თქმა უნდა, მდგომარეობის შესწავლის საბაბს გვაძლევს, მაგრამ "რეალი" მეორე ეტაპზე გავიდა და ეს ფაქტიც რაღაცას ნიშნავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისურ ფეხბურთში დიდი სკანდალი მწიფდება. ერთ-ერთი ფეხბურთელის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - ნანდროლონი აღმოაჩინეს. ნისლიან ალბიონს ასეთი შემთხვევა არ ახსოვს. ამიტომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ფეხბურთელის გვარისა და ეროვნების დასახელებისგან თავს იკავებს. უცნობია ისიც, თუ რომელ დივიზიონში თამაშობს წესის დამრღვევი ფეხბურთელი. შეგახსენებთ, რომ ნანდროლონის მიღებისთვის ბოლო დროს სამი ფეხბურთელი დაისაჯა - ფრანკ დე ბური, დავიდსი და ხოსეპ გვარდიოლა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკრაინელი ანდრეი შევჩენკო მილანში თავს ბედნიერად გრძნობს და არსად წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ ფეხბურთელმა ჟურნალისტებს კიევში ყოფნისას განუცხადა. შევჩენკოს თქმით, კლუბი წლეულს შესანიშნავად თამაშობს და კარგ შედეგებსაც აღწევს - იტალიის ჩემპიონატში მეორეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში უკვე მოიპოვა მეორე ეტაპის საგზური. ამიტომ მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა დატოვოს გუნდი. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს, როცა შევჩენკო ტრავმას იშუშებდა, მასმედია მას ჯიუტად გზავნიდა ხან მანჩესტერში და ხან - მადრიდში.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ უყურადღებოდ არ დატოვა ევროკავშირში ჯანდაცვისა და მომხმარებელთა უფლებების კომისიის ხელმძღვანელის დევიდ ბერნის განცხადება იმის თაობაზე, რომ ფორმულა 1 თამბაქოს მწარმოებელმა კორპორაციებმა მოისყიდეს. ჩინოვნიკმა მკაცრად გააკრიტიკა "დიდი ცირკის" გუნდები იმის გამო, რომ ბელგიაში სიგარეტის რეკლამის აკრძალვის გამო ისინი ბელგიის გრან-პრიში მონაწილეობას არ მიიღებენ.

"ბერნის სიტყვები უფრო დამაჯერებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ბოლოს მოუღებდა თამბაქოს მწარმოებელი ევროპელი ფერმერების სუბსიდიებს. ისინი ხომ ბრიუსელისგან დახმარების სახით მილიარდ ევროს იღებენ", - კონტრშეტევაზე გადავიდა ფია. "სიგარეტის რეკლამის გლობალური აკრძალვა 2006 წლის პირველი ოქტომბრიდან შედის ძალაში. იმ ქვეყნებმა კი, რომლებმაც გადაწყვიტეს, თავის ტერიტორიაზე დროზე ადრე აეკრძალათ, მხოლოდ დამატებითი პრობლემები შეიქმნეს", - ნათქვამია ფია-ს განცხადებაში. საინტერესოა, რომ ბელგიამ მხოლოდ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითს მიბაძა, იმ ქვეყნებს, რომლებშიც ფორმულა 1, უკვე რამდენიმე წელიწადია, რეკლამის გარეშე ჩადის, მაგრამ არაფერი მომხდარა. ბელგიის გრან-პრი კი ფორმულა 1-ის ბოსებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** სულ მალე ცნობილი ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი მამა გახდება. უიმბლდონის ტურნირის 2001 წლის გამარჯვებული ამჟამად მშობლიურ ქალაქ სპლიტში იმყოფება და, მხრის ოპერაციის შემდეგ, სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. ამ ტრავმის გამო ივანიშევიჩმა დიდი სლემის რამდენიმე ტურნირი გამოტოვა. თუმცა, ჩოგბურთელის აგენტი ჯერარდ ცობანიანი აცხადებს, რომ დევისის თასის პირველი მატჩისთვის აშშ-ის წინააღმდეგ გორან ივანიშევიჩი მზად უნდა იყოს. ამჟამად ხორვატი ჩოგბურთელი პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში 135-ე ადგილზეა.

■ ■ ■

**ხელბურთი.** შვედეთში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ტურნირის მასპინძლებმა - შვედებმა მსოფლიო ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებთან ფრედ - 24:24 ითამაშა. დანიამ მოუგო ეგვიპტეს - 27:26. გერმანიამ კი დაამარცხა ისლანდია - 27:20. ყველაზე დაძაბული იუგოსლავიისა და რუსეთის ნაკრებთა მატჩი გამოდგა. რუსთა თავდასხმას "იუგებმა" მკაცრი, მობილიზებული დაცვა დაუპირისპირეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს - 32:31 იუგოსლავიის ნაკრების სასარგებლოდ.

■ ■ ■

**მხატვრული ტანვარჯიში.** დოპინგის მიღებისთვის 2-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს წარსულში კიევის "დინამოსა" და საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელის ვლადიმირ ბესონოვის ქალიშვილს - ანა ბესონოვას. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ანა ბესონოვას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - ნორეფედრინი აღმოაჩინეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე გამოტოვებს ევროპის ჩემპიონატს, რომელიც ესპანეთის ქალაქ გრანადაში 8-10 ნოემბერს გაიმართება.

# ფერგიუსონმა იაკუბუ აიეგბენის წინადადება მისცა

კვიპროსში, ჰაიფას "მაკაბისთან" სათამაშოდ ჩასულ სერ ალექს ფერგიუსონს "მაკაბის" 20 წლის ნიგერიელი ფორვარდი იაკუბუ აიეგბენი იმდენად მოეწონა, რომ მან ახალგაზრდა ნიგერიელს მანჩესტერში გადასვლა შესთავაზა, თან, ისეთი პრობებით, რომ იაკუბუმ უარი ვერ უთხრა. ასე ამბობენ "მაკაბის" ბანაკში და დარწმუნებული არიან, რომ ახლო მომავალში ნიგერიელი თავდამსხმელი მანჩესტერში გადაბარგდება.

კახა ფარუაშვილი

იაკუბუს ახლობელთა განცხადებით, ფეხბურთელს იტალიისა და ესპანეთის წამყვანი კლუბებიდანაც აქვს რამდენიმე მიწვევა, მაგრამ იგი პრემიერლიგას ანიჭებს უპირატესობას. ცნობილია, რომ იაკუბუ ჯერ კიდევ ზაფხულში ცდილობდა ნისლიან ალბიონზე გადასვლას. მასთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებდა "დერბი ქაუნთი", მაგრამ მაშინ იაკუბუს სრული ბედნიერებისთვის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული ორად ორი მატჩი დააკლდა და ბრიტანეთის ვიზა ვერ მიიღო.

ალბიონზე ვიზიტისთვის იაკუბუ უფრო საფუძვლიანად მოემზადა. ეროვნულ ნაკრებში საჭირო მატჩები უკვე ჩაატარა და, რაც მთავარია, მეგობრების რჩევით, ინგლისში მოძებნა თავმდაბალი, მშვენიერი თანამემამულე, ინგლისის მოქალაქის სტატუსით, და მასთან ურთიერთობა გააფორმა, ერთი სიტყვით, ცოლად შეირთო. ებრაელმა მეგობრებმა ახალგაზრდა ნიგერიელს აუხსნეს, რომ ამ ფორმალური აქტის საფუძველზე მას ბევრად გაუადვილდება ინგლისის მოქალაქეობის მიღება.

წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, იაკუბუ "დერბი ქაუნთში", სატრანსფერო დერეფნის გახსნის პერიოდში, ზამთარში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ნიგერიელს მადა გაეხსნა და მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედში" სურს თამაში. უკვე ცნობილია, რომ ფერგიუსონის გუნდთან, კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაშიც კი, იაკუბუ "მაკაბიში" ჩაამთავრებს სეზონს. რაკი ნიგერიელმა წლეულს ებრაული კლუბის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში უკვე ითამაშა, ამიტომ "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში თამაშის უფლება არა აქვს. ასე რომ, იაკუბუ აიეგბენის მოუწევს, მანჩესტერული დებიუტი რამდენიმე თვით გადადოს.



იაკუბუ აიეგბენმა "მანჩესტერს" პენალტი გაუტანა და ფერგიუსონის ყურადღებაც მიიპყრო

# რა სჭირდება ფეხბურთს?

*ფიფა კლუბებში ლეგიონერთა რიცხვის შემცირებას აპირებს. მოსაზრება, რომ კლუბებში ლეგიონერთა ლიმიტის გაუქმება ფეხბურთს კარგს არაფერს მოუტანდა, რამდენიმე წლის წინ, ბოსმანის გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ გაჩნდა. ეს მოსაზრება დღემდე აქტუალურია, მაგრამ რეალურად კლუბებში ლეგიონერთა რიცხვის ზღვრის დასაწესებლად არაფერი გაკეთებულა. ახლა კი, როგორც ჩანს, საქმე ადგილიდან დაიძრა.*

პაატა თოთაძე

ეტყობა, ფიფას და უეფას ყელში ამოუვიდათ ზოგიერთი ევროპული კლუბის თავხედობა და გადაწყვიტეს, ისინი ჭკუაზე მოიყვანონ. ფეხბურთის მმართველი ორგანოები ამას კლუბებში ლეგიონერთა შემცირებით შეეცდებიან. ფიფას წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ამუშავებენ პროექტს, რომლის მიხედვითაც თითოეულ კლუბს მოედანზე ერთდროულად მხოლოდ ხუთი ლეგიონერის გამოყვანის უფლება მიეცემა.

თქმა არ უნდა, კლუბები ამის წინააღმდეგი იქნებიან და ყველანაირად შეეცდებიან, თავიანთი გავლენა გამოიყენონ, რათა ფიფამ ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღოს.

უეფას პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო რბილია. ისიც ითხოვს ლეგიონერთა რიცხვის შემცირებას, ოღონდ სხვა სახით. უეფას ჩინოსნების თქმით, შანსი უნდა მიეცეს ადგილობრივ ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც, ანუ მოედანზე ლეგიონერთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივ მოთამაშეთა რაოდენობას.

მართალია, ფორმულირება სხვადასხვაგვარია, მაგრამ აშკარაა, რომ ორივე ორგანიზაცია ლეგიონერთა რიცხვის შემცირების მომხრეა. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს. ჯერჯერობით ამ კანონის მიღებაზე საუბარი ნაადრევია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფიფას ევროკავშირთან მოუწევს დაპირისპირება. როგორ დასრულდება ეს ყოველივე, დრო გვიჩვენებს. ფიფას მაღალჩინოსნები კი იმედს არ კარგავენ, რომ ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ისინი ვარაუდობენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფეხბურთისთვის ასეა საჭირო.



ბლატერმა კლუბებს თითი დაუქნია


E1 ანი ნიჟარაძე ასაკი-16, 164/88/63/88, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის


E2 ანი ალექსიშვილი ასაკი-17, 174/89/60/90, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E3 ელენე ლომსაძე ასაკი-16, 169/87/62/89, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის


E4 ხათუნა შენგელია ასაკი-19, 169/84/65/91, თვალის-თაფლის, თმა-მუქი ნაბლის


E5 ვანდა ვიტმანი ასაკი-19, 170/84/60/89, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის


E2 ანა ორშოვსკაია ასაკი-23, 163/92/60/90, თვალის-ნაცრისფერი, თმა-ქერა

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

## TV პროგრამა 1 ნოემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "იუბილარი" მთ.როლებში ნიკოლ კიდმანი, ბენ ჩაპლინი
02.10 მხ.ფილმი "ვარსკვლავეთის ომები"
04.10 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "მენავთოზე ქალები"
11.30 "პალიტრა"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "მხოლოდ კლასიკა"
15.15 50-50
15.55 ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი: თბილისის "დინამო" – წნორის "მილანი"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ენა დედაა ერისა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "მრავალსახეობა"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "მარკიზ დე სადი"
01.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.00 მხ. ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "ასეთია ცხოვრება"
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 რუსული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძიროზანა
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ტელედისკოთეკა"
02.00 "ბრავო" მხ.ფ. "იყო ჯონ-მალკოვიჩი"
03.30 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 დოკ. ფილმი
21.20 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ბავშვები 16 წლამდე"

### ევრიკა

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 "მომავალი"
20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია"
21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
22.30 "გამარჯობა"
23.15 ძველი კინოკლასიკა, მხატვრული ფილმი "მარნი"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "მარიუსის უმანკო ჩასახვა"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, მუსიკა
10.20 მხ. ფილმი "ღრმა ლურჯი ზღვა"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ველური დასავლეთის ლეგენდები"
22.15 მხ.ფ. "პარტნიორები"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჯერი მაგუაიერი"
14.10 მხ. ფილმი "კლდე"
16.10 მუსიკა
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "კარტი, ფული და ორი ლულა"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "ბორნის პიროვნების საიდუმლო"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" 38-ე სერია
11.15 მხ. ფილმი "აღმოსავლეთის ექსპრესი"
12.50, 16.20, 20.20, 23.50 მუსიკა
13.00 დოკ. ფილმი "დიდი სამამულო ომი"
14.00 ბელისიმო
14.45 მხ. ფილმი "მაილოს გზა"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ფერი, ლაბირინთი და სამოთხე-მაროკო"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ. ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი"
00.20 მხ. ფილმი "ცივი გული".

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "ორნი: მე და ჩემი ჩრდილი"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 დრამა "მამაცი გული"
15.05 დოკუმენტური ფილმი
16.20 მულტფილმი "შრეკი"
17.45 ისტორიული ფილმი "ატილა"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.20 მხატვრული ფილმი "ცისკრის ზარები"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "შიშის ქალაქი"
03.30 კომედია "გაქცეული პატარძალი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 "ბიორითმი" – რიკი მარტინი
11.05 ანიმაცია
11.25 "სახლიდან გაუსვლელად"
12.00 "მელოდია"
12.20 დოკ.ფ. "კრივი"
12.40 დისნეი და მისი მეგობრები
13.00 "სახლიდან გაუსვლელად"
13.40 სპორტი
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "ობიექტივი" – სტუმარი მამუკა ონაშვილი
20.35 "სახლიდან გაუსვლელად"
21.05 დოკ.ფ. "კრივი"
21.35 "სახლიდან გაუსვლელად"
22.05 "კინოკლუბი " – "ვინც უფრო ნაზია"
23.30 პრესის მიმოხილვა
23.50 "სახლიდან გაუსვლელად"
00.25 "ბიორითმი" – რიკი მარტინი
01.15 პრესის მიმოხილვა

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

სააქციო საზოგადოება ყაზბეგი აწარმოებს
ცივი ჩაის წამახალისებელ ლატარეას

გათამაშებული პრიზები მინიშნებულია ცივი ჩაის საცობის შიდა მხარეზე

მოგებული პრიზის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი იყოს შესაბამისი საცობი

ლიც. № 01 -4/898

წამახალისებელი ლატარეა გასტანს 2002 წლის 21 დეკემბრამდე
მოგებული პრიზების გაცემა გასტანს 2002 წლის 30 დეკემბრამდე.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში